# საერთო გაზეთი

№43 (454) • 29 ნოემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ტერაქტი, როგორც ლუსტრაცია, ანუ ერთი ნაბიჯი „ჩემი დედა მოვ...ნ“-დან „ჩემი სახელმწიფოს დედაც მოვ...ნ“-ამდე

ოცდაშვიდი წელიც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ გაგვეცნობიერებინა, რომ ეს სახელმწიფო ჩვენი სახელმწიფოა



## „ვფიქრობ, კიდევ რაღაც მზადდება, გაცილებით სერიოზული, ვიდრე 22 ნოემბრის ტერაქტი იყო“

ჩემი ვარაუდით, საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი პროცესები ავსტრიიდან იმართებოდა.

## სააკაშვილმა ფეთჰულაჰ გიულენის თხოვნით 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, რომლებშიც ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლების“ წევრებიც მრავლად არიან



## არ სურს ქართველ ხალხს ნინო ლომჯარია თავის დამცველად და ძალაა?!

ნინო ლომჯარიაც უჩა ნანუაშვილია, ოღონდ კაბით და პომადით



## აქა ამბავი ლარისა და ლირას საიდუმლო მიჯნურობისა

ანუ ქართული ეკონომიკა თურქული ეკონომიკის გაგრძელებაა?



## ცაში აღმართული შუშის კუბოები



## დიდი ჯიბიდან ამოვარდნილი პატარა კაცები დიდ ჯიპებში

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ტერაქტი, როგორც ლუსტრაცია, ანუ ერთი ნაბიჯი „ჩემი დედა მოვ...ნ“-დან „ჩემი სახელმწიფოს დედაც მოვ...ნ“-ამდე

**გაგიკვირდებათ, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ტერაქტით არა მარტო ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის, არამედ ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების ერთი ნაწილის სრული ლუსტრაცია მოხდა**





**ვახტანგ ხარჩილავა:**

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარ ტერაქტზე უკვე ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა და მომავალშიც, ალბათ, კიდევ უფრო მეტი დაიწერება და ითქმება.

სანამ გამოძიება არ დამთავრებულა, უშუალოდ ამ ტერაქტზე ახალს ვერაფერს გეტყვით, თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზე გაჩუმებაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება.

გაგიკვირდებათ, რასაც ახლა გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ტერაქტით არა მარტო ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის, არამედ ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების ერთი ნაწილის სრული ლუსტრაცია მოხდა.

წარმოიდგინეთ, როგორ არ უნდა უყვარდეს ადამიანს საკუთარი სახელმწიფო, რომ თქვას: ეს ტერაქტი კი არა, ვიღაცების მიერ დადგმული სპექტაკლი იყოო.

ერთ ან ორ ჭკუანაღრძობს რომ ეთქვა ეს, კიდევ ჰო, მაგრამ როცა ამ ვერსიას სოციალურ ქსელებში აქტიურად განიხილავს ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, ეს უკვე საგანგაშოა.

დავუშვათ და ეს ტერაქტი სპექტაკლი ყოფილიყო, როგორ უნდა „დაედგა“ ის ვინმეს ისე, როგორც „დაიდგა“ – ორმხრივი ინტენსიური სროლებით, რომლის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა.

გამოდის, რომ სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს სპექტაკლის ოთხი მონაწილე წინასწარ უნდა დაეყოლიებინა იმაზე, რომ ისინი აუცილებლად უნდა მომკვდარიყვნენ.

ხომ სრული სისულელე და იდიოტიზმია ეს, რაც, ცხადია, შესანიშნავად იციან ამ იდიოტური ვერსიის ავტორებმაც, მაგრამ ისინი მაინც ჯიუტად აწვებიან პირველ ჩვენებას, რომ ამით როგორმე ჩრდილი მიაყენონ იმ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომელთა გმირული თავგანწირვის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ ტერაქტის აღკვეთა მინიმალური დანაკარგებით.

გასაოცარია პირდაპირ – რატომ წვავთ ამ ადამიანებს დაუოკებელი სურვილი თავიანთი სახელმწიფო რაღაცაში გამოიჭირონ და ისეთი შეცდომბი გამოუჩხრიკონ, რაც მის პრესტიჟს შელახავს?

მშობლიურ სახელმწიფოსთან გაუცხოების მიზეზი ბევრია, ერთ-ერთი მათგანი კი, ალბათ, ის არის, რომ ჩვენი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, ჯერჯერობით, თავი ვერ დააღწია იმ ფსიქოლოგიურ განწყობას, რომელიც მას საბჭოთა კავშირის პერიოდიდან გადმოყვა, როცა სახელმწიფო, რომელშიც ის ცხოვრობდა, მრავალი ფაქტორის გამო, თავის სახელმწიფოდ არ მიაჩნდა, ხოლო მისთვის შინაგანად უცხო ამ სახელმწიფოს სტრუქტურებს რეპრესიულ ძალად თვლიდა, რომელიც მის დასათრგუნად, მისი თავისუფლების შესაზღუდად და შესაბოჭად იყო მომართული.

სწორედ ეს იწვევდა მასში შინაგან პროტესტს, შინაგან წინააღმდეგობას იმ სახელმწიფო მანქანის მიმართ, რომელშიც დამცველს და ქომაგს კი არა, განაადგურების საფრთხეს ხედავდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

**27 წელი გავიდა, რაც საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, თუმცა, როგორც ჩანს, ოცდაშვიდი წელიც არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ გაგვეცნობიერებინა, რომ ეს სახელმწიფო ჩვენი სახელმწიფოა,** რომლის წინაშეც მის თითოეულ მოქალაქეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობები და მოვალეობები აქვს.

**ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტთან ადაპტირება და სწორედ ამიტომ არის, რომ ძველი ინერციით, საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურს „კგბ“-სთან ვაიგივებთ, ქართულ პოლიციას საბჭოთა მილიციასთან, სპეცდანიშნულების რაზმის წევრებს რომელიმე უცხო ქვეყნის დივერსანტებთან და ა. შ.**

თავის დროზე საბჭოთა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა უღირს საქციელად, ჩაშვებად, დასმენად ითვლებოდა, ხოლო კგბ-ის აგენტობა ძალიან დიდ ცოდვად და მორალურ დაცემად.

დღეს კგბ-ის აგენტობის დაბრალება არ არის მოდაში, სამაგიეროდ, რომელიმე ქართველი ჟურნალისტი ისე წამოაძახებს რომელიმე ქართველს სუს-ის აგენტობას, თითქოს ეს სუს-ი საქართველოსთან დაპირისპირებული რომელიმე უცხო ქვეყნის საიდუმლო სამსახური იყოს და მასთან თანამშრომლობა, საქართველოს მტრობას და ღალატს ნიშნავდეს.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ როგორ დააფრიალებდა ერთი გაზეთის ქალბატონი რედაქტორი რვა კაცის (მათ შორის, რამდენიმე პარლამენტარი იყო „ქართული ოცნებიდან“) მამხილებელ „დოკუმენტებს„, რომლითაც „მტკიცდებოდა“, რომ ეს ადამიანები თავის დროზე თურმე სუს-მა გადაიბირა.

კი, მაგრამ, რას ნიშნავს, გადაიბირა? საიდან სად გადაიბირა? ეს ადამიანები, საქართველოს მოქალაქეები, მანჯურიის აგენტები იყვნენ და საქართველოს უშიშროების სამსახურმა „გადმოიბირა“ თუ რაშია საქმე?

ქალბატონის მიერ წარმოდგენილი „დოკუმენტები“, როგორც გაირკვა, ნაყალბევი იყო, თუმცა ნაყალბევი კი არა, თუნდაც ნამდვილი ყოფილიყო, როგორ აღმოჩნდა ეს დოკუმენტები კერძო პირის ხელში, მაშინ, როცა ეს დოკუმენტები სეიფში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი და მათთან წვდომა მხოლოდ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს უნდა ჰქონოდათ?

წესით და რიგით, მომხდარის გარშემო დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო გამოძიება, თუმცა არც გამოძიება დაწყებულა და არც ეს ქალბატონი შეუწუხებია ვინმეს ზედმეტი კითხვებით.

გათამამებული ქალბატონი ამის შემდეგ პირდაპირ სუს-ის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს მიადგა და მთელი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, გაზეთის ყველა ნომერში, უდიერად მოიხსენიებდა მას, ლანძღავდა, ცილს სწამებდა, აბუჩად იგდებდა.



მიზანმიმართული, კარგად დაფინანსებული და ორგანიზებული კამპანია, რომელიც ძალოვანი სტრუქტურების, განსაკუთრებით შსს-ის და სუს-ის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად, სინამდვილეში მთელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რომლის მთავარი ამოცანაა, დაასუსტოს და ძირი გამოუთხაროს იმ საძირკველს, რომელზეც სახელმწიფო დგას.

როდესაც მთელი ქვეყნის გასაგონად გამუდმებით იმეორებ და იმეორებ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უსუსური და უნიათოა. ასევე უსუსური და უნიათოა შინაგან საქმეთა სამინისტრო, განა ეს წამახალისებელი და წამაქეზებელი გზავნილი არ არის, როგორც მსოფლიოში სოკოებივით მომრავლებული ათასი ჯურის ტერორისტული ორგანიზაციებისთვის, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის კრიმინალებისა და ავაზაკებისთვის?

ამასთან ერთად, ყოველივე ეს განა უნდობლობას, შიშს და უიმედობას არ იწვევს ადამიანებში და ხელს არ უწყობს დისტანცირებისა და გაუცხოების პროცესს მოქალაქესა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის?

**უფრო უარესს რას გააკეთებს გარედან შემოგზავნილი აგენტურა, ვიდრე ეს შინაური მტრები აკეთებენ, რომლებიც თავიანთ დესტრუქციულ ქმედებებს ხან მედიის, ხან ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით ნიღბავენ,** რომლებსაც, არავინ იცის,

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ვინ აფინანსებს, ისევე, როგორც არავინ იცის, ვინ აფინანსებს იმ ელექტრონულ და ბეჭდურ მედიას, რომლებიც აშკარად ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ეწევიან, თუმცა ქართული სახელმწიფო ამაზეც მრავალმნიშვნელოვნად დუმს, რასაც კანონთან და სამართალთან ცუდად მოღლაბუცე ელემენტები მას სისუსტედ და უხერხემლობად უთვლიან.

არც დემოკრატია, არც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, არც ადამიანის უფლებები, რითაც ასე ღიად აშანტაჟებენ და ატერორებენ ქართულ სახელმწიფოს ლიბერასტული მიდრეკილებების ადგილობრივი „ტერორისტები“, არსად, არც ერთ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში არავის არ აძლევს უფლებას, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ გაილაშქრონ.

22 ნოემბრის ტერაქტი, როგორც წერილის დასაწყისშივე ვთქვით, ლუსტრაცია იყო – ერთის მხრივ, მოხდა ლუსტრაცია იმისა, რომ მავანთა და მავანთა გულის გასახეთქად დამტკიცდა, რომ ქართული სახელმწიფო არსებობს და მას კრიტიკულ სიტუაციაში ადვილად შეუძლია ოპერატიულად მობილიზება და განსაცდელთან გამკლავება, მეორე მხრივ, ეს იყო ლუსტრაცია იმ ადამიანებისა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით ქართული სახელმწიფო არ უყვართ.

●

**22 ნოემბერს სახელმწიფო სტრუქტურებმა – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სპეციალური დანიშნულების რაზმმა, მერიამ, უშეცდომოდ და უნაკლოდ რომ იმუშავეს, ამას ნებისმიერი ობიექტური ექსპერტი დაადასტურებს**, თუმცა მაინც გამოჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ.

სკეპტიკოსები, ძირითადად, „ნაციონალები“ ან ყოფილი „ნაციონალები“ (თუმცა, საკითხავია, შეიძლება ყოფილი „ნაციონალები“ არსებობდნენ?) იყვნენ, რომლებიც სინანულს გამოთქვამდნენ, რომ ახლა, ამ მომენტში, ხელისუფლებაში არ იყვნენ, თორემ სასწაულებს ჩაიდენდნენ.

კი, ვიცით, თქვენ რასაც ჩაიდენდით – ქვას ქვაზე დაადუღებდით და სპეცოპერაციას ოცი საათის ნაცვლად ორ საათში დაამთავრებდით, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ორჯერ (თუ მეტჯერ არა) მეტი იქნებოდა დაღუპულთა რიცხვი, ორჯერ (თუ მეტჯერ არა) მეტი იქნებოდა მატერიალური ზარალი, რაც მოსახლეობას მიადგებოდა, მაგრამ ასეთ „წვრილმანებზე“ თქვენ როდის გინაღვლიათ, რომ ახლა გენაღვლათ, ნაცებო?

„რუსთავი-2“-ზე ექსპერტად მიწვეული გივი თარგამაძე (სხვა ვერავინ ნახეს) ძილბურანში მყოფი თუთიყუშივით იმეორებდა: – ცოდვის კითხვა არ არის, ნაკანი ციხეში იჯდეს (სპეცოპერაციების „დიდოსტატი“ ვანო მერაბიშვილი რატომღაც არ გახსენებია) და ეს უვიცები ატარებდნენ სპეცოპერაციასო?!

თქვენ ვის რა უნდა ასწავლოთ, მუხროვანის „ამბოხის“, ლაფანყურის სპეცოპერაციის, აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის, ნავთლუღში სამი უდანაშაულო ახალგაზრდის ლიკვიდაციის და სხვა უამრავი უბედურებების ავტორებმა?!.

რასაც თქვენ აკეთებდით, ეგ სპეცოპერაციები კი არა, მკვლელობები იყო!

22 ნოემბერს, ქართული სახელმწიფო 20 საათის განმავლობაში სთხოვდა ტერორისტებს, ცოცხლად ჩაბარებულიყვნენ.

ასეთი მიდგომა კი სრულიად გაუგებარი და უცხო რამ არის „ნაციონალებისთვის“, რომლებიც ადამიანებს ისე სასტიკად და დაუნდობლად ექცეოდნენ, თითქოს ისინი ადამიანები კი არა, აბეზარი კოღოები ყოფილიყვნენ.

აი, ეს არის განსხვავება „ნაციონალებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

ცალკე განხილვის, გნებავთ, გამოძიების საგანი უნდა გახდეს, თუ რატომ გადასცემდა „რუსთავი-2“ პირდაპირ ღია ეთერში სპეცოპერაციის მსვლელობას და ვისთვის იყო განკუთვნილი ის სადაზვერვო ხასიათის „სვოდკები“, რომლებსაც ის უწყვეტ რეჟიმში აქვეყნებდა.

„რუსთავი-2“-მა მხოლოდ აღშფოთებული მოქალაქეების დაჟინებული და კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ შეწყვიტა ეს უმსგავსობა.

ამ ამბავმა ტელეკომპანიის შავბნელი წარსულიდან ის მომენტი გამახსენა, როცა „რუსთავი-2“ კოდორის ხეობის გავლით აფხაზეთისკენ მიმავალ გილაევის რაზმს ედგა კვალში და მორბენალი სტრიქონის საშუალებით ზუსტად ამცნობდა მაყურებელს, როგორ გადაადგილდებოდა რაზმი, რა გზით მიდიოდა, სად დასცემდა ხოლმე ბანაკს და ა. შ.

თუ ვინმესთვის იყო ეს ინფორმაციები საინტერესო, პირველ რიგში, საინტერესო იყო რუსული სადაზვერვო სამსახურისთვის, რომელსაც რატომღაც ასე უანგაროდ და უშურველად უწევდა ფასდაუდებელ დახმარებას პროდასავლური ორიენტაციის სახელით ცნობილი ტელეკომპანია.

მსგავსი მაგალითების მოყვანა „რუსთავი-2“-ის მოღვაწეობიდან მრავლად შეიძლება, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს, რომ ვითომდა დასავლური ღირებულებების ერთგულ ტელეკომპანიას, შეიძლება პარალელურად სხვებისთვისაც ჰქონდეს სული მიყიდული.

ასეა თუ ისეა, 22 ნოემბერს „რუსთავი-2“ ბევრს ეცადა, რაღაც ისეთი შეცდომა დაეშვებინებინა ხელისუფლებისთვის, რომელსაც მერე ძმრად ამოადენდა, მაგრამ ამჯერად კოვზი ნაცარში, უფრო ზუსტად, მიკროფონი, ნაცარში ჩაუვარდა.

ვის არ უხმეს, ვინ არ მოიწვიეს, ვინ არ ალაპარაკეს – ახლავე, ამ წუთასვე, გვითხრას ხელისუფლებამ, ვინ არიან ეს ტერორისტები, საიდან მოვიდნენ, რა მიზნები ჰქონდათ? ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოება დაუყოვნებლივ ჩააყენოს საქმის კურსში და ყველა ინფორმაცია მიაწოდოსო, – გვიმტკიცებდნენ „რუსთავი-2“ და მისი რესპონდენტები თუ ამფსონები. ეს კატეგორიული მოთხოვნები კი მაშინ ისმოდა, როცა ტერორისტები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და ინფორმაციის გაჟღერება მათი ვინაობის შესახებ, არავინ იცის, რომელ ტერორისტულ ორგანიზაციას დააყენებდა ფეხზე გასაჭირში ჩავარდნილი თანამებრძოლების საშველად და დასახსნელად.



●

მთელი XIX საუკუნის ქართული მწერლობა ერთ მთავარ მიზანს ემსახურება – როგორ აღზარდოს ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტად, ნამდვილ მამულიშვილად, მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მოქალაქედ, მორალურად, ზნეობრივად სრულყოფილ პიროვნებად.

**არა მხოლოდ ერთი ილია ჭავჭავაძე ემსახურება ამ უმთავრეს მიზანს, არამედ იმდროინდელ მწერლობაში ყველა ილია ჭავჭავაძეა – ზოგი ნიჭიერი, ზოგი ნაკლებად ნიჭიერი, მაგრამ თავისი პოზიციით და მსოფლმხედველობით ყველა ილიაა – მისი ასლი და განმეორებაა.**

XIX საუკუნეში, მართალია, ოფიციალურად არ გვაქვს დამოუკიდებლობა, არ გვაქვს სახელმწიფო, სამაგიეროდ, გვაქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნასაზრდოები იდეოლოგია, რომელიც ეხმარება ერს, ერად დარჩეს და თავისი სახე შეინარჩუნოს.

დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ ყველანაირი იდეოლოგია, მათ შორის, ეროვნული იდეოლოგია, საერთოდ არ არის საჭირო, თუმცა ამის მთქმელებს „ავიწყდებათ“, რომ ესეც იდეოლოგიაა, ოღონდ, ანტისახელმწიფოებრივი, ანტინაციონალური.

შემთხვევითი არ არის, რომ ლიბერალური ღირებულებების მქადაგებლები სახელმწიფოს, სახელმწიფოებრიობას, საერთოდ წარსულის გადმონაშთად მიიჩნევენ, რომელიც ზღუდავს და ჩარჩოებში აქცევს ადამიანის უფლებებს, მის თავისუფლებას.

ეს იმდენად ვრცელი და ფართო თემაა, მასზე აქ საფუძვლიან საუბარს ვერ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ ერთს: დღეს, როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ამ სახელმწიფოს ინტელექტუალურმა ნაწილმა უფრო ნათლად და ვრცლად უნდა უთხრას ადამიანებს, რა ურთიერთობები, რა ურთიერთვალდებულებები არსებობს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის.

დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოპოვება არ არის ერთჯერადი აქტი, რომლის შემდეგაც შეგიძლია გულხელდაკრეფილი დაჯდე, ქვეყანა კი თავისით აშენდება და დამშვენდება.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა მარადიული, უწყვეტი პროცესია, სადაც ქვეყნის თითოეული მოქალაქე



მთლიანად უნდა დაიხარჯოს და ყველაფერი გასცეს გამარჯვებისთვის, წარმატებისთვის.

**ჩვენ ხშირად უნდა დავსვათ კითხვა: – რად გვინდოდა, რაში გვჭირდებოდა დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლისთვისაც ასე თავგანწირულად ვიბრძოდით, თუ ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ გავუფრთხილდებოდით, არ ვუპატრონებდით, არ გავაძლიერებდით, თუ ყველანი მის ერთგულ ჯარისკაცებად არ ვიქცეოდით?**

აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი მტრულად არის განწყობილი ქართული სახელმწიფოს მიმართ-მეთქი, ვთქვი ზემოთ.

ხომ საინტერესოა, რატომ ხდება ეს, რა არის ამის მიზეზი?

იქნებ ის, რომ ილია ჭავჭავაძე „უბორნიის მწერლებით“ ჩავანაცვლეთ, მერე ამ მწერლებს პრემიები ჩამოვურიგეთ და ტელევიზორებში ჩავასახლეთ, რომ იქიდან ერი დამოძღვრონ და ახალ „ფასეულობებს“ „აზიარონ“.

ერთხელ დავწერე და კიდევ გავიმეორებ: ერი, რომელიც უდრტვინველად და უპროტესტოდ შეეგუება მკრეხელურ ფრაზას „ჩემი დედა მოვ...ნ“, აქედან ერთი ნაბიჯი რჩება მეორე, არანაკლებ თავზარდამცემ ფრაზამდე „ჩემი სახელმწიფოს დედა მოვ...ნ“.

სასმწუხაროდ და საუბედუროდ, ეს ფრაზა უკვე გაისმა ამ დღეებში...

ალბათ, ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ქართველი კაცი სიამაყით ამბობდეს:

ეს ჩემი პოლიციაა!
ეს ჩემი სუს-ია!
ეს ჩემი ხელისუფლებაა!
ეს ჩემი საქართველოა!



# „ახალი იალტა“ და მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკის კონტურები

მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში პოლიტიკური ვითარება სულ უფრო არასტაბილური ხდება. გამართლდა იმ პოლიტიკოსების მოსაზრება, რომლებიც აცხადებენ, დღეს ევროპაში ლიდერი პოლიტიკოსების დეფიციტიაო. შედეგად კი მსოფლიოში ცხელი წერტილები მომრავლდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სამყაროში გავლენის სფეროების ახალი გადანაწილება მიმდინარეობს. ამიტომაც ცდილობენ, შედარებით მდიდარი და ძლიერი ქვეყნები საკუთარი ინტერესების წინ წამოწევას საერთაშორისო მასშტაბით.





ამასობაში მთავარი პოლიტიკურ მოვლენების ეპიცენტრად რუსეთი იქცა. ერთ-ერთი მთავარი მოვლენა სოჭში რუსეთის, ირანისა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრა გახლდათ. საუბრის ძირითადი თემა სირიის საკითხი გახლდათ. სამიტს უცხოეთის ქვეყნების ავტორიტეტულმა გამოცემებმა უმაღლესი შეფასება მისცეს. საინტერესოა, რომ უცხოელმა ჟურნალისტებმა სოჭის შეხვედრა „ახალ იალტად“ მონათლეს (მხედველობაში ჰქონდათ 1945 წელს იალტაში სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის შეხვედრა). მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ იალტაში სწორედ მეორე მსოფლიო ომის მიწურულს შედგა სამიტი, სადაც გერმანიის მომავალი განიხილესო.

სამმხრივი შეხვედრის წინა დღეებში ასევე სოჭში იმყოფებოდა სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმირ პუტინთან გამართა ხანგრძლივი შეხვედრა. პრესასთან შეხვესრისას ასადმა რუსეთს მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის. ბაშარ ასადთან საუბრის შემდეგ ვლადიმირ პუტინი ტელეფონით ესაუბრა ისრაელის პრემიერს, საუდის არაბეთის მეფეს, ეგვიპტის პრეზიდენტს. დონალდ ტრამპთან პუტინის საუბარი საათნახევარი გაგრძელდა. ტრამპმა პუტინი-ასადის შეხვედრას საუკეთესო შეფასება მისცა. თუმცა, ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში პოზიციები დათმო და მაყურებლის როლში დარჩა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სუდანის პრეზიდენტის ომარ ალ ბაშირის განცხადება, რომელიც მან რუსეთში ვიზიტისას გააკეთა: „... ჩვენ წინააღმდეგი ვართ არაბული ქვეყნების შინაურ საქმეებში აშშ-ისა და სხვა ქვეყნების ჩარევისა. რომ არა რუსეთის ჩარევა სირიის კონფლიქტში, საერთოდ დავკარგავდით ქვეყანას“.

ვიდრე პოლიტიკოსები მსჯელობენ, სირიაში შევიწროებულმა რადიკალურმა ისლამისტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გადაინაცვლეს. სწორედ მათ უკავშირებენ ეგვიპტეში განხორციელებულ არნახულ სისხლიან ტერორისტულ აქტს, რის შედეგადაც 300-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის, 27 ბავშვი დაიღუპა. ამის გარდა, ავღანეთში 20 ადამიანი იმსხვერპლეს ტერორისტებმა. საყურადღებოაა ის გარემოებაც, რომ ტერორისტები ევროპის ქვეყნებს ღიად ემუქრებიან საშობაოდ ტერორისტული აქტებით. ეს უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ხელისუფლებამაც. მართალია, ახლახან ავიცილეთ მოსალოდნელი დიდი უბედურება, მაგრამ, როგორც ამბობენ, „ეშმაკს არ სძინავს“...



„ბებერი ქალბატონის“ ევროპის, კონტინენტზე გარეგნულად ერთი შეხედვით თითქოს სიწყნარეა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, სიმშვიდე მოჩვენებითია. ევროკავშირის ჩინოვნიკები ქვეყნების მჭიდრო ურთიერთობაზე კი საუბრობენ, მაგრამ რეალურად კავშირი მყიფეა. უნგრეთი კვლავ სასტიკი წინააღმდეგია, მიიღოს მიგრანტები. ქვეყანაში კვლავ გრძელდება მათი ყოფილი თანამემამულის, ავანტურისტი მილიარდერის სოროსის საწინააღმდეგო გამოსვლები. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მას ბრიუსელი და რამდენიმე ქვეყანა ფინანსურად ჰყავს დაპყრობილი და სწორედ მან მოახვია ევროპას მიგრანტებიო. ეს მაშინ, როდესაც მთელი რიგი ქვეყნები მიგრანტების უფლებების დაცვას ემხრობიან.

გერმანია ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. კანცლერი ანგელა მერკელი ლიდერად ითვლებოდა. თუმცა 24 სექტემბერს გამართული არჩევნების შემდეგ მისი პოზიციები საკმაოდ შეირყა. ქრისტიან-დემოკრატებმა არჩევნებში კი გაიმარჯვეს, მაგრამ მთავრობის დასაკომპლექტებლად არასაკმარისი ხმები მიიღეს. მიმდინარეობდა კონსულტაციები კოალიციური მთავრობის შესაქმნელად, თითქოს შეთანხმებასაც მიაღწიეს, მაგრამ რამდენიმე პარტიამ უარი განაცხადა კოალიციურ მთავრობაში მუშაობაზე. მათი განცხადებით, ეფექტურ მთავრობას ვერ შექმნიან და ამიტომაც უარს ამბობენ.

ვითარება საკმაოდ გართულდა და საქმეში პრეზიდენტი ფრანც ვალტერ შტაინმაიერი ჩაერთო, რომელსაც პოლიტიკუერ პენსიაზე გასვლასაც უწინასწარმეტყველებდნენ. მან მოლაპარაკება გამართა თანაპარტიელ სოციალ-დემოკრატ მარტინ შულცთან, რათა პარტია დათანხმებულიყო კოალიციური მთავრობის შექმნაზე. თუმცა შულცმა ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ მიიღო და პარტიას მიანდო საკითხის გადაწყვეტა.



პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ხელახალი არჩევნების შემთხვევაში მერკელი იმ ხმებსაც ველარ მიიღებს, რაც აქვს, ხოლო ვადამდელ არჩევნებს არ დათანხმდება. მოსახლეობა გაურკვევლობაშია, რაც გერმანელებს არ უყვართო, აცხადებენ ექსპერტები. მიმომხილველები ყურადღებას მიგრანტებზე ამახვილებენ. მათი თქმით, ბერლინის ცენტრში ალექსანდრ პლატცზე მიგრანტები იმდენ დანაშაულს სჩადიან, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები იქ გავლას ერიდებიან. პოლიცია კი ხელ-ფეხ შეკრულია, მათ უფლება არ აქვთ, მიგრანტებს რაიმე უთხრან. როგორც ამბობენ, მსგავსი რამ გერმანიის ისტორიას არ ახსოვს. ვნახოთ, როგორ გადაწყდება საკითხი — ბუნდესტაგი აირჩევს კანცლერს, თუ ახალი არჩევნები ჩატარდება, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ნათელია, მერკელმა, ფაქტობრივად, დაკარგა ავტორიტეტი და, შეიძლება, თანამდებობასაც შეელიოს.

ახლახან იტალიელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს დოკუმენტური ფილმი 2014 წელს „მეიდანზე“ დაღუპულების შესახებ. მათი რესპონდენტები სამი ქართველი მებრძოლია, რომლებიც დეტალურად ყვებიან იმდროინდელ ამბებს. მათ გვარებს ჩვენ ამჯერად არ გავიმეორებთ გარკვეული მოსაზრებით, მაგრამ ვინც ნახა ფილმი, მათ იციან.

მებრძოლების მონათხრობით, ბოგანო სააკაშვილის მითითებით ჩავიდნენ უკრაინაში. მათ ვინმე მამუკა მამულაშვილი ხელმძღვანელობდა. 2013 წლის შემოდგომაზე ჩასულ ორ მებრძოლს თავად ანდრეი პარუბი, რადას დლევანდელი სპიკერი დახვდათ. ერთიც 2014 წელს ჩავიდა. სასტუმრო „უკრაინაში“ დაბინავებულებთან ხშირად მიდიოდა პაშინსკი სააკაშვილთან ერთად, მოგვიანებით კი მათ კონსულტაციას ამერიკელი ინსტრუქტორი უწევდა. „ჩვენი დავალება იყო პროვოკაციის მოწყობა მომიტინგეებსა და სპეცრაზმს შორის“, — ამბობს ერთ-ერთი. როგორც გაირკვა, ერთმა მებრძოლმა უარი თქვა ხალხისთვის სროლაზე, სამაგიეროდ, ის ლიტველმა დაქირავებულებმა ჩაანაცვლეს. შედეგად, მაშინ „მაიდანზე“ ასამდე ადამიანი დაიღუპა.

ფილმმა დიდი რეზონანსი გამოიწვია და ბევრი კითხვაც დატოვა. განსაკუთრებით აინტერესებთ, თუ რატომ დასჭირდა პოროშენკოს მაინცდამაინც ახლა ეს ფილმი. მიიჩნევენ, რომ მან იცოდა ამ ფილმის გადაღების შესახებ. უკრაინელი ჟურნალისტი ელენა ბოიკო აცხადებს, რომ ინტერნეტში არსებობს კიდევ რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომლებიც მოგვითხრობენ იმდროინდელი „მაიდნის“ პერიპეტიებზე. ეჭვიანი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს ფილმი პოროშენკოს წისქვილზე ასხამს წყალს. ვარაუდობენ იმასაც, რომ პოროშენკოს შეუძლია თავის მართლება საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე — აგერ, ბატონო, მკვლელობები უცხოტომელებმა ჩაიდინესო. თითს საითაც გაიშვერს, დიდი მკითხაობა არ სჭირდება — ერთ-ერთი პირველი საქართველო იქნება. მით უფრო, როდესაც ფილმი სწორედ აღმოსავლეთ ევროპის სამიტის დაწყებამდე გამოჩნდა.

ექსპერტებს აქვთ კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვით პოროშენკოს შლეგ სააკაშვილთან არანაირი დაპირისპირება არ აქვს, ისინი შეხმატკბილებულად მოქმედებენ და ყველაფერი მოჩვენებითიაო. პოროშენკომ სააკაშვილს საფრთხობელას როლი მისცა თავის პოლიტიკურ თეატრში, რომლითაც დასვლეთის ქვეყნებს აშანტაჟებს — ჩემი გადადგომის შემთხვევაში, შესაძლოა, ხელისუფლების სათავეში ჩემზე არაადეკვატური ეს პიროვნება მოვიდესო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, გადმოგვცენ დამნაშავე სააკაშვილი, საკითხი დღემდე ჰაერშია გამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ექსპერტები აცხადებენ, რომ პოროშენკო რამდენიმე თამაშს ეწევა. დაკავების ნაცვლად, სააკაშვილი დადის და დემაგოგობს სხვადასხვა ტელევიზიებში. გასულ კვირას რადას დეპუტატ მასილჩუკთან ჰქონდა დებატები ერთ-ერთ ტელევიზიაში. კამათი იმდენად გამწვავდა, რომ მასილჩუკმა თავისი ყავარჯნით სააკაშვილის საცემად გაიწია, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიუშვეს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# სააკაშვილმა ფეთჰულაჰ გიულენის თხოვნით 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, რომლებშიც ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლების“ წევრებიც მრავლად არიან

## „ნაცმოძრაობის“ მიერ მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის ბოროტად გამოყენებით საქართველო ტერორიზმის სამიზნედაა ქცეული

*ეს ინტერვიუ წლეულს თებერვლის თვეში გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“. ინფორმაციები, რომელიც მაშინ შოთა აფხაიძემ მომაწოდა, გარკვეული მიზეზების გამო სრულად ვერ მოხვდა ამ ინტერვიუში. ამჯერად გთავაზობთ სრულ ტექსტს, რომელიც გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარი ტერაქტის შემდეგ ვფიქრობთ, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს - ირანდა კალანდაძე.*

• • •

***გვესაუბრება კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის დირექტორი შოთა აფხაიძე, რომელიც უცხოეთიდან თავად დაგვიკავშირდა.***

**— ბატონო შოთა, თქვენ ბრძანეთ, რომ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. უმძიმესი ვითარებაა ქვეყანაში შექმნილი. კონკრეტული ფაქტები დაგვისახელეთ.**

— საქართველოს, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოება დამოკიდებულია საგარეო და საშინაო ფაქტორებზე მოქალაქეობის მინიჭების — ნატურალიზაციის — კონტექსტზე. დღეს საქართველოს მოქალაქეობას ატარებენ პირები, რომელთა ვინაობა მათთვის მოქალაქეობის მინიჭების დროს პროცესუალური ნორმების დარღვევით



ფეთჰულაჰ გიულენი

მოხდა. უმეტეს შემთხვევებში, საქართველოს კონსტიტუციის და კანონის მოქალაქეობის შესახებ დარღვევის გზით. ეს პროცესი იმართებოდა კონკრეტული პოლიტიკური ძალის სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ფინანსური თუ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

მიხეილ სააკაშვილმა 2005–2013 წლებში მოქალაქეობა მიანიჭა 53 ათასზე მეტ ადამიანს. 2012–2013 წლებში საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მოთხოვნით, 1316 უცხოელმა მიმართა, საიდანაც 75 განცხადება დაკმაყოფილდა. თავშესაფრის მაძიებელი უცხოელების ძირითად რაოდენობას აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ.

სულ 2005–2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების 53 067 ფაქტი დაფიქსირდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ყველაზე მეტ უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა 2013 წელს მიანიჭა. მათი რაოდენობა სულ 9626 ადამიანს შეადგენს.

2005–2013 წლებში ბინადრობის ნებართვა უცხო ქვეყნის 40 100 მოქალაქეზე გაიცა, საიდანაც მუდმივი ბინადრობის ნებართვა 8791 პირზეა გაცემული, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა 31,309 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე.

მნიშვნელოვანია, ციფრის დაზუსტებისას მხედველობაში მივიღოთ ერთი ფაქტორი, რასაც ხელისუფლება და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მალავენ — 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით რუსეთის ფედერაციის 11 ათასზე მეტ მოქალაქეს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა და ესენი, ძირითადად, რუსეთის ფედერაცის ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების მაცხოვრებლები არიან.

საქართველოს პრეზიდენტმა თურქეთის რესპუბლიკის 1088 მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა განსაკუთრებული წესით მიანიჭა. აღნიშნული ბრძანებულება 2013 წლის 21 ოქტომბრით თარიღდება.

როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში განმარტავენ, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის მოქალაქეობას უცხო ქვეყნის მოქალაქეებს კანონით დადგენილი პროცედურების გვერდის ავლით საკუთარი ინიციატივით ანიჭებს. სააგენტოში აცხადებენ, რომ სწორედ ამ გზით მიანიჭა მან მოქალაქეობა თურქეთის 1088 მოქალაქეს.

ზემოთხსენებული სპეციალური წესით მოქალაქეობის მინიჭება 2013 წელს სააკაშვილს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, ცნობილმა თურქმა პოლიტიკოსმა და მეცენატმა **ფეთჰულა გიულენმა** სთხოვა, რომელსაც მეტად საეჭვო რეპუტაცია აქვს. მან, ფაქტობრივად „ნიურჯლარის — „რუხი მგლების“ წევრებისთვის თურქეთისა და არაბული ქვეყნების მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობა მოსთხოვა სააკაშვილს, რათა საქართველოში გადაადგილების ან სხვა სახის პრობლემები არ შექმნოდათ. სააკაშვილმა გიულენის თხოვნა შეასრულა და 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა დაჩქარებული წესით მიანიჭა თავისი პრეზიდენტობის ვადაში, ფეთჰულაჰმა მას დამატებით 200-კაციანი სია გადასცა. ამ ყველაფრის სანაცვლოდ კი გიულენმა სააკაშვილს მილიონობით დოლარი გადაუხადა. ეს ინფორმაცია იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმაც** დაადასტურა. ექსტრემისტი თურქები, რომლებსაც სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, დღემდე ბათუმში მოღვაწეობენ და მათ ფინანსურ უზრუნველყოფას მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია გიულენის მიერ დაარსებული უმაღლესი სასწავლებლებიდან შემოსული თანხებით უზრუნველყოფს.

მიხეილ სააკაშვილმა თურქული ნაღმი ტერორისტული ორგანიზაცია „რუხი მგლების“ სახით საქართველოში არეულობის მოსაწყობად ჩადო. დღეისათვის სააკაშვილს 3200 ისლამისტი რადიკალი თურქი მებრძოლი ჰყავს საქართველოს მოქალაქის პასპორტით, რომლებმაც პროფესიულ დონეზე იციან, როგორ ჩააგდონ საქართველო საფრთხეში.

**— ნაციონალები და მათი მომხრეები აცხადებენ — სააკაშვილმა აჭარა გაათავისუფლაო. საინტერესოა, ამ ინფორმაციის შემდეგ რას იტყვიან?**

— მნიშნელობა არ აქვს, ვინ რას იტყვის. ფაქტი ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილმა თურქეთს სრული ჰეგემონია მისცა აჭარაზე და ბათუმისა და თბილისის აეროპორტები თურქულ კომპანიას ჩააბარა. სწორედ ამ აეროპორტების დახმარებით მიხეილ სააკაშვილის უშუალო დავალებით ყოფილი თავდაცვის მინისტრი **დავით კეზერაშვილი** დაჯგუფება „რუხ მგლებს“ იარაღით ამარაგებდა.

ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, აშკარად შეინიშნება თურქეთის გამძაფრებული მადა, რომელიც აჭარას ჩაყლაპვას უპირებს. თურქებს აჭარაში გიულენისგან კარგად გაწვრთნილი და სააკაშვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობამინიჭებული ტერორისტები ჰყავს, ხელთ უპყრიათ ყარსის შეთანხმება, ხოლო თურქეთის ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში — „თურქთა აღთქმაში“, რომელიც დღემდე მოქმედებს, ბათუმი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

ხშირ შემთხვევაში, თურქი ისლამისტები ბიზნესით და მსხვილი ინვესტიციებით ნიღბავენ თავიანთ საქმიანობასა და ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, მაგალითად, თურქული კომპანია Metro Atlas Georgia, რომელიც უმსხვილესი Metro Holding-ის შვილობილია და სათაო ოფისიც სტამბულში მდებარეობს, ახორციელებს უმსხვილეს სამშენებლო პროექტს ბათუმის აეროპორტიდან 2 კილომეტრის დაშორებით. ერთი შეხედვით, ეს უბრალოდ სამშენებლო პროექტია, ხოლო თუ კარგად გავაანალიზებთ ამ პროექტის რეალურ მიზანს, იმთავითვე დავინახავთ უდიდეს საფრთხეს საქართველოსთვის შენელებული მოქმედების ნაღმის სახით.

**— რა საფრთხეა ეს?**

— საფრთხე გამოიხატება შემდეგში: ეს დასახლება, სავარაუდოდ, უნდა იქცეს რადიკალი ისლამისტების პლაცდარმად საქართველოში, სადაც ისინი ჩამოვლენ თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის არაბული სახელწიფოებიდან და აქ დასახლდებიან მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსით.

**— როგორც ამბობენ, ტერორისტული დაჯგუფებები და აგრესიის კერები არა მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე, საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობს...**

— დიდი ხანი არ არის, რაც სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთმა გენერალმა **ვალიდ აბაზამ** განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ („ელის“) სამხედრო ბაზები არსებობს.

მან თქვა, რომ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკები“ საბრძოლო მომზადებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საწრთვნელ ბანაკში გადიან, რომელიც საქართველოში, პანკისის ხეობაში მდებარეობს.





შოთა აფხაიძე

აბაზამ ასეთი განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც სირიის სამთავრობო ძალებზე „ბოევიკთა“ თავდასხმის დროს „ელის“-ის ერთ-ერთი მეთაური, აზერბაიჯანელი დაქირავებული **როვშან ბადალოვი** დაიღუპა. გენერლის თქმით, ბადალოვმა საბრძოლო წრთვნების კურსი სწორედ პანკისის ხეობაში გაიარა, ასევე რამდენიმე ათეულ ჩრდილო კავკასიელ მებრძოლს, რომლებიც ტყვედ ჩავარდნენ ან განადგურებული იქნენ სირიის სამთავრობო ჯარების მიერ, აღმოაჩნდათ ქართული პასპორტები. როგორც სირიის ძალოვანი სტრუქტურები იუწყებიან, მსგავსი პასპორტით დაახლოებით 400-მდე ჩრდილო კავკასიელი ბოევიკი იბრძვის ისლამური სახელმწიფოს რიგებში ახრარ-ალ-შამში, ალ-ნუსრაში, სირიის თავისუფალი არმიაში და სხვა დაჯგუფებებში. ეს 400–მდე ბოევიკი სწორედ რუსეთის ფედერაციის, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდანაა, რომელთაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა პოლიტიკური მიზნების გამო, უაპელაციოდ, განხილვის გარეშე, მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

**— ამ კუთხით სახელმწიფოს მიდგომა, რამდენადაც ვიცი, უფრო სერიოზული გახდა.**

— 2015 წელს ამ საკითხზე სახელწიფოს მიდგომა გაუმჯობესდა. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე 1286 პირი აიყვანეს, ხოლო 1014-ს ქვეყანაში შემოსვლა აეკრძალა. ეს სტატისტიკური მაჩვენებელი მოწმობს, თუ რამდენად მაღალია ისლამისტი რადიკალების მხრიდან მომდინარე საფრთხე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებმა უნდა შეადგინონ პოტენციური საფრთხის მატარებელი სუბიექტების, ანუ ტერორისტების სია, რაც, გარკვეულწილად, საქართველოდან სირიაში მებრძოლების გადინების შეჩერებას და შემოსვლას შეაჩერებს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18
„საერთო გაზეთი“ N2. 2017 წ.

# „ვფიქრობ, კიდევ რაღაც მზადდება, გაცილებით სერიოზული, ვიდრე 22 ნოემბრის ტერაქტი იყო“

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **დავით გაგნიძე** ისნის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული და დაკავებული პირების წინასწარ ტერორისტებად გამოცხადებას, არასწორად მიიჩნევს. მისი განცხადებით, სს-ის საქმე არა ტერორიზმის ბრალდებით, არამედ იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ძალოვანი სტრუქტურებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით უნდა აღძრულიყო.

**დავით გაგნიძე**: როგორ ამტკიცებენ, რომ ეს ხალხი ტერორისტები იყვნენ, სად არის მათი ტერორისტული საქმიანობის შედეგი ან მტკიცებულებები? სიმართლე გითხრათ, მე ამ ყველაფერში უცხოური სპეცსამსახურების ხელწერას უფრო ვხედავ, ეჭვს მიძლიერებს „რუსთავი-2“-ის ქმედებაც, რომელიც სულ მოქმედი ხელისუფლების კრიტიკაშია, ახლა კი



საოცრად ლოიალურები გახდნენ და სპეცოპერაცია კარგად დაგეგმილ-ჩატარებულად შეაფასეს. სპეცოპერაცია მართლაც კარგად ჩატარდა იმ კუთხით, რომ წინასწარ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია და არ იყო ამ მხრიდან მსხვერპლი, მისასალმებელია მთავრობის განცხადებაც, რომ იქ მცხოვრებთ მატერიალურ ზარალს აუნაზღაურებენ. სპეცოპერაციის მსვლელობისას საკმაოდ იყო ხარვეზები, მაგრამ ერთ ძირითადზე გავამახვილებ ყურადღებას, თუ ჩვენი სამართალდამცავები და უსაფრთხოების სამსახური ამდენი ხანი საქმის კურსში იყვნენ ტერორისტების არსებობის შესახებ, რა პრობლემა იყო მათი პიროვნების დადგენა და საცხოვრებელი კორპუსის გარეთ სათითაოდ აყვანა? აქ ერთი საინტერესო ფაქტიც მოხდა, ჯერ დამთავრებულიც არ იყო სპეცოპერაცია, რომ თურქეთის ხელისუფლებამ განცხადება გააკეთა, ერთ-ერთი ლიკვიდირებული პირი საერთაშორისო ტერორისტად აღიარებული აჰმედ ჩატაევიაო. საიდან იცოდა ან საერთოდ, რა შუაში იყო აქ თურქეთის ხელისუფლება, შემთხვევით ეს საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით ხომ არ გააკეთეს? თან ნახეთ რა პერიოდს დაემთხვა ისნის ინციდენტი, შს მინისტრი ახალი დანიშნულია, ამიტომ მას პასუხს ვერავინ მოსთხოვს, თუმცა ხსენებული ღონისძიების ჩატარება არც შსს-ს პრეროგატივაა, ასეთი ოპერაციები უსაფრთხოების სამსახურმა უნდა ჩაატაროს. დაღუპული ძალოვანიც ხომ უსაფრთხოების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის წევრი იყო. ხელისუფლებას რომ აკრიტიკებენ, ამდენი იარაღი უპრობლემოდ როგორ გადმოიტანეს საზღვარზეო, რათ უნდოდა შემოტანა, როცა ადგილზე უამრავი იარაღი და საბრძოლო მასალაა. ტერაქტის მომწყობებს ადგილზე ხვდება იარაღიც და სხვა საშუალებებიც, საწამლავი იქნება ეს, ქიმიური იარაღი თუ სხვა. რუსული ჯარი საქართველოდან რომ გავიდა, აქ იარაღის და საბრძოლო მასალის უზარმაზარი არსენალი დატოვეს, რომელიც სადაა მიმინებული, ერთეულებმა თუ იციან. ხალხსაც კი პირდაპირ ურიგებდნენ ავტომატებსა და ტყვია-წამალს გარკვეული „გასამრჯელოს“ ფასად. 1992 წელს, ზუსტად ეს იარაღი დაურიგეს ციხიდან ამნისტიით გამოშვებულ ყაჩაღებსა და სხვა ჯურის კრიმინალებს, რომლებიც ვითომდა აფხაზეთში საომრად გაუშვეს. ეს იარაღი ბოლომდეა ამოღებული? მავანთ ეკონომიურად რომ გაუჭირდათ, მერე დაიწყეს მისი გაყიდვა და როგორ გაიგებს პოლიცია გამყიდველ-მყიდველის ვინაობას, რომელი მათგანი იტყვის. არ გეგონოთ, რომ პანკისის ხეობაში ნაკლები იარაღია, ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს გვქონდა ეჭვი, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს პანკისში უამრავი იარაღი გადმოიტანეს და ჩამარხეს, პოლიგონი ჰქონდათ მოწყობილი, სადაც ახალგაზრდებს სროლას ასწავლიდნენ. განა ჩვენს ძალოვნებს არ შეეძლოთ ამ ყველაფრის აღკვეთა, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებას არ ჰქონდა ამის პოლიტიკური ნება.

ისნის სპეცოპერაციის შეფასებისას, მე იარაღის შემოტანაზე უფრო იმ საკითხზე გავამახვილებდი ყურადღებას, ამდენი ძალოვანს რომ კრიბავ ერთ კონკრეტულ ადგილზე, ამ შემთხვევაში გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, იქნებ სხვაგან იგეგმებოდა ტერაქტი და ეს უბრალოდ სატყუარა იყო. რა საჭირო იყო იმხელა ცოცხალი ძალის და ჯავშანტექნიკის იქ გადასროლა, როცა მაქსიმუმ 50 სპეცრაზმელი ჭირდება 3–4 კაცის აყვანას. ასეთ დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინო სატყუარა ხომ არ არის, რომ ყურადღება აქეთ გადაგვატანინონ და „მოშიშვლებულ“ ადგილზე დაგარტყან. მე რასაც ვუყურებ, ეჭვი მიჩნდება, რომ მართლაც „მოშიშვლებული“ დარჩა მნიშვნელოვანი ობიექტები. ხელისუფლებამ მერე თვითონვე აღიარა, ასეთი ოპერაციების ჩატარების გამოცდილება არ გვაქვსო. თუ თვითონ არ აქვთ, უსაფრთხოების სამსახურში ხომ დარჩნენ ძველი, გამოცდილი კადრები, მათ ჰკითხონ. 90-იან წლებში ვინც მუშაობდა ძალოვან სტრუქტურებში, სულ ასეთი წინააღმდეგობები არ არ გვქონდა შეიარაღებულ ბანდფორმირებებთან? ან ეს ჩეჩნები რატომ გამოყავთ „სუპერბოევიკებად“, ნამდვილად არ არიან ასეთი უძლეველები, თვითონ მქონია მათთან შეხება და კარგად ვიცი. 90-იან წლებში ახმეტის რაიონში პოლიციის ორ თანამშრომელს შეტაკება მოუხდა ჩეჩნებთან, მართალია, თვითონაც დაიღუპნენ, მაგრამ ორი მოწინააღმდეგე მოკლეს და ორიც დაჭრეს. დავიჯერო ვერ ხვდებიან, რომ ჩეჩნების გაფეტიშებით, ჩვენს ბიჭებს აყენებენ შეურაცხოფას. ან ფეისბუქში დადებული პოსტის გაპიარება რა საჭირო იყო, ვიღაც რომ იმუქრებოდა, ძმის მოკვლას არ გაპატიებთ, ათასებს გავაყოლებთო, ამით ხომ ხალხში პანიკას თესავენ. იმ დღეებში სამედიცინო დაწესებულებები გადაჭედილი იყო შიშისგან დაზაფრული ხალხით. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოსთხოვოს პასუხი ყველას, ვინც იმ ვიღაც ტვინგაცხელებულის მუქარის ტირაჟირება მოახდინა, ხალხის დაშინება ნაკლები ტერორისტული აქტი ხომ არ გგონიათ. როგორც გითხარით, ამ ყველაფერში უცხო ქვეყნების, კერძოდ, დასავლური სპეცსამსახურების კვალს ვხედავ, მაგრამ ეს რაში ჭირდებოდათ, დაზუსტებით ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, თუმცა რამდენიმე სავარაუდო ვერსიაზე შეგვიძლია ვისაუბროთ. შეიძლება უნდოდათ რუსეთის მოქალაქეები გამოეჩინათ და ხმაურით აეყვანათ იმის სათქმელად, ხომ ხედავთ რუსეთი რას აკეთებს საქართველოშიო. ქართველ ძალოვნებთან კი მაქვს შენიშვნა, ქუჩაში რატომ არ აიყვანეს ის ხალხი, მაგრამ მისცეს კი მათ ამის უფლება? შეიძლება ოკეანისგაღმელმა „ინსტრუქტორმა“ არ დართო ნება, უხმაუროდ მომხდარიყო იმ ადამიანების დაკავება, რომელიც წინასწარ ჩეჩენ ტერორისტებად შევრაცხეთ. უდანაშაულობის პრეზუმფცია რომ გვაკერია ენაზე, ესეც შერჩევითია? ნაცები და მათი განაყრები თავს იწონებენ, ჩვენმა რუპორმა „რუსთავი-2“-მა გააღვიძა მთავრობის წევრები, არაფერი იცოდნენ ამხელა სპეცოპერაცია რომ მიმდინარეობდაო. ზუსტად ეს ადასტურებს, რომ ოკეანისგაღმიდან მოწყობილი იყო ყველაფერი და პირველი ინფორმაციაც მათ მთავარ დასაყრდენ ტელევიზიას მიაწოდეს. არ არის გამორიცხული ხმაურიანი სპეცოპერაცია იმისთვის ჭირდებოდათ, რომ მოსახლეობაში ფსიქოზი გამოეწვიათ, რასაც გარკვეულწილად მიაღწიეს კიდეც. ვფიქრობ, კიდევ რაღაც მზადდება, თანაც გაცილებით უფრო სერიოზული, ვიდრე 22 ნოემბრის ტერაქტი იყო. აგერ სპეცოპერაციის მეორე თუ მესამე დღეს ბათუმში თურქების კუთვნილი სასტუმრო დაიწვა, რასაც რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა, რამაც ბუნებრივია, საშინლად იმოქმედა ჩვენს ხალხზე. მე შემთხვევითი არც რუსების ის ნათქვამი მგონია, ერდოღანს როგორც უნდა, ისე ათამაშებს საქართველოსო. ფაქტია, თურქეთი აშკარად ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში. დარწმუნებული ვარ, ზამთარში რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი მოხდება, მიმდინარე მოვლენებს თუ კარგად გავაანალიზებთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, მსოფლიო „მამები“ რუსეთს თავისი გავლენის სფეროებს უბრუნებენ, ამ შემთხვევაში საქართველოს სახით.

— **დავაკონკრეტოთ თქვენეული დასკვნის საფუძველი.**

— გავრცელებული ინფორმაციით, ის ბინა ისანში, რომელშიც ხსენებული პირები ცხოვრობდნენ, ავსტრიაში მცხოვრებ პანკისელ ქისტს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ ავსტრიაა პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების „ნავსაყუდელი“, თითქმის ყველა კრიმინალური „ლიდერი“ ვენაში ცხოვრობს. ჩემი ვარაუდით, რომ საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი პროცესები ავსტრიიდან იმართებოდა. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს დამნაშავეთა სამყაროს მჭიდრო ურთიერთობა აქვს თავისი ქვეყნის ხელისუფლებასთან, რეალურად იქაური სპეცსამსახურები მართავენ თანამემამულე კრიმინალებს, იაპონურ „იაკუძას“, ჩინურ „ტრიადას“ და ა.შ. პოსტსაბჭოთა სივრცის კრიმინალური სამყარო ე.წ. კანონიერი ქურდების თაოსნობით,



რუსეთის გავლენის სფეროა, რა გასაკვირია, რომ ავსტრიაში თავშეყრილი კრიმინალური „ბოსებიც“ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იმართებოდეს. ამიტომ მივიჩნევ, რომ რუსეთს გავლენის სფეროებს უბრუნებენ. რუსეთი ღიად რომ არ ჩანს, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, მის საქმეს სხვები აკეთებენ. ისნის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, საქართველოში შეიძლება მხოლოდ ერთი-ორმა კაცმა თუ იცოდა სინამდვილეში რა ხდებოდა, დანარჩენებმა, მათ შორის იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც სპეცოპერაციისას დაიღუპნენ, შეიძლება არაფერი იცოდნენ. მათ უბრალოდ ეტყოდნენ, იყავით მაგ ბინაში და თუ ვინმე მოვიდა, წინაღმდეგობა გაუწიეთო. დიდი ეჭვი მაქვს, რომ უცხოური სპეცსამსახურების გაკეთებულია ეს ყველაფერი, რაშიც ჩეჩნები ბრმა იარაღად გამოიყენეს, როგორც ლაფანყურის დროს. საზოგადოებამ დღემდე არ იცის, საიდან და რა მიზნით მოგვევლინნენ ის შეიარაღებული დაჯგუფება, რომლის წევრების უმეტესი ნაწილი მძინარეები დახოცა მაშინდელმა ხელისუფლებამ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც ვერ გავიგეთ, რეალურად რა მოხდა კახეთში. ვფიქრობ, ვერც ახლა გავიგებთ. ერთ-ერთი მათგანი თუ მართლაც ჩატაევი იყო, ჯერ ამის დადგენა რა დიდი პრობლემაა, როცა მისი დნმ, თითის ანაბეჭდები არსებობს, ისიც მაინტერესებს როგორ შემოაღწია ამერიკელების მიერ საშიშ ტერორისტად გამოცხადებულმა ადამიანმა, როცა ამერიკა აკონტროლებს აქ ყველაფერს, თუ რაიმე წინასწარ არ იყო დაგეგმილი. ადგილობრივი დიდ ექსპერტობაზე პრეტენზიის მქონე პერსონებიც



რომ ადასტურებენ, ჩატაევი იყოო, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია, დაესიზმრათ, იქნებ სულ სხვა პიროვნება იყო? ცალფეხა და ცალხელა კაცი ასე იბრძოლებს, კბილებით აძრობდა „ლიმონკას“ და ისე ისროდა? ერთ-ერთი მათგანი ჩატაევის დაცვის წევრი იყოო, მარტო ამით ვამტკიცებთ, რომ ჩატაევიც იქ იყო? გამორიცხავთ, რომ ხელყუმბარის აფეთქებისას მოწყდა იმ ვიღაცას კიდურები? თუ მართლაც ჩატაევი იყო, ოფიციალურ წყაროს რომც არ დაედასტურებინა, ინფორმაცია მაინც გამოჟონავდა.

არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ისნის ინციდენტში მონაწილე ახალგაზრდები ფსევდოხალიფატის მებრძოლები იყვნენ, რომლებიც რუსეთის წარმატებული საბრძოლო ოპერაციის შემდეგ, საქართველოს გავლით ჩეჩნეთში ბრუნდებოდნენ. თუ ზუსტი ინფორმაცია არ გაქვს, მტკიცებას ვერ მოყვები, მაგრამ ვფიქრობ, დიდი ალბათობით ის ხალხია, კადიროვის მომხრე ჩეჩნები ქართველ ძალოვნებს ამხელა წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, ჩაბარდებოდნენ, რისი ეშინოდათ. სპეცოპერაციის რეალური ხელმძღვანელების ინტერესში არ იყო, რომ ეს ხალხი რუსეთში გადასულიყვნენ, საქართველოში უნდა მომხდარიყო ლოკალური შემთხვევა, ეგ ჯგუფი თუ არ იქნებოდა, სხვები გამოჩნდებოდნენ, მათ მოუწყობდნენ ანალოგიურ ღონისძიებას. მათი ცოცხლად აყვანა, ალბათ არც უნდოდათ, რა გარანტია ჰქონდათ, რომ არ ალაპარაკდებოდა ის ხალხი. მთავარი იყო ქართველებისთვის ეჩვენებინათ, ხომ ხედავთ რუსები რას გიწყობენ, ტერიტორიების ნაწილი წართმეული გაქვთ, სხვა გამოსავალი არ გაქვთ, რუსეთის გავლენის სფეროში უნდა დაბრუნდეთ, ჩვენც მოგეხმარებითო. ამიტომ ვამბობ, რომ კიდევ მოხდება რაღაც. მოკლედ, რუსეთი სხვისი ხელით აგვარებს ყველაფერს. პუტინმა თუ არ ვცდები, ორი წლის წინ თქვა, მსოფლიოს გადანაწილება დასრულებულიაო, მაგრამ ამერიკელების რაღაც ჯგუფი ვერ თმობს საქართველოს, რადგან აქ დიდი ფული აკეთეს და იგივეს გაგრძელება უნდათ. სად წავიდა ის ოთხი მილიარდი, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ წამოვიდა საქართველოში, რომელზეც დღეს რატომღაც ხმას არავინ იღებს. ჩვენი ხალხისთვის უკეთესობისკენ შეიცვალა რამე ამხელა ფულის შემოსვლის შემდეგ, უფრო პირიქით მოხდა. მარტო სააკაშვილს რომ მიეთვისებინა ის ფული, ვინ აპატიებდა, მაშინვე გააგორებდნენ. „ატკატი“ დაბრუნდა უკან და იმ ხალხმა მიიღო, ვინც ყველაზე მეტს გაჰყვირის. უკრაინაშიც ზუსტად ფულის გამო მოეწყო ევრომაიდანი.



**— ბატონო დავით, საქართველოში აქამდე სიმშვიდე იყო, არ გავმხდარვართ ტერორისტების სამიზნე. ეს საქართველოს იმ მოქალაქეების დამსახურება ხომ არ იყო, რომლებიც ფსევდოხალიფატის მხარეს იბრძოდნენ და გავლენიანი პოზიციები ეკავათ?**

— ეს სიმშვიდე პიროვნებებზე დამოკიდებული ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, საქართველო იყო ე.წ. გადასატვირთი პუნქტი, სადაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ მუსულმანები, ჩამოჰქონდათ ფული, იმართებოდა რუსეთის საწინააღმდეგოდ მოლაპარაკებები, საქართველოს გავლით გადიოდნენ მებრძოლები ახლო აღმოსავლეთისა და რუსეთისკენ, აქედან გამომდინარე, არავის აწყობდა აქ არეულობა. არცერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ არის გარეული ისნის ინციდენტში, ეს უცხოური სპეცსამსახურების ნამოქმედარია, რომლებმაც ის უბედური ჩეჩნები მოატყუეს და შეყარეს მანდ. რა თამაშს თამაშობს ერდოღანი, რომელმაც ჩატაევის საქართველოში ყოფნა „დაადასტურა“, ეს კიდევ ცალკე საკითხია, მას ადვილად ვერავინ გაუგებს ვისი მოკავშირეა, ასე რომ, ჭკუას მოვუხმოთ. რუსეთს რა თქმა უნდა აწყობს საქართველოში არეულობა, მაგრამ მათ კვალს ამ მოვლენებში ვერ ვხედავ, კრემლს ისეთი ძლიერი აგენტურა ჰყავს, რომ უფრო სხვანაირად მოაწყობდნენ ყველაფერს, ყოველ შემთხვევაში თავის მოქალაქეებს არ გამოუშვებდა აქ რაიმე ოპერაციის განსახორციელებლად. მაშინვე ტერორისტის იარლიყი რომ მიაწებეს იმ ხალხს, იქნებ იარაღით მოვაჭრეები იყვნენ, ახალი ამბავია საქართველო ნარკობიზნესის და იარაღით ვაჭრობის სატრანზიტო ქვეყანად რომ ითვლება?

საერთოდ არსებობს ოპერატიული მუშაობის ორი მეთოდი, გერმანული და ანგლოსაქსური, მეფის რუსეთი, კომუნისტები და საქართველოც, „ვარდების რევოლუციამდე“ გერმანული სისტემით მუშაობდა. ოპერატიულად ვადგენდით დამნაშავეს და ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე ხდებოდა მისი აყვანა. ამერიკელები ანგლოსაქსური სისტემით მუშაობენ, წინასწარ გაჰყვირიან, მოვდივართო. სპეცოპერაციის მიმდინარეობისას პოლიციისა თუ სხვა სამსახურების მაღალჩინოსნები სატელევიზიო კომენტარებს არიგებენ. ჩვენი მედიასაშუალებები ხომ არ უნდა ჩამორჩნენ ამერიკელ კოლეგებს, ხშირად ამათი აქტიურობა, განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების, თავხედობაში გადადის, რაც ძალზე გამაღიზიანებელია.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ცაში აღმართული შუშის კუბოები

## ანზორ საკანდელიძე:
## „ლეოგრანდის“ ტრაგედიამ დაადასტურა, რომ ეროვნული კატასტროფის წინაშე ვდგავართ

**ბათუმში მომხდარი ტრაგედიის გამო, საქართველოს პრემიერ მინისტრისა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 27 ნოემბერი საქართველოს ტერიტორიაზე გლოვის დღედ გამოცხადდა. ბათუმში, 5 ვარსკვლავიან სასტუმრო „ლეოგრანდში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად, 11 ადამიანი, მათ შორის, 10 საქართველოს, ხოლო 1 ირანის რესპუბლიკის მოქალაქე გარდაიცვალა. ტრაგედიის შემდეგ, სოციალურ ქსელებში უმძიმესი ფოტოები გავრცელდა, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ ცდილობს ერთ-ერთი გარდაცვლილი ხანძრის დროს, ფანჯრის ჩამტვრევას და თავის გადარჩენას.**

**სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილი ტრაგედიას სააკაშვილის ხელისუფლების დროს, სამშენებლო სტანდარტებიდან ინჰალაციის, ინსოლაციისა და სახანძრო უსაფრთხოების ამოღებას აბრალებს. ნაწილი მიიჩნევს, რომ ქობულეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელსაც სამი მოზარდის სიცოცხლე შეეწირა, ვერაფერი გვასწავლა, რასაც 5 ვარსკვლავიან სასტუმროში ადამიანების ბოლოთ გაგუდვაც მოწმობს. სოციალურ ქსელებში საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითად ევროპაში ყველაზე დიდი ბერლინის აეროპორტის მშენებლობას ასახელებენ, რომელიც სამი წლის წინ უნდა გახსნილიყო, მაგრამ დღემდე ვერ იხსნება, რადგან შესაბამისი სახელმწიფო ორგანო სახანძრო სისტემის გაუმართაობის გამო, უარს ამბობს შენობას უსაფრთხოების სერტიფიკატი გადასცეს. ამ ამბავს ბერლინის მერის თანამდებობაც კი შეეწირა. ხოლო სახელმწიფოს მშენებლობის დროს გაპარული ხარვეზების გამოსწორება 2 მილიარდი დოლარი დაუჯდა.**

**სასტუმროს თურქმა მფლობელმა, ბიზნესმენმა ეროლ ავგორენმა თურქულ სააგენტო „ანადოლუსთან“ საუბრისას, მომხდარში ნაწილობრივ, გარდაცვლილები დაადანაშაულა. ბიზნესმენის თქმით, ხანძრის დროს, გარდაცვლილები კიბით ქუჩაში კი არ გაიქცნენ, გარდერობიდან საკუთარი ნივთების აღება გადაწყვიტეს. დაცული იყო თუ არა სასტუმროში სახანძრო უსაფრთხოების ნორმები და რა გახდა ახალგაზრდა ადამიანების დაღუპვის მიზეზი? მთავარი კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება. სანამ გამოძიება თავის შედეგებს დადებს, ტრაგედიის მიზეზებზე სასაუბროდ, საქართველოს მშენებელთა ლიგის თავმჯდომარეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს ანზორ საკანდელიძეს დავუკავშირდით:**





— დავიწყებ იმით, რომ ქვეყანაში სახანძრო უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს და სრული ქაოსი და გაუგებრობაა. 2002 წლიდან მოქმედებდა ბუნებრივი განათებისა და ინსოლაციის კანონი, რომელიც 2008 წელს ნაციონალების ხელისუფლებამ გააუქმა, რომ რაც შეიძლება მეტი ფართი მიეტაცებინა. სწორედ ამის შედეგია ერთმანეთზე მიდგმული შენობების მომრავლება. სპორტის სასახლესთან, მჭიდროდ განაშენიანებულ ალექსიძის ქუჩაზე ან ვაკის აუზთან ისეთი ვიწრო გასასვლელებია, რომ სახანძრო მანქანამ შეიძლება საერთოდ ვერ გაიაროს. ეს არის უსერიოზულესი საფრთხე, რომელსაც სასწრაფოდ მიხედვა ჭირდება.

**— გავრცელებული ინფორმაციით, სასტუმროში გარდაცვლილთა უმეტესობა კვამლით არის გაგუდული. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია სწრაფი და ძლიერი დაკვამლიანება?**

— ეს პირდაპირ დაკავშირებულია იმასთან, რომ შიდა მოპირკეთებისთვის სწრაფად აალებად მასალებს იყენებენ, რომლებიც წვის დროს, მომწამვლელ ნივთიერებებს გამოჰყოფენ. მასალები შემოწმებული არაა და სტანდარტიც არ გვაქვს, როგორი უნდა იყოს, რადგან სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია და ყველაფერი გააუქმებულია და არ არსებობს. შიდა მოპირკეთებისთვის გამოყენებულ მასალებს განსაკუთრებით, ორი თვისება – ცეცხლგამძლეობა და ცეცხლმედეგობა უნდა ჰქონდეს. ცეცხლგამძლეობა ნიშნავს, რომ მაღალ ტემპერატურას ისე უნდა გაუძლოს, რომ დეფორმაცია არ განიცადოს, ხოლო ცეცხლმედეგობა ნიშნავს, რომ ამ მაღალ ტემპერატურას ხანგრძლივი დროით უნდა გაუძლოს. როგორ შეიძლება მოსაპირკეთებლად ისეთი მასალის გამოყენება, რომელიც 5 და 20 წუთში აალდება და დნება? ამ სასტუმროს მაგალითი პრეცენდენტი უნდა გახდეს, რომ ასეთი უბედურება სხვაგანაც არ მოხდეს. სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ადამიანების თავშეყრის ადგილებში გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალების შემოწმება.

**— თურქი ინვესტორის თქმით, მის სასტუმროში სახანძრო უსაფრთხოების წესები დაცული იყო..**

— გააჩნია, რას ეძახის წესების დაცვას. ზოგადად, **თურქეთი მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ფალსიფიცირებული და უხარისხო საშენი მასალების მწარმოებელი ქვეყანა. თურქულ სამშენებლო მასალებს და ცემენტს მთელ მსოფლიოში ერიდებიან და რაღა ჩვენ მოგვწონს?** საინტერესოა, უცხოური ინვესტიციის ხელშეწყობა იმას ნიშნავს, რომ მონურად დავემორჩილოთ და ვერაფერი შევუმოწმოთ? საქართველოში რომ უცხოელი ინვესტორები ბატონობენ და პარპაშებენ, მსგავსი რამ მსოფლიოში არ არსებობს. თქვენს რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას, რომელიც შესანიშნავი პოეტი გახლავთ, გენიალური სიტყვები აქვს ნათქვამი „არ აგიშენებთ სამშობლოს არვინ, თუ აგიშენებთ – სამშობლოს ფასად“. ამ სიტყვებს ხშირად ვიმეორებ და სხვებმაც უნდა გაითავისონ, თორემ უბედურება ამით არ დამთავრდება..

**— თქვენი აზრით, სახელმწიფომ პირველ რიგში რაუნდა გააკეთოს?**

— ამ ტრაგედიის თავი და თავი 2004 წელს მშენებლობის სამინისტროს გაუქმებაა. სამინისტროს აღსადგენად, მზად ვართ ქუჩაში გამოვიდეთ და სახალხო მოძრაობა დავიწყოთ.

ეს საქმე სასწრაფოდ არის გასაკეთებელი, რადგან უდიდესი ეროვნული კატასტროფის წინაშე ვდგავართ და თუ ჭკუაზე არ მოვალთ, ათი ასად და ათასად იქცევა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# არ სურს ქართველ ხალხს ნინო ლომჯარია თავის დამცველად და ძალაა?!



## ნინო ლომჯარიაც უჩა ნანუაშვილია, ოღონდ კაბით და პომადით

„ვინ იქნება უკომპრომისო, ქალი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს აპრავებდა? ქალი, რომელიც ნაძირლებს გვემახდა ყველას, ვინც ევროსტრუქტურებში პოლიტპატიმრების, ბუტა რობაქიძის, და ვაზაგაშვილის საქმეები მივიტანეთ? ეს იქნება უკომპრომისო? .. ყოჩაღ, ოცნებას.. ნეტა მალე მე არ დამიჭერდნენ სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის ბრალდებით“, – სტატიას ევროპაში მოღვაწე ცნობილი ჟურნალისტის, გიორგი ფოფხაძის სიტყვებით ვიწყებ. ეს მოსაზრება ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის სავარაუდო (უფრო სწორად დადასტურებულ) შემცვლელს ნინო ლომჯარიას მიუძღვნა.

იყო დრო და მომენტი, როცა მმართველი გუნდი საზოგადოებას საუკეთესო სახალხო დამცველის კანდიდატურის შერჩევას დაპირდა. დღეს კი დადგა „აუცილებლობა“ და კოჰაბიტირებულმა მმართველმა ძალამ არჩევანი „რატომღაც“ ნინო ლომჯარიაზე შეაჩერა. ამ გადაწყვეტილებამ სოციალური ქსელი ააფეთქა, მომხმარებლები აღშფოთებას ვერ მალავდნენ და ისე აბრუნებდნენ ყველა ბრუნვაში კანდიდატს, ვიფიქრე – „ქალო, რაფერხარ ცოცხალი-თქვა“, თუმცა უმალვე გამახსენდა, რომ მას სოროსის კალთა ფარავდა და საზოგადოებისგან წამოსულ, მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ენერგეტიკისგანაც სოროსის ძუძუები დაიცავდა...

საქართველოს ფარგლებს გარეთ არ ვიცი როგორ ხდება, საქართველოში კი ასეა – გზა სკამისა და იმუნიტეტისაკენ, არასამთავრობო სექტორზე გადის. თავის თავში არასამთავრობო სექტორი სულაც არ მოიცავს „ეშმაკებს, დოზანასა და სამსალას“, წესიერ ქვეყანაში ამ სექტორს კარგი სახელი აქვს და მას ადვილად არ ტოვებენ (ვერ ელევიან) მისი წევრები. ჩვენთან, საქართველოში ყველაფერი პირიქითაა, არასამთავრობო სექტორში „გამოიჯეკებიან“ და „სამთავრობოში“ დაფრთიანდებიან. აქ ეს სულაც არ იქნებოდა ტრაგედია რომ არა რამდენიმე „უმნიშვნელო“ დეტალი: გრანტები მიდის ამა თუ იმ ხელისუფლებისათვის (ან რომელიმე შტოსთვის) საჭირო არასამთავრობოში (ენჯეო), მოაძლიერებენ მას და აქედან იწყება „თავდავიწყება“. შევარდნაძის ეპოქიდან დღემდე სააკაშვილი და მისი გუნდი „ჩეკდა ენჯეო-წიწილებს“. სხვათაშორის, შევარდნაძის მმართველობის დასრულებამდე ერთი წლით ადრე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იმჟამად მოქმედი რამდენიმე (მაშინ სულ რამდენიმე იყო) არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელთა შესახებ იმჟამინდელმა გენპროკურორმა განაცხადა რომ მათ სააკაშვილი იყენებდა სახელმწიფო გადატრიალებისათვის და რომ ისინი გრანტებს სააკაშვილის დახმარებით ღებულობდნენ, შემოსული თანხების დიდ ნაწილს „მიშა იჯიბავდა“... მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება ძალიან სერიოზული იყო, საქმე ბოლომდე (სასამართლომდე) არ მისულა. საქმე ისაა, რომ პროკურატურა უდიდეს წინააღმდეგობას გადააწყდა, მათ მონაცემები გამოითხოვეს ამერიკის საელჩოდან (ერთადერთი დამფინანსებელი იმხანად აშშ იყო) და უარი მიიღეს. საელჩო თავის „წიწილებს“ გადაეფარა. ის არასამთავრობოები, რომელთა წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული, დღემდე ხელშეუხებლები არიან და დღემდე ინიშნებიან სხვადასხვა თანამდებობაზე. ლომჯარიაც იმ ერთ-ერთი არასამთავრობოდანაა, რომლის წინააღმდეგაც გამოძიება იყო დაწყებული და ამით მე ვფიქრობ ყველაფერია ნათქვამი.

ლომჯარიას „არასამთავრობო“ 2003 წლის შემდეგაც რომ მოვლენილიყო სამყაროს, მაინც ვერანაირად ვიტყოდით რომ ის კარგი ომბუცმენი იქნებოდა. თავი რომ დავანებოთ სააკაშვილისათვის მაამებელ განცხადებებს (არჩევნებს აკვირდებოდა მუდამ, ბევრი ფული მოაქვს არჩევნებს), ცნობილი ნაცის, ლაშა თორდიას (აუდიტის სამსახურის უფროსი) რჩეულობაც „გრეხია“ წესიერ ქვეყანასა და საზოგადოებაში. ლაშა თორდიას კანონი ანიჭებდა უფლებას თავად მოეყავანა მოადგილე და მიიყვანა ლომჯარია, წამოვიდა თორდია აუდიტიდან და გამოაბუნძულეს ლომჯარიაც... მე ვფიქრობ, აქაც ზედმეტია კომენტარი!

ხალხი კი, ხალხი აქციებს გეგმავს, თუმცა რამდენად მოხერხდება ეს ამბავი და მოახდენს თუ არა აქციები ზეგავლენას უმრავლესობის ერთი ნაწილის (ცნობილია, რომ ყველა არ უჭერს მხარს ლომჯარიას) გადაწყვეტილებაზე, მომავალი გვეტყვის.

რატომ „ტივტივებენ“ ზედაპირზე საზოგადოებისთვის მიუღებელი პერსონები, რატომ წყვიტავენ საქართველოში ქართველების, მართლმადიდებლობის, კულტურის, ისტორიის, ტერიტორიული მთლიანობის, თავდაცვის და უსაფრთხოების ბედს, ჩვენი ერის და ქვეყნის მოძულე უსისხლო და უსულო არსებები? პასუხი, არც მარტივია და არც რთული, მაგრამ არცთუ შორეული წარსულში უნდა გადავინაცვლოთ და იმ ჯადოსნური წრის მიღმა შევიხედოთ რომელზე ტრიალითაც ისე გვაქვს თავბრუ დახვეული იმედის ნაპერწკალის დანახვაც კი გვიჭირს, სამაგიეროდ ჯადოსნური წრის შიგნით დარჩენილები გრძნობენ თავს ბედნიერად, სამშობლოს მნიშვნელობა მათთვის გაურკვეველია, მართლმადიდებლობას არ „ცნობენ“ ოჯახი ზედმეტ ტვირთად მიაჩნიათ და „სექსუალურ უმცირესობათა“უმრავლესობად გადასაქცევად ძალას და ენერგიას არ ზოგავენ... როგორ „აღმოცენდნენ“ეგრედწოდებული მტრები ღვთიურ მიწაზე?-საინფორმაციო ეპოქის დადგომის პერიოდში, როდესაც ინფორმაციული ნაკადები ურთიერთგადახლართულია და ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან, ძალიან ადვილია შენი ფინანსური კონტროლის ქვეშ არსებული პროპაგანდისტული საშუალებების მეშვეობით გაავრცელო ის იდეები, რომელიც უკეთ მოემსახურება დამფინანსებელი ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესებს. სწორედ აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის და კონკრეტულად, შეერთებულ შტატების პოლიტიკური ინტერესების გატარებისათვის, ამავე ქვეყნის ინტელექტუალურ წრეებში დამუშავდა „რბილი ძალის“ კონცეფცია, რომლის ფუძებდებელი გახლავთ ამერიკელი ინტელექტუალი ჯოზეფ ნაი და რომელმაც შემდეგნაირად განმარტა აღნიშნული კონცეფციის არსი- „ეს არის ნიჭი, როდესაც სხვა ქვეყნებს სურთ ის, რაც შენს ქვეყანას უნდა...“ ერთი შეხედვით ამის განხორციელება შეიძლება ძალიან რთლად მოჩანდეს, ვინაიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ხომ თავის თავში მოიცავენ საგარეო პოლიტიკაში მოქმედებას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და იქ მოღვაწე პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტებიც, ხომ ამავე პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოქმდებედნენ და მოღვაწეობდნენ ამა თუ იმ ქვეყანაში. თუმცა, წამყვან ამერიკულ ინტელექტუალებს თუ დავეყრდნობით, ამის მიღწევა სრულებითაც არ წამორმოადგენს დიდ სირთულეს. ამ შემთხვევაში მთავარია, მოახდინო ისეთი ადამიანთა ჯგუფის ფორმირება პატარა ქვეყნებში, მათი ხელშეწყობა და დახმარება, რომლებიც მხოლოდ შეერთებული შტატების ნაციონალური ინტერსებიდან გამომდინარე იმოქმედებენ. ასეთი ტიპის ადამიანებს, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა და სამხედრო სტრატეგმა სტივენ მანმა ვირუსები უწოდა. მისი აზრით, შესაძლებელია იდეოლოგიური ვირუსის საშუალებით საზოგადოების აზროვნების შეცვლა შეერთებული შტატების ინეტერესების შესაბამისად: „ამ იდეოლოგიური ვირუსით, აშშ შეძლებს აწარმოოს მძლავრი ბიოლოგიური ომი და ამოირჩიოს, ნაციონალური სტრატეგიიდან გამომდინარე, რომელი მიზანი-ერები უნდა დააინფიციროს დემოკრატიული პლურალიზმის და ადამიანის ინდივიდუალური უფლებების იდეოლოგიით...

ამიტომ ჩვენს ნაციონალურ უსაფრთხოებას ექნება საუკეთესო გარანტიები, თუ ჩვენ მივუძღვნით ჩვენს ძალისხმევას, იმ ქვეყნების გონის და კულტურების გადმობირების საქმეში, რომლებიც განსხვავდებიან ჩვენგან. ეს გახლავთ ერთადერთი გზა, ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნისთვის, რომელსაც ექნება გრძელი პერიოდი და გლობალურად ჩვენთვის მისაღები.“ შეერთებული შტატების ხელში ადამიანის უფლებების დაცვის მოტივი, მხოლოდ იდეოლოგიურ ნიღაბს, რომ წარმოადგენს ამაზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე უმსხვილესი ნიუ-იორკული გეოპოლიტიკის ცენტრის ანალიტიკოსი ერიკ დრაიცერი: „ აშშ და მათი მოკავშირეები, გადავიდნენ სტანდარტულ დემაგოგიაზე „ადამიანის უფლებების“ „სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების“ და „დემოკრატიის“ შესახებ.“ რთულია ერიკ დრაიცერს არ დავეთანხმოთ, ვინაიდან არც ერთ ქვეყანაში, სადაც კი ცხვირი შეჰყვეს, არა თუ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის კონტურები გამოჩნდა, არამედ თავიანთი პოლიტიკური ინტერესებით დაეყრდნენ ავტორიტარული მიდრეკილებების მქონე პოლიტიკურ ფიგურებს. ეს პოლიტიკა საქართველოში ნათლად აისახა, მიხეილ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის ცხრა წლიანი მართველობის დროს. შეუძლებელია სპეციალისტმა და პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირებაში გარკვეულმა ადამიანმა, სააკაშვილის მიერ შექმნილ სისტემას, დემოკრატიასთან რამენაირად მიახლოებულიც კი უწოდოს. აღსანიშნავია, რომ ამერიკელები, პირველ რიგში ეყდრნობიან არა პოლიტიკურ ძალებს არამედ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს არასამათვარობო ორგანიზაციების სახით, რომლებსაც პოლიტოლოგიურ წრეებში, ზოგჯერ „გავლენის აგენტურით“, ხოლო ზოგჯერ „მეხუთე კოლონით“ მოიხსენიებენ. ამერიკელების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე დაკვირვებით, ჯერ მათი გამოზრდა ხდება, არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღში, ხოლო შემდგომ ახდენენ მათ გადანაცვლებას პოლიტიკურ ელიტაში. ეს პროცესიც ძალიან კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე. დაუკვირდით, დღეს საკვანძო თანამდებობებზე მყოფი პოლიტიკოსების უმრავლესობა „ნჯო“- დან გახლავთ გადმოსული პოლიტიკაში. იმავე მიდგომას ჰქონდა ადგილი, „ნაციონალური მოძრაობის“ მართველობის დროსაც. პოლიტიკაში გადასვლის შემდეგ, არასამთავრობო სექტორის შევსება ხდება, ისევ ახალი „ლიბერალური ვირუსების“ მეშვეობით. ამერიკელების მიერ შექმნილი, ეს სისტემური წრე სავარაუდოდ, მანამ გაგრძელდება ვიდრე, შეერთებული შტატები არ ამოწურავს თავის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, მათი ინტერესების სფეროში მოხვედრილ სახელმწიფოებში. როდესაც ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, სხვა ქვეყნის ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, მას პირდაპირ, ყოველგავრი მორიდების გარეშე, შეიძლება უწოდო თანამედროვე ტიპის „მეხუთე კოლონა“. ახალ „მეხუთე კოლონას“, ძველისგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ მის წევრებს არც აქვთ






გაცნობიერებული, რომ ისინი სხვა ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან. ისინი მათ მიერ გადადგმულ პროპაგანდისტულ ნაბიჯებს, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარედ განიხილავენ.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოში, ეტაპობრივად მრავლდებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. როგორც უახლესი ისტორია გვიჩვენებს, ისინი ცდილობდნენ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროზე და განსაკუთრებით პოლიტიკურზე. მათი წარმომადგენელების მიერ, საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ, მათ მიზანს წარმოადგენს, საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და ამ უკანასკნელების გარდაქმნა, ლიბერალურ-კაპიტალისტური საზოგადოებრივ სისტემებში, მოქმედებს დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვით, დამფინანსებელი განსაზღვრავს დაფინანსებულის მოქმედებას და მის ქმდებებში თავისუფლების ხარისხს. „ვინც იხდის, ის უკვეთავს“. თან უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დაფინასების წყაროების მოძიება, სხვადასხვა გრანტის სახით, ხდება ერთი და იგივე სქემით ყველა ქვეყნისთვის. კერძოდ, „მეხუთე კოლონის“დაფინანსების წყაროდ მიიჩნევა სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც სატელიტი ორგანიზაციების მეშვეობით ახდენს აშშ-ს ინტერესების სფეროში მოხვედრილი სახელმწიფოებში მოქმედი არასამათავრობოების დაფინანსებას. პირველ რიგში, დეპარტამენტიდან თანხის გადარიცხვა ხდება (USAID)-ის- აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ანგარიშზე, ხოლო ამის შემდეგ, USAID-ი აფინანსებს დემოკრატიის ნაციონალურ ფონდს (NED), ხოლო ამ უკანასკნელიდან კი, ფინანსური უზრუველყოფა ხდება, ისეთი ორგანიზაციების, როგორიც არიან საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და დემოკრატიის ნაციონალური ინსტიტუტი (NDI). IRI-ის და NDI-ის აქტიურობის ხარისხი პატარა ქვეყნებში დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ვაშინგტონში ხელისუფლების სათავეში. მაგალითად, თუ რესპუბლიკელები არიან ხელისუფლებაში, აქტიურობით გამოირჩვა IRI-ი, ხოლო დემოკრატების ხელისუფლებაში ყოფნის დროს კი შესაბამისად NDI-ი. აგრეთვე USAID-ი და NED-ი სრული თავისუფლებიც არიან, ყოველგვარი შუამავლების გარეშე დააფინანსონ არასამთავრობო ორგანიზაციები.

თუ რაში სჭირდებათ ამერიკელებს, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინასება და ზოგადად, სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერა განვითარებად ქვეყნებში, კარგად აქვს ახსნილი და გადმოცემული, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ ერიკ დრაიცერს, – „მათ დაფინასებაში ახალი არაფერია, იმიტომ რომ, აშშ- სამოქალაქო საზოგადოებას და NGO-ს იყენებს მთელს მსოფლიოში, როგორც ზეწოლის ინსტრუმენტს საკუთარი მიზნების მიღწევისათვის, რათა მათი მეშვეობით განახორციელოს ხელისუფლების ცვლილება ან აიძულოს არსებული ხელისუფლება შეასრულოს მათი დავალება.“ ასე, რომ შეერთებული შტატების ხელში ადამიანის უფლებების დაცვის მოტივი, მხოლოდ იდეოლოგიურ ნიღაბს რომ წარმოადგენს ამერიკელებიც „აღიარებენ“ ენ-ჯი-ოები აშშ-სა და ევროკავშირის მხრიდან ქართულ პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად ერთ–ერთ შუამავალს წარმოადგენენ. ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის უხვად (ათობით მილიონი) დაფინანსება, ორგანიზაციის შიგნით თანამდებობებზე დანიშვნების კონტროლი, რომლის განხორციელებაც გრანტის მიმცემს შეუძლია, ამა თუ იმ პროექტის მხარდაჭერა – ეს ყველაფერი შესაძლოა წარმოადგენდეს გარე მმართველობის მექანიზმს.

ქართული პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათი პირადი კეთილდღეობა და კარიერული პერსპექტივები ნაკლებად უკავშირდება მათი ქვეყნის მომავალს და მეტად – საერთაშორისო დონორებთან მათ ურთიერთობებს.

თუ 10–15 წლის წინათ არსებობდა ილუზია, რომ დასავლეთის მიერ დაფინანსებულ ენ-ჯი-ო-ებში აღზრდილი ახალი ელიტა ხელისუფლებაში მოსვლისას გაატარებს რეფორმებს და საქართველოს ააყვავებს, დღეს ეს ილუზია თითქმის მთლიანად გაიფანტა. საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ ქართულ „მესამე სექტორს“, მიუხედავად მთელი მისი პოლიტიკური გავლენისა, ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის უნარი არ შესწევს. სამაგიეროდ, ფლობენ ჯადოსნურ ჯოხს, რომლის საშუალებითაც პატრიოტებს, განათლებულებს, სამშობლოზე და თავის ერზე შეყვარებულებს, პროფესიონალებს ასპარეზიდან უკვალოდ აქრობენ!

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# გაზეთი – წიგნად გამოცემული



კარგ იდეას რას სჯობს, მეტადრე, თუ ეს იდეა საქმედ იქცევა და სიკეთეს წაადგება. მაინც, როგორ სიკეთეს? იმ ქვეყნად წასული ჩვენი ძვირფასი ადამიანების ხსოვნას რომ უკვდავყოფს, ისეთს, ჩვენს ძმასა და მეგობარს, ჟურნალისტად, მწერლად, „კალმის კაცად“ „გარდაქმნილ“ ეკონომისტ ანზორ ბაბუხადიას რომ უკარნახა უფალმა – გამოეცა სპეციალური გაზეთი, რომელიც ერის ღირსეულ შვილთა სახელების უკვდავყოფას გაიხდიდა უპირველეს საზრუნავად. გაზეთ **„თანადგომის“** პირველი ნომერი დიდი ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნას მიეძღვნა და ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით, თითქმის 20 წელია გამოდის.

– რაც დრო გადის, – განაგრძობს ანზორ ბაბუხადია, – მით მეტად ვრწმუნდები ჩემი გადაწყვეტილების სისწორესა და აუცილებლობაში გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით. სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა მეოცნება, რომ ოდესღაც მომეცემოდა საშუალება შევხებოდი ქვეყნის უთვალსაჩინოესი პიროვნებების საარქივო დოკუმენტებს, თვალი შემევლო მათი პირადი ნივთებისთვის, რამდენიმე საათი გამეტარებინა მათ სამუშაო ოთახებში.

ანზორ ბაბუხადიას იდეას – სრულიად განსხვავებული გაზეთის გამოცემის შესახებ, ახალი იდეა დაემატა; ოცი წლის მანძილზე გამოშვებული გაზეთის ყველა ნომერი რამდენიმე ტომად აეკინძა და მოკრძალებულ საჩუქრად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოსათვის. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, 2017 წლის 9 სექტემბერს, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში, საგანგებოდ დაგეგმილი პირისპირ შეხვედრის დროს, ანზორს მიაწოდა იდეა, ცალკე წიგნად გამოეცა ამ გაზეთის მთელი ისტორია და ამით კიდევ ერთხელ მიეგო პატივი იმათი ხსოვნისათვის, ვისზედაც მიძღვნილია **„თანადგომის“** ყოველი ნომერი. სწორედ ამ კარნახით შეიქმნა უნიკალური წიგნი – ალბომი **„გზა ვარდისფერი“**, რომელსაც ამ წუთას ვათვალიერებ და დიდი ინტერესით ვეცნობი.

ბევრი სახელოვანი ჩვენი თანამემამულეა აქ წარმოდგენილი. იგი ზურაბ ანჯაფარიძის შემდეგ გვახსენებს ვანო სარაჯიშვილს, მერე ირაკლი უჩანეიშვილია, მერე-თამარ ლაშქარაშვილი, მერე-გიორგი ანდრონიკაშვილი, მერე-დავით ჩხიკვიშვილი, მერე-გიორგი ჯიბლაძე, მერე-ინოლა გურგულია, მერე-აკაკი ხორავა, მერე-მედეა ჯაფარიძე და ასე რამდენი... რამდენი ღვაწლმოსილი, სამშობლოსთვის გარჯილი ადამიანი, რომელთა ხსოვნაც გაგვყვება სანამ ცოცხლები ვართ... ალბომს ამთავრებს ახლახან გარდაცვლილი ზურაბ სოტკილავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საგანგებო ნომერი...




წიგნი – ალბომის მეორე ნაწილში – თანადგომა **„თანადგომას“** თავმოყრილია ფასდაუდებელი ოფიციალური დოკუმენტები, წერილები, მოგონებები და სხვ., რომელთა გაცნობა მკითხველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის ამ უნიკალური გაზეთის ისტორიაზე. ამასთან, ძალზე საგულისხმოა წიგნის ავტორის ერთი გამონათქვამი: „ბედნიერად ვრაცხ თავს, რადგან გაზეთ **„თანადგომის“** ყველა ნომერი საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაა, დაცულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სათანადო ფონდებში და ცხადია, ჩემს პირად არქივში და კერძო კოლექციებში“.

გულის სითბოს, რა თქმა უნდა სევდაც ახლავს...

ბოლოთქმის ნაცვლად, ბატონი ანზორი სამუდამო სასუფეველში გადასული ნიჭიერი პოეტის – თამაზ სანებლიძის დიდებულ ლექსს წარმოგვიდგენს, რომელიც ასე მთავრდება:

**წუთისოფელი რა ყოფილა, –**
**არც არაფერი,**
**ნელ-ნელა ვიწვი, ვიღვენთები**
**როგორც სანთელი,**
**ქარო, მადროვე, არ შეწუხდე,**
**ჩემით ჩავქრები,**
**ჯერ ყოვლად წმიდას**
**სადღეგრძელო**
**დამრჩა სათქმელი.**

რა გასაკვირია, რომ ამ წიგნი-ალბომის დათვალიერებითაც კი სევდა-ნაღველი მოგვეძალოს.

ცხოვრებას ახლავს სევდა-ნაღველი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## დავით მირცხულავა:

# ქვეყანაში არ არსებობს ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების კანონი, რაც ძალიან ცუდია



**როგორ აისახება საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაზე ევროკავშირის „ენერგეტიკულ გაერთიანებაში" გაწევრიანება, მოსალოდნელია თუ არა ელექტროენერგიაზე ტარიფის ცვლილება, რამდენად დაცულია საქართველოს ენერგოობიექტებზე უსაფრთხოების ნორმები და რამდენად საშიშია ენგურჰესის კაშხლის ქვედა ნაწილში მდებარე გვირაბში არსებული ბზარები? ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ საქართველოს ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას დავუკავშირდით:**

— დავიწყებ იმით, რომ ევროკავშირის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებას ქვეყნისთვის, რომელიც ლიბერალური ელექტროენერგეტიკული ბაზრის მშენებლობისკენ მიდის, კანონმდებობის, რეგლამენტებისა და ტექნიკური სტანდარტების ევროპულთან ჰარმონიზაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახალი ნორმატივების, სტანდარტებისა და კანონმდებობის დანერგვა ქსელის უსაფრთხობას და საიმედოობას გაზრდის და მომსახურების უფრო მაღალ სტანდარტებს უზრუნველყოფს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმება და ეკონომიკის სამინისტროსთან შერწყმა ამ პროცესებზე როგორ აისახება?**

— ზოგადად, ოპტიმიზაციის წინააღმდეგი ვერ ვიქნებით, მთავარია, რომ რეფორმირების სექტორში ტემპი და დინამიკა არ დაიკარგოს. გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატი და რეფორმების კუთხით, სწრაფი ნაბიჯები გადაიდგას, ვინაიდან სირთულეების მხრივ, ენერგეტიკულ სექტორს ძალიან დიდი რეფორმები ელოდება.

**— ბატონო დავით, მოსახლეობას აინტერესებს, რატომ არ აისახება ახალი ჰესების მშენებლობა ელექტროენერგიის ტარიფზე? რატომ იხდიან ადამიანები ენგურჰესის 3 თეთრად გამომუშავებულ ელექტროენერგიაში გაცილებით მეტს?**

— ენგურჰესის ტარიფი მართლაც ძალიან დაბალია და უნდა გაიზარდოს იმიტომ, რომ სადგურს კარგი მოვლა ჭირდება. ძალიან დიდი საინვესტიციო პროგრამებია განსახორციელებელი, რათა საქართველოს ენერგეტიკამ ეს უდიდესი სადგური დიდი ხნით შეინარჩუნოს და ასევე, განვითარება პოვოს ახალმა ტექნოლოგიებმა. რაც შეეხება ტარიფს, ენგურჰესის გარდა, ჩვენ გვაქვს თბოსადგურები და ახალი სადგურები, სადაც ტარიფები უფრო მაღალია. აქედან გამომდინარე, მთლიანად ენერგოსისტემაში შეწონილი ტარიფი ძალიან მაღალი გამოდის. ამას ემატება განაწილებისა და გადაცემის კომპონენტები და ვიღებთ ტარიფს, რომელიც რეალურად გვაქვს.

**— ბოლო დროს, სპეციალისტები ხშირად საუბრობენ ენგურჰესის კაშხლის 14 კილომეტრიან გვირაბში არსებული ძველი და ახალი ბზარებისგან მომდინარე საფრთხეებზე. როგორია ქვეყანაში არსებული ჰესების მდგომარეობა უსაფრთხოების თვალსაზრისით?**



— სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში არ არსებობს ჰოდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების კანონი, რაც ძალიან ცუდია. რაც შეეხება ენგურჰესის გვირაბის ძველ კერებზე ფილტრაციული ხარჯების ზრდას, ეს პირველი სიგნალია, რომ დაიწყოს ამ პროცესების შესწავლა და გვირაბის რეაბილიტაცია. როგორც იცით, 2017 წელს მოხდა გვირაბის ერთი კვირით გაჩერება. ჩატარდა ინსპექტირება და დადგინდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაახლოებითი ნუსხა. რამდენად ვიცი, 2019 წელს ენგურჰესის სამთვიანი გაჩერება იგეგმება. ენგურჰესის დერივაციული გვირაბის რეაბილიტაციისთვის სამი თვე ძალიან ცოტაა. ამ დროში აუცილებელია მაქსიმალურად ბევრის მოსწრება, თორემ რეალურად, ნაგებობის მრავალწლიანი უსაფრთხოება რომ გარანტირებული იყოს, გვირაბის სრული რეაბილიტაციისთვის ალბათ წელიწადნახევრიდან ორ წლამდეა საჭირო. საქართველოს ენერგოსისტემისთვის ამ დროით ისეთი მნიშვნელოვანი სადგურის გაჩერება, როგორიც ენგურია, ძალიან მძიმე იქნება, ამიტომ გარკვეული ალტერნატივები უნდა იყოს მომზადებული.

მე ხშირად ვამბობ, რომ საქართველოს ენერგეტიკულ ობიექტებზე არ ტარდება პერიოდული შემოწმებები, მათი უსაფრთხოების ხარისხის დადგენის მიზნით. გარდა ამისა, ძალიან ცოტა ნაგებობაა აღჭურვილი მსოფლიო სტანდარტების გამზომი მოწყობილობებით, რომელიც აკონტროლებენ ნაგებობებზე ტექნიკურ მდგომარეობას. მოგეხსენებათ, კაშხლები მაღალი რისკის ნაგებობებს მიეკუთვნებიან, ამიტომ მათ მდგომარეობაზე კონტროლი მუდმივ რეჟიმში უნდა ხორციელდებოდეს. დასახვეწი და მისახედია ადრეული შეტყობინების სისტემებიც, რაც ასევე უსაფრთხოებას უკავშირდება. სწორედ, ამ რიგს განეკუთვნება სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებიც, ამიტომ ამ საკითხს საკანონმდებლო დონეზე ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთი ობიექტების უსაფრთხოება მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. მე საუბრის დასაწყისში ვთქვი, რომ ძალიან დიდი მინუსია, როცა ქვეყანაში არ არსებობს ენერგეტიკული უსაფრთხოების კანონმდებლობა. ვფიქრობ, როცა მარეგულირებელი კომისია ძველ თუ ახალ აშენებულ სადგურზე ლიცენზიას გასცემს, ერთ-ერთი პირობა მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ 1980 წელს წყნეთში დაახლოებით 5 მეტრის სიმაღლის კაშხლის გარღვევას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს დიდი კაშხლის შემთხვევაში. მთელ მსოფლიოში არსებობს მონიტორინგის სისტემები, რომელიც ფაქტობრივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ კონტროლს ნაგებობის უსაფრთხოების კრიტერიალურ პარამეტრებზე. სახელმწიფოს ამაზე აუცილებლად უნდა ჰქონდეს მუდმივი მონიტორინგი და ამ მიმართულებით გარკვეული კანონმდებლობის გაუქმება ნიშნავს, რომ საბედისწერო შეცდომები იქნა დაშვებული.

**— სააკაშვილის ხელისუფლებას ხშირად საყვედურობენ, რომ საქართველოს ენერგოობიექტების უდიდესი ნაწილი რუსეთს გადასცა. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობა გავაძლიეროთ და უცხო ქვეყნის ინვესტიციებზე დამოკიდებული არ ვიყოთ?**

— ალბათ 2008 წელს გულისხმობთ, როცა რუსეთს გარკვეული ენერგოობიექტები მიყიდეს.. ზოგადად, ქვეყანა მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ საუკეთესო საინვესტიციო კლიმატი შექმნას. უნდა ეცადოს, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოელი ინვესტორი შემოვიდეს და საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსის თუ განახლებადი ენერგიის ისეთი წყაროების ათვისებაში დაგვეხმაროს, როგორიცაა ქარი და მზე. დაგეთანხმებით, რომ საქართველო 70% ენერგოშემცველების იმპორტზეა დამოკიდებული. ჩვენ ელექტროენერგეტიკული თვალსაზრისით, დეფიციტური ქვეყანა გვაქვს. წელს ალბათ იმპორტზე მილიარდნახევარზე მეტ ელექტროენერგიას შემოვიტანთ, რაც ქვეყნიდან გასულ მილიონობით დოლარს ნიშნავს. ბუნებრივი აირის მხრივ, თითქმის მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული და ამას თუ ნავთობპროდუქტებსაც დავუმატებთ, ცხადია, ჩვენი ენერგო დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. ენერგეტიკული დამოუკიდებლობის პარამეტრების გაუმჯობესება მაქსიმალურად დაკავშირებულია ჩვენი საკუთარი ენერგორესურსებისა და ენერგეტიკული წყაროების ათვისებაზე. ის, რომ ქვეყანაში ჰიდროენერგეტიკული პროექტები ხორციელდება, ქარის ერთი სადგური აშენდა და კიდევ იგეგმება, დადებით მოვლენად მიმაჩნია. ბუნებრივია, თავის დროზე, გეგმის მიხედვით უნდა მოხდეს მზის ენერგიის ათვისება და ა.შ მაგრამ ამას საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისთვის მუდმივი ზრუნვა ჭირდება. ინვესტორს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ დაბალი რისკების პირობებში, ჩადებული თანხა ამოიღოს და დროთა განმავლობაში, გონივრული მოგება მიიღოს. საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიმართულებით, ქვეყანას ძალიან ბევრი აქვს სამუშაო. რაც შეეხება ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, ამ მიმართულებით შეიძლება ენერგოდამოუკიდებლობის პარამეტრები ნაბიჯ-ნაბიჯ გავაუმჯობესოთ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემოტანილი ენერგო შემცველების დივერსიფიცირებას სხვადასხვა წყაროებიდან, რომ ალტერნატივები გვქონდეს, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში, მონოპოლური შემომტანი შიდა ბაზრისთვის ძალიან ცუდია და ამასაც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.



ნელი თორდია
571 35 36 88

# როცა პასუხისმგებელი ყველაა, მაშინ პასუხისმგებელი არავინაა



## ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: ჩვენ ეკონომიკის განვითარების საკუთარი მოდელი გვჭირდება და არა სავალუტო ფონდისგან ნაკარნახევი

გვესაუბრება ინვესტიციებისა და კაპიტალის მართვის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

**— ბატონო ვახტანგ, ლარი კვლავ „ცურვას“ განაგრძობს, საზოგადოება ხან პრემიერისკენ იშვერს ხელს, ხან ეკონომიკის მინისტრისკენ, ხანაც „ეროვნული ბანკისკენ“. რა ხდება, რეალურად ვინ მართავს ამ პროცესებს?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით, ამ პრობლემას ვერა და ვერ მოევლო. ყველაფერს ფუნდამენტალური ანალიზი სჭირდება. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, უცხოური მოდელების გადმოღების სენი დაგვემართა. ანუ, ვიღებთ რაღაც უცხოურ მოდელს და ვცდილობთ საქართველოში დავნერგოთ. ასეთი



პრაქტიკა არასდროს ამართლებს იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებში არსებული ეკონომიკის მდგომარეობა, პერსპექტივები და ა.შ. ჩვენი მოდელისგან ძალიან განსხვავდება. ჩვენ სავალუტო ფონდის რეკომენდაციებზე ვართ ჩამოკიდებული, რაც ხან ეფექტიანია, ხან — არა! რეალურად, ექსპერიმენტების სიტუაციაში ვიმყოფებით. ერთი რამ კარგად უნდა გვახსოვდეს: ჩვენ ეკონომიკის განვითარების საკუთარი მოდელი გვჭირდება და არა სავალუტო ფონდისგან ნაკარნახევი იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკური სისტემა, გეო-ეკონომიკური მდგომარეობა, აბსოლუტურად, განსხვავდება უცხოური და მით უმეტეს, განვითარებული ქვეყნების მოდელისგან. მაგალითად, თავის დროზე ე.წ. ბენდუქიძის რეფორმებიდან გამომდინარე ეკონომიკური სისტემის სრული ლიბერალიზაცია გამოცხადდა, ამ პერიოდში, სავალუტო კურსთან მიმართებაში, ისეთი მოდელი დავნერგეთ, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში მუშაობს, ვგულისხმობ, ლონდონის ასევე, აშშ-ს, ევროპის ბანკთაშორის საფინანსო ბაზრებს. რასაკვირველია, ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. ეს იგივეა ლამბორჯინის ძრავი საბჭოთა ძველ მანქანას ჩავუყენოთ. აღნიშნული ძრავა ამ მანქანას საერთოდ დაანგრევს, გააცამტვერებს იმიტომ, რომ სულ სხვა მოდელისთვის არის ეფექტური. რეალურად, ჩვენი სავალუტო ბაზრის სისტემა სრულიად განსხვავებულია იმისგან, რასაც სხვა მოდელებზე დაყრდნობით სავალუტო ფონდი გვკარნახობს. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს: ჩვენს ქვეყანაში ძალიან მცირე სავალუტო ბაზარია, რადგან მცირე და პატარა ეკონომიკა გვაქვს. მეორე — მონაწილეების რაოდენობა ძალიან შეზღუდულია მით უმეტეს, რომ სავალუტო ბაზარზე ოპერირებს მხოლოდ ორი-სამი ბანკი, რომელთაც სავალუტო ბაზრის ტრანზაქციების, დაახლოებით, 30% უკავიათ. ეს ბანკების მონოპოლიურ მდგომარეობაზე მიანიშნებს. „ეროვნული ბანკი“, ამ შემთხვევაში, ინტერვენციების თვალსაზრისით, ნაკლებეფექტიანია იმიტომ, რომ ბლუმბერგის სისტემაში იგი სრულ სურათს ვერ ხედავს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს. დახურული სისტემა გარკვეულ ნეგატიურ მოლოდინებს ბადებს. ასეთი სისტემა 2006 წლიდან მოყოლებული გვაქვს. მანამდე რაც არსებობდა, სავალუტო ბირჟის სახით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის სწორედ ის იყო განკუთვნილი.

**— ბატონო ვახტანგ, მაინც ვის ეკისრება ყოველივეზე პასუხისმგებლობა?**

— რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ამბობენ, რომ სავალუტო კურსზე უნდა აგოს პასუხი — მთავრობამ, ეკონომიკურმა გუნდმა, „ეროვნულმა ბანკმა“ და ა.შ. როდესაც პასუხისმგებელი ყველაა, მაშინ რეალურად, პასუხისმგებელი არავინაა. ანუ, უნდა არსებობდეს კონკრეტული ორგანო, რომელიც სავალუტო კურსზე პასუხისმგებელი იქნება. თავის დროზე, როდესაც პარლამენტში „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონი დამტკიცდა, მისი ძირითადი ფუნქციები, მოვალეობები, პასუხისმგებლობა მკაფიოდ იყო განსაზღვრული. „ეროვნული ბანკი“ პასუხისმგებელი იყო მონეტარულ, საპროცენტო, სავალუტო პოლიტიკაზე ასევე, ფასების თაგეთირებასა და კონტროლზე. მოგვიანებით ეს ყველაფერი შეიცვალა, ბანკს მთელი რიგი პასუხისმგებლობები მოეხსნა და დარჩა მხოლოდ ფასების მონიტორინგის კონტროლი, რაც არასწორია. იმ პერიოდში „ეროვნულმა ბანკმა“ ზედმეტი ვალდებულებები, პასუხისმგებლობა მოიშორა და საკმაოდ კომფორტულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან კანონში პირდაპირ მხოლოდ ფასების კონტროლი დატოვა. ეს არასწორია იმიტომ, რომ ნებისმიერი ეკონომიკური პარამეტრების ცვლილება მონეტარულ თუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ფასებზე ანუ, ინფლაციის პროცესებზე. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება, რეალურად, გავლენას გარკვეული პერიოდის მერე ახდენს. შეიძლება ეს პერიოდი სამი თვიდან ერთ წლამდე განისაზღვროს. ანუ, შედეგის ასახვა ფასებსა და ინფლაციაზე ამ პერიოდის მერე ხდება. ჩვენ კი ვეძებთ მიზეზს რამ იმოქმედა ამ მომენტში. არა, ეს ადრინდელ პარამეტრების ცვლილებებში უნდა ვეძებოთ, რამაც დღეს, ინფლაციურ პროცესებზე გავლენა იქონია.

**— ბატონო ვახტანგ, რა არის, ბოლო პერიოდში, ლარის მუდმივი ავადმყოფობის მიზეზი?**

— კითხვა ლოგიკურია — რატომ არის ამ ხნის მანძილზე ლარი სულ ავადმყოფურ მდგომარეობაში. მავანი ამბობს: მოდით, ვალუტა შევცვალოთო. ამ ხალხს ავანტიურისტებს ვეძახი. ფრაგმენტული რეფორმები არ გვშველის. მთავარი რამაც შეიძლება არსებული სიტუაცია გამოასწოროს და ასევე, უმუშევრობის, ექსპორტის განვითარების ზრდის პრობლემა გადაჭრას, ესაა წინაპირობების შექმნა, რათა საინვესტიციო ნაკადები ეკონომიკის რეალურ სექტორში წამოვიდეს. ეკონომიკის რეალური ზრდა მაშინ მოხდება, როდესაც საინვესტიციო ნაკადები მიმართული იქნება ჩვენს საწარმოო სიმძლავრეების განვითარებაში და დამოკიდებული აღარ ვიქნებით ფულად გზავნილებზე, ტურიზმიდან შემოსავლებზე. კანონმდებლობა რომელიც ინვესტიციების მოზიდვას ეხება, კარდინალურად უნდა შეიცვალოს. უცხოური ინვესტორისთვის ეკონომიკის სექტორი მიმზიდველი უნდა გავხადოთ. ეს მიმართულება დღეს, მკვდარია. მით უმეტეს, რომ ეს სეგმენტი „ეროვნული ბანკის“ რეგულირების ქვეშაა, რაც აბსოლუტურად, მიუღებელია და ვერავინ გებულობს ეს ასე რატომ არის. „ეროვნული ბანკი“ სრულიად სხვა მიმართულების ორგანოა და სულ სხვა მიზნები აქვს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ორგანო ამ სისტემიდან გამოცალკევებული უნდა იყოს იმიტომ, რომ კომპანიებისთვის საინვესტიციო ნაკადები, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვა საბანკო სესხის ალტერნატივაა. არ შეიძლება მთელი ეკონომიკა საბანკო სესხზე იყოს დამოკიდებული, როგორც ეს ჩვენთან ხდება. სანამ ეს არ მოწესრიგდება, მუდმივად ასეთ გაუგებრობაში ვიქნებით. აქვე, აღსანიშნავია, რომ გვაქვს საბირჟო ჰაბის პოტენციალი, რაც ჩვენს გარდა სხვა არცერთ ქვეყანას არ გააჩნია. შეგვიძლია ეს გამოვიყენოთ და უცხოელი ინვესტორებისთვის საკმაოდ საინტერესო ქვეყანა გავხდეთ. დღეს, ჩვენთან არ არსებობს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რაც ძალიან ცუდია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ როგორ, საით მივდივართ, რას ვაკეთებთ, რა უნდა გავაკეთოთ. მარტო სავალუტო ფონდის ფრაგმენტულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით შორს ვერ წავალთ. თუ ნებას მომცემთ, აქვე, ერთი სიახლის შესახებ მოგახსენებთ: მზადდება პროექტი, რომელიც სავალუტო კურსის დაზღვევის შესაძლებლობას ითვალისწინებს, რაც ბიზნესის წარმომადგენლებისთვის დამხმარე მექანიზმი იქნება. ეს შვება იქნება კურსის რყევებთან დაკავშირებითაც.

**— დღეს, საქართველოში არსებული საბანკო სისტემა მთლიანად სავალუტო ფონდზეა მიბმული. ეს რა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე?**




— დიახ, თავისთავად, ასეა. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც დაფინანსებას სავალუტო ფონდისგან იღებს, ცდილობს მისი ნებისმიერი რეკომენდაცია შეასრულოს. მაგრამ ნებისმიერი სახის რეკომენდაცია გაანალიზებული უნდა იყოს. რეკომენდაციები ზოგად ხასიათს ატარებს. მთავრობის ეკონომიკური გუნდი უნდა ეცადოს დამატებითი შეთანხმება ან კორექცია მოხდეს. როცა საკითხს ასე მიუდგები და ქვეყნის ინტერესზე იზრუნებ, სავალუტო ფონდიც მოგისმენს და თუ დაამტკიცებ, რომ გარკვეულ ნაწილში შენი ხედვა უფრო ეფექტიანი იქნება, აღნიშნული ორგანიზაცია ამას განიხილავს. ამისთვის საჭიროა ინტენსიური მუშაობა, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრები და ერთობლივი ძალისხმევა იმისთვის, რომ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხრიდან გამოყოფილი თანხები მაქსიმალურად ეფექტიანად გამოვიყენოთ და ვეცადოთ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება დაიწყოს. რეალურად შევქმნათ წინაპირობები იმისთვის, რომ ჩვენთან მიმზიდველი საინვესტიციო გარემო იყოს.

**— რადგან სავალუტო ფონდი ვახსენეთ საინტერესოა ლათინოამერიკული ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ამ ორგანიზაციამ გაკოტრების პირას მიიყვანა.**

— დიახ. იცით ეს რატომ მოხდა? — მაგალითად, მექსიკა პირველი იყო, რომელიც როგორც კარგი მოსწავლე სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს ასრულებდა და რეალურად, მერე, კრიზისის პირობებში აღმოჩნდა. თავად სავალუტო ფონდს დამატებით 42 მილიარდი დოლარის გამოყოფა დასჭირდა, რათა ეს კრიზისი ჩაეხშო. შემდეგი იყო არგენტინა, რომელმაც ზუსტად იგივე შედეგი მიიღო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების პირდაპირ, ბრმად შესრულებით. მისთვის სავალუტო ფონდს დამატებით 32 მილიარდი დოლარის გამოყოფა დასჭირდა. ბრაზილიაშიც იგივე მოხდა. ამიტომ ვამბობ, რომ ნებისმიერი რეკომენდაცია ზოგადი ხასიათისაა და არ შეიძლება პირდაპირ გამოყენება, საჭიროა დეტალური ანალიზი. შესაბამისად, მერე სავალუტო ფონდთან კონსტრუქციული ურთიერთობების შესანარჩუნებლად თუ მთავრობის გუნდი რაღაც ნაწილში რეკომენდაციებს არ ეთანხმება, ეს დასაბუთებული უნდა იყოს, გაიარონ დამატებითი კონსულტაციები. ჩვენთან სამწუხაროდ, ასეთი რამ არ ხდება. ამიტომაც არის რომ პირდაპირ მიღებული რეკომენდაცია, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით მთავრდება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# აქა ამბავი ლარისა და ლირას საიდუმლო მიჯნურობისა

## ანუ ქართული ეკონომიკა თურქული ეკონომიკის გაგრძელებაა?

„ლარი დავარდა, დავარდა,
საქმე წავიდა შავადა,
ნუ გეშინიათ, დავარდნას
ყოველთვის მოსდევს ავარდნა“.

**ხალხური**

საქართველოს მოქალაქეებს რომ ჰკითხო, ასი კაციდან ასივე გეტყვის, რომ ქართული ლარი დოლარზეა მიბმული და ლარის კურსის მერყეობა საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე დოლარის კურსის ცვლილებით არის განპირობებული.

ასი კაციდან ასივე ერთსა და იმავეს იმიტომ ამბობს, რომ ასე ამბობენ ექსპერტები, ფინანსისტები, ეკონომისტები, ბანკირები, პოლიტიკოსები, ანუ ადამიანები, რომლებსაც ამ საქმის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად მიიჩნევს საზოგადოება.



ვახტანგ ლეჟავა

ამ ფონზე სრულიად მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო ექსპერტ **ვახტანგ ლეჟავას** განცხადება, რომელიც მან ერთ-ერთ ტელეგადაცემაში გააკეთა, სადაც სწორედ ლარის კატასტროფული გგაუფასურების გარშემო იყო გამართული დიდი დისკუსია.

ბატონი ლეჟავას მოსაზრებით, ლარი მყისიერად რეაგირებს არა დოლარის, არამედ თურქული ლირას კურსის ცვალებადობაზე და ლირას კურსის ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო რყევები დაუყოვნებლივ აისახება ლარზე.

ვახტანგ ლეჟავამ გადაცემის წამყვანს სთხოვა, გამოექვეყნებინა ცხრილი, სადაც თვალსაჩინოდ იყო ასახული, თუ როგორ კვალი-კვალში მისდევს ლარი ლირას და როგორი საოცარი სიზუსტით აირეკლავს იმ ცვალებადობას, რასაც ბოლო ხანებში საკმაოდ მძიმე სიტუაციაში აღმოჩენილი ლირა განიცდის.

წამყვანმა ტექნიკური პრობლემები მოიმიზეზა, რის გამოც ცხრილის ჩვენება მაყურებლისთვის თურმე შეუძლებელი იყო.

დისკუსია გაგრძელდა, თუმცა დისკუსიის მონაწილეებს, სამწუხაროდ, სიტყვა არ დაუძრავთ ვახტანგ ლეჟავას მიერ გაჟღერებული არაორდინარული და, იმავე დროს, საკმაოდ სკანდალური მოსაზრების გამო, რომელიც უდავოდ შეიცავდა ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვან ქვეტექსტს.

ვახტანგ ლეჟავას ამ რეპლიკამ „საერთო გაზეთში“ დაბეჭდილი ერთი ინტერვიუ გაგვახსენა ეკონომისტ **სოსო არჩვაძესთან,** რომელიც ბატონი ვახტანგის სატელევიზიო ჩართვამდე ორი თვით ადრე გამოქვეყნდა.

გთავაზობთ ფრაგმენტს ინტერვიუდან:

„ერთ მაგალითს გეტყვით, მესტიის რაიონში თითქმის ყველა ადგილობრივმა მცხოვრებმა თავისი სახლი სასტუმროდ გადააკეთა, ტურისტებს კი ღებულობენ, მაგრამ მათი გამოსაკვები პროდუქტები სხვა რეგიონებიდან ჩააქვ თ. მარტო სახლს ვინ ჩივის, კაცს 12 ძროხა ყავდა, ფერმა გააუქმა და ბოსელი ჰოსტელად გადააკეთა, ახლა ხორცი, ძეხვი, რძის პროდუქტები გარედან შეაქვს. მარტო სვანეთში კი არა, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ასეთი სიტუაციაა, ლამის მთელი ქვეყანაა ქცეული უტილიზაციის ობიექტად. შემოდის ტურისტი, დახარჯავს ფულს, მაგრამ ამ ფულის დიდი ნაწილი საქართველოდან გადის, რადგან კვების პროდუქტების დიდ ნაწილი თურქეთშია წარმოებული. თუ ასე გაგრძელდა, საქართველო ამ დოვლათის უტილიზაციის, წარმოებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ადგილი იქნება. იმის გამო, რომ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ჩვენს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქციის იმპორტი გვიწევს. მართალია, გარკვეული პროდუქციის ექსპორტიც ხდება, მაგრამ იმპორტის წილი 70–80%-მდეა. ევროკავშირმა ნება დაგვრთო, რომ ევროპის ბაზარზე 8.000 ტონა ხორცი შევიტანო თ. ქართული ანდაზა მახსენდება – ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო. ადგილზე დაახლოებით 40–50 ათას ტონა ხორცს ვაწარმოებთ, 60–70 ათასი ტონა კი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, თანაც, მსყიდველუნარიანობიდან გამომდინარე, საჭიროზე ნაკლებ რაოდენობას მოვიხმართ. ყიდვის საშუალება რომ გვქონდეს, 150–200 ტონა უნდა შემოვიტანო თ. ასეა ბევრ სხვა პროდუქტთან დაკავშირებითაც. ჩვენ თუ მილიარდ დოლარზე მეტის საქონელი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს ექსპორტზე, გამოდის, მილიარდ დოლარზე მეტი გადის ქვეყნიდან და როგორ უნდა დავიჭიროთ დოლარის კურსი? 2003 წლამდე ჰოლანდიას უფრო მეტი ყვავილების ექსპორტი ჰქონდა, ვიდრე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი იყო. მერე ცოტა შეიცვალა ვითარება, მაგრამ თუ გვინდა ეკონომიკა წინ წავიდეს, ტურიზმი განვითარდეს, პირველ რიგში შესაბამისი ბაზა უნდა გვქონდეს, აგროსექტორი, გადამამუშავებელი მრეწველობა, ინფრასტრუქტურა უნდა იყოს განვითარებული. იმ ტურისტულ ობიექტებში თურქული საქონლითა და ნედლეულით მზადდება პროდუქტები, ასე რომ, ჩვენ, ფაქტობრივად, თურქეთის ეკონომიკის გაძლიერებას ვემსახურებით.

მე ორი წლის წინ ჩავატარე კვლევა, როგორც გითხარით, როცა თურქეთიდან ვაწარმოებთ იმპორტს, ამით ვაძლიერებთ თურქულ ეკონომიკას, მარტო იმის ხარჯზე, თურქულ საქონელს რომ ვყიდულობთ დაწყებული ტექსტილიდან, დამთავრებული სანტექნიკის საშუალებებით, თურქეთში დამატებითი სამუშაო ადგილები იქმნება. ჩვენ ერთ დღეს უარი რომ ვთქვათ თურქულ პროდუქციაზე, დაახლოებით 60.000 კაცით გაიზრდება თურქეთში უმუშევართა რაოდენობა. ამის გარდა, თურქი გადამზიდავების საქართველოში მოძრაობა, ცენტრალური ავტომაგისტრალის გაყოლებაზე კვების და საეჭვო რეპუტაციის მქონე ობიექტების არსებობა, ეს არის თურქეთის ეკონომიკის გაგრძელება საქართველოს ტერიტორიაზე.

დედაქალაქის აეროპორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, გერმანული ფირმა გაცილებით მეტ ტერმინალს, ასაფრენ ზოლს და მომსახურების უკეთეს პირობებს, თანაც იაფად სთავაზობდა ქართულ მხარეს, მაგრამ რატომღაც ნაციონალების ხელისუფლებამ ნაკლებად ცნობილი თურქული ფირმა ამჯობინა, უფრო მძიმე და უარესი პირობები ჰქონდა. რომ იტყვიან, თეთრი ძაფითაა ნაკერი, ეს „გარიგება“, რომლის გამოც 2027 წლამდე თბილისიდან იაფად და კომფორტულად შესაძლებლობები არ გვექნება არც ჩვენ და



სოსო არჩვაძე

არც საქართველოს სტუმრებს. ამ კონტრაქტში ცალსახად არის ჩაწერილი, რომ თბილისიდან 200 კმ-ის რადიუსში არ უნდა იყოს აეროპორტი, რომელიც კონკურენციას გაუწევს თბილისის აეროპორტს. კიდევ კარგი, ქუთაისი 230 კმ-შია და „კოპიტნარის“ აეროპორტით სარგებლობის საშუალება გვაქვს. არ ვიცი რა დავარქვა იმ დამატებით გადასახადს, რომელსაც ხსენებული ხელშეკრულების გამო იხდის თითოეული მგზავრი დედაქალაქის აეროპორტში, კონტრიბუცია თუ ბეგარა. უამრავი „დრაკონის კბილია“ დათესილი საქართველოს ეკონომიკაში თუ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც ჯერ არ გამომჟღავნებული, მაგრამ შხამიან ნაყოფს ანტისახელმწიფოებრივი შედეგით კიდევ მოიტანს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ“.

როგორც ხედავთ, ბატონო სოსო არჩვაძე, ფაქტობრივად, ხსნის და შიფრავს იმ მიზეზებს, იმ წინაპირობებს, რის გამოც ლარი ასე მყარად არის მიბმული თურქულ ლირაზე.

ორი სერიოზული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, სოსო არჩვაძის და ვახტანგ ლეჟავას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაკეთებული ეს ორი დასკვნა, რომლებიც ერთმანეთს ამყარებს და ავსებს, ვფიქრობთ, სერიოზული განსჯის და განხილვის საგანი უნდა გახდეს სახელისუფლო წრეებისთვის, რომლებიც ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავ ვერსიებს გვთავაზობენ.

თუ ლირა დოლართან, ლარი დლართან მიბმულ ლირასთან, ხოლო ქართული ეკონომიკა თურქულ ეკონომიკასთან არის მიბმული და მისი ერთგვარი გაგრძელებაა, მაშინ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, იმაზე უნდა იფიქროს, როგორ უნდა გათავისუფლდეს ქვეყანა ამ მდგომარეობისგან.

ტყუის, ვინც ამბობს, რომ ქვეყანაში არაფერი არ კეთდება ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გაკეთებით როგორ არ კეთდება, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც მთავარი არ კეთდება ისე, რომ ქვეყანა სიღარიბის ჭაობიდან ამოვიდეს და წელში გაიმართოს, ხოლო რა არის ეს მთავარი, ამის დასადგენად და განსასაზღვრად, როგორც ჩანს, ქვეყნის საუკეთესო ინტელექტუალური ძალების მოხმობა და მათთან დათათბირება, მათი მოსაზრებების ურთიერთშეჯერება და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებაა საჭირო.

**გიორგი გამეზარდაშვილი**







# დიდი ჯიბიდან ამოვარდნილი პატარა კაცები დიდ ჯიპებში



პატარა კაცები დიდი ჯიპებიდან, დიდ ჯიბეში ვერ მოხვედრილი პატარა კაცები აცმუკდნენ და აცმუკუნდნენ...

ვინ აგვაცალაო ცხვირწინ ტახტი და ტახტრევანიო...

არ იქნებოდა თავისუფალი პატრიარქი თავის გადაწყვეტილებაში, თორემ ამას არ აირჩევდა, ამას ვერ აირჩევდაო...

თქვენი პატრიარქია, პატარა კაცებო, უწმინდესი და უნეტარესი? ისე, მაინც მოიხსენიეთ, როგორც საჭიროა, რაკი იმას არ ამბობთ, რაც საჭიროა, ისე მაინც მოიხსენიეთ, როგორც ეკუთვნის და როგორც ქართველი ერი მოიხსენიებს...

და ისედაც, თქვენი პატრიარქია განა, პატარა კაცებო, უწმინდესი და უნეტარესი?

თუ თქვენია და თუ ვინმე ძალას ატანს გადაწყვეტილების მიღებაში – რას უდგეხართ, რას ელოდებით, რა გაძინებთ, რა დროს ტრაპეზია?

კაბის კალთის აკაპიწება არ დაგავიწყდეთ ჯიპზე ფეხის ადგმის დროს...

ცუდი მართლმადიდებელი ვარ მე, ალბათ...

ცუდი ვიქნები, დასტურ, რადგან ვიცი, თვალი რომელიც მაცდუნებს, უნდა ამოვიძირკვო და მოვიშორო, ხელი, რომელიც მაცდუნებს, უნდა მოვიკვეთო – მაგრამ არ მემეტებოდით, არ გიმეტებდით – ვხედავდი ოთუსბირად გაყიდულ სანთელს და ხმას არ ვიღებდი, ვხედავდი როგორ გადაწერდით პირჯვარს მშიერ, ტიტველ მრევლს და კაბის კალთას აიკაპიწებდით მედიდური იერით შავ ჯიპზე ფეხის ასადგმელად – მაგრამ მაშინაც არ ვიღებდი ხმას, პირჯვარს გადავიწერდი და ცდუნებას სხეულის შიგნით ვებრძოდი...

მე არ ვიცი, მე რა პასუხს მთხოვთ – თქვენ თუ იცით, რომ საპატრიარქო გასაჭირშია – დაიწყეთ მიხედვა და დაგვიძახეთ, დაგეხმარებით – ოღონდ ყველა სარეველა ერთად ამოვკვეთოთ, შერჩევით არა, გამორჩენით არა, შურით არა...

გაგაქვთ ჩემი საპატრიარქო და გამოგაქვთ, დაატარებთ ჩემს ტაძრებს ჯიბით...

თუ მართლა გსურდათ სიმართლე გაგვეგო – მამა გიორგი მამალაძის პროცესი დახურულად კი არ უნდა წაგემართათ...

თუ, ზოგი რამ დასამალია, ზოგი რამ არა, თუ, ზოგი რამის თქმა შეიძლება და ზოგის არა? რა პრინციპით არჩევთ? რომელი საზომით რწყავთ?

ბიზნესი არ შეიძლება მღვდლისთვისო... მაშ, როგორ გგონიათ, ვინ დგას ყველა საეკლესიო მაღაზიის უკან საქართველოში? ან მღვდელი და ან მღვდლის ცოლი არა, განა?

ერთმა მღვდელმა მამა გაბრიელის საფლავიდან მიწა ჩამოიტანა – დაიქირავა მუშა-ხელი, პაწია პარკებში დააფასოებინა და თავისსავე მაღაზიაში გაყიდა...

მაშინ არ უნდა დამენდეთ, მაშინ უნდა მომეკვეთეთ...

იმერეთის მიყრუებულ სოფელში გარდაცვლილის ჭირისუფალმა რაიონში ჩააკითხა მოძღვარს – წაყოლა სთხოვა – იმხელა გზაზე ერთი მიცვალებულის გამო ვერ წამოვალო, მღვდელმა... სულ 50 კომლი ვცხოვრობთ, მამაო, სოფელში, ყველას ნუ ამოგვხოცავ იმ ერთი მიცვალებულის დამარხვის გამო, ისე გამოგვყევიო, უთხოვიათ იმერლებს...

მაშინ არ უნდა დამენდეთ, მაშინ უნდა მომეკვეთეთ... – მაგრამ ცუდი მართლმადიდებელი ვარ მე, მხოლოდ პირჯვარის გადაწერით შემოვიფარგლები.

მამა გიორგი მამალაძის დახურული პროცესიდან კორუფციის ხმა მაინც რომ გამოვიდა აღშფოთდით, გააპროტესტეთ – რატომ? რატომ? – ჯიპზე გახატიათ კორუფცია, სახლებზე გახატიათ, ბიზნესებზე გახატიათ... რატომ გიკვირთ? ვისი კორუფცია გიკვირთ?

სასაცილო ამბავი გამოვიდა ისე, ღმერთმანი, მამალაძეს ჩანთაში ნაპოვნი ციანიდის ვიდეოს ამაოდ ველოდებით, სამაგიეროდ კორუფცია უპოვნეს მამა გიორგის – მაინც განზრახ მკვლელობის მუხლით ჩასვეს.

ღმერთი უშველის, ღმერთია მოწამე – მამა გიორგიმ უბრალოდ მეგობრების და მტრების სწორად შერჩევა-არჩევა არ იცის, მაგრამ მამა გიორგის ჯიბიდან ამოღებული კორუფცია სად გადამალეთ, სად წაიღეთ, ვინ ინახავს, სად ინახება?

თქმა რად უნდა, ბრძოლა რისთვის მიდის, ყველა ხვდება...

ძალაუფლების გადანაწილება ხდება ასე ღიად, დღისითმზისით, ასე პირდაპირ ეთერში, ასე მარხვასა და ხსნილში, ასე ჯიპიდან ჯიპში, ტრაპეზიდან ტრაპეზში, სახლიდან სასახლეში...

ანუ, უბრალო ენით რომ ვთქვათ – ბრძოლა მიდის იმისათვის, ვის უფრო ახალი ჯიპი და დიდი სახლი ექნება...

ამასობაში უწმინდესმა და უნეტარესმა ანდერძიც არ განდოთ, პირდაპირ დაასახელა მოსაყდრე, ანდერძიც არ განდოთ...

მექრთამეა იქნება შორენაც, მაგრამ ეგ არ გიწვავთ თქვენ გულს, თქვენ იმის შიში გკლავთ: შორენა ჩემზე მეტს შოულობსო, შორენა ჩემს მეტს პოულობსო, შორენას ჩემზე მეტი აქვსო...

და მეც მინდაო, მინდა, მინდაო – ანთებული გაქვთ თვალები, გიდუღთ სისხლი, აჩქარებული გაქვთ გულისცემა – ქერის ორმოზე ოცნება არ განებებთ თავს... და ამ ფიქრებში გართულებს ისე გაგაქვთ და გამოგაქვთ ჩემი საპატრიარქო, ვერც ხვდებით, ისე დაატარებთ ჩემს ტაძრებს ჯიბით, არც გემძიმებათ...

დემოკრატია რომც არ იყოს, ამერიკა და ევროპა რას იტყვის, რომც არ გვეშინოდეს – მაინც არავინ გვყავს რუის-ურბნისის კრება რომ გაიმეოროს – იმიტომ რომ პატარა კაცი თავისნაირს სცნობს, მექრთამე – მექრთამეს, ხელი – ხელს, ჯიპი – ჯიპს...

პიპო პაპოოო... პიპაპოო...

ქეთევან დედოფლის გამზრდელი ერის წინ დგეხართ ურცხვად, წმინდა ნინოს ჯვართან პირჯვარს იწერთ, თევდორე მღვდლის სისხლით მორწყულ მიწაზე ფეხის დადგმასაც აღარ კადრულობთ – ისე ებრძვით ერთმანეთს, ისე იბრძვით ამქვეყნიური ძალაუფლებისთვის...

იბრძოლეთ რამდენიც გენებოთ, იკამათეთ რამდენიც გენებოთ, ლანძღეთ ერთმანეთი რამდენიც გენებოთ, ოღონდ ჯერ ანაფორა გაიხადეთ, დაგღალათ თქვენ კაბის კალთის აკაპიწებამ ჯიპზე ფეხის შედგმის დროს, გამოდით ჯერ ჩემი წინაპრების ოფლით აგებული ტაძრებიდან, მოშორდით ჯერ ჩემი წინაპრების სისხლით აქობამდე მოტანილ წმინდა ადგილებს და მერე...

ტაძრის წაბილწვას, ტაძრის ჩამონგრევას ვერ გაპატიებთ, არ გეპატიებათ...

რას გაგაქვთ და გამოგაქვთ ჩემი საპატრიარქო, რას იტენით ჯიბეებში ჩემს ტაძრებს – ვის რა წაუღია იმქვეყნად, თქვენ რომ წაიღოთ...

და სადღაც სოფელში, და სადღაც ქალაქშიც აქვე, სადღაც მთებში და სადღაც ზღვასთან ახლოს ცხოვრობს პატიოსანი და მორწმუნე, კეთილი და თბილი მღვდელი და ბერი...

მღვდელი და ბერი, რომელიც ლოცულობს, რომელიც მრევლს ეხმარება, რომელსაც არ ეზარება ჯვრის კურთხევა, რომელიც არ ითხოვს ნათლობისას განსაზღვრულ ფულს, რომელიც სწუხს, როცა ღარიბს ვერ ეხმარება, რომელსაც მართლა სწამს იმისი, რასაც ლოცულობს, იმისი, რასაც ქადაგებს – მადლობა მათ, მადლობა რომ ცოტანი არიან და მაინც არიან, მადლობა, რომ არ მოგბაძეს, ვერ მოგბაძეს, მადლობა რომ მაინც მოახერხეს ადამიანად დარჩენა...

**თამო კეშელავა**
555 46 08 04



# ძლიერი რეგიონები




## ქვიშხეთი–ზვარეს სარკინიგზო გვირაბის გათხრა დასრულდა

საქართველოში ყველაზე გრძელი – 8,5 კმ-იანი გვირაბის გათხრის სამუშაოები დასრულდა.

„საქართველოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში ყველაზე მასშტაბური პროექტი“ – ასე შეაფასა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქვიშხეთი-ზვარეს სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა.

თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის პრეზენტაციას, საქართველოს მთავრობის, ჩინეთის დელეგაციისა და საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობასთან ერთად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე არჩილ მაღრაძე და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში კობა ლურსმანაშვილი დაესწრნენ.

„ამ მასშტაბური პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობა, გაძლიერდება უღელტეხილის მონაკვეთზე მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხოება, შემცირდება მგზავრობის დრო და მატარებელი თბილისიდან ბათუმამდე მანძილს კიდევ უფრო მოკლე დროში დაფარავს. ასე რომ, თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით მალე ჩვენ გვექნება მოდერნიზებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა პროექტის პრეზენტაციაზე.

## ფეხბურთის ტურნირი წყალტუბოში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში თენგიზ სულაბერიძისა და იუზა ლოსაბერიძის სახელობის ტურნირები ჩატარდა. გამარჯვებულები ორ ასაკობრივ კატეგორიაში, 2004 და 2006 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის გამოვლინდა. დაჯილდოების ცერემონიას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გრიგოლ იოსელიანი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და ვეტერანი ფეხბურთელები ესწრებოდნენ.

სოკარის განვითარების თასის გათამაშებაში იმერეთის რეგიონიდან 300-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა.

## დუშეთის პარკი კეთილმოეწყო

ქ. დუშეთში გრძელდება ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია. სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში, რეგიონული განვითარების მესამე პროექტის **(RDP III)** ფარგლებში დაიწყო და ითვალისწინებს პარკის სრულ რეაბილიტაციას. კერძოდ: მოიკირწყლება სასეირნო ბილიკები; აღდგება შადრევანი; დაირგვება დამატებითი ხეები და ბუჩქები; დაიდგმება სკვერის სკამები, სანაგვე ურნები, ლამპიონები; მოეწყობა საზოგადოებრივი საპირფარეშო, ფანჩატური სამაგიდო სათამაშოებისთვის; რეაბილიტირდება არსებული როტონდა, სადაც მომავალში შესაძლებელია მოეწყოს კაფე-სანაყინე; ბოლნისის ტუფით შეიმოსება ტაძრისა და სამრეკლოს ფასადები; საკანალიზაციო სისტემა მიუერთდება ქალაქის არსებულ ქსელს. სრულად რეაბილიტირდება პარკის ირგვლივ არსებული ტროტუარები.

რეგიონული განვითარების მესამე პროექტს ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. გარდა ქ. დუშეთის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციისა, ითვალისწინებს ისტორიული უბნის, აგრეთვე, ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიისა და ჭილაშვილების სასახლის რეაბილიტაციას.

პროექტის მიზანია, ადგილობრივი ურბანული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, შენობებისა და ფასადების კონსერვაცია, ურბანული ლანდშაფტისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; პროექტი ხელს შეუწყობს მხარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადგილობრივების დასაქმებას, ინვესტიციების მოზიდვას, საზოგადოებრივი სივრცეების, მომსახურების სფეროს და ტურისტული პოტენციალის განვითარებას; განხორციელდება არა მხოლოდ ობიექტების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, არამედ მათი შესაძლებლობები და პოტენციალი გარდაიქმნება ეკონომიკურ და სოციალურ რესურსად.

საზოგადოებისათვის ცნობილია ქ. დუშეთის მიღწევები კულტურული მემკვიდრეობის დარგში: 2013 წელს ქალაქის 96 შენობას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ხოლო 2015 წელს ქ. დუშეთი გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ასოციაციის წევრი, რაც ქმნის ერთგვარ წინაპირობასა და გარანტიას ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, შენარჩუნების, დაცვის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და მისი პოპულარიზაციისათვის როგორც ქვეყნაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ქ. დუშეთში, ერეკლე II-ის ქუჩაზე, ყოფ. სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე იწყება,, საზოგადოებრივი ცენტრის“@ მშენებლობა. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობა შეძლებს ისარგებლოს პიროვნების, ქონების, ბიზნესის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სერვისით, აგრეთვე მიიღოს სოციალური თუ საარქივო დოკუმენტაციასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურება.




## ზუგდიდის ბულვარის რეკონსტრუქცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიამ, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან ერთად, ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაათვალიერა. ამ ეტაპზე წყლის ძველი არხის დემონტაჟი მიმდინარეობს.

„ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი ქალაქისთვის. პროექტით გათვალისწინებულია მოაჯირებიანი ხიდ-გადასასვლელების, სარწყავი სისტემისა და წყალსაწრეტის მოწყობა, ასევე დეკორატიული ქოთნების განთავსება. მცენარეები ადრე გაზაფხულზე, თებერვალსა და მარტში დაირგვება. ყველა მიმდინარე პროექტს პირადად ვუწევ ზედამხედველობას, რათა სამუშაოები მაღალი სტანდარტის შესაბამისად შესრულდეს“, – აღნიშნა ზუგდიდის მერმა ლაშა გოგიამ.

სამუშაოები 2018 წლის 7 ივნისს დასრულდება. პროექტის ღირებულება 789 970 ლარს შეადგენს.

## სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია ფოთში

ქალაქში სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სანიაღვრე არხების მოწესრიგებისა და მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოები რეკვავას, გორგასლის, ერეკლე მეორის, შავი ზღვის, ბარნოვისა და მაჩაბლის ქუჩებზე წლის ბოლომდე დასრულდება.

სამუშაო პროცესს ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი თოფურია ადგილზე გაეცნო.

პროექტის ღირებულება 764 399 ლარია. ამ ეტაპზე 555 681 ლარის სამუშაო უკვე შესრულებულია.

## ჩხოროწყუში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წლის 12 ივლისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 1 500 000 ლარი გამოიყო. ამ თანხის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სახიდე გადასასვლელების, სანიაღვრე არხების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სოფელ ხაბუმეში (ჯუმითის უბანში) სახიდე გადასასვლელის მშენებლობისთვის 80 000 ლარია გათვალისწინებული. ასევე სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში სოფელ მუხურში სანიაღვრე არხის მოწყობა მიმდინარეობს. მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ დაათვალიერა.

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ და მერიის არქიტექტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ ქალაქ წალენჯიხაში №1 პირველი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. საბავშვო ბაღში მთლიანად იცვლება ინფრასტრუქტურა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების დონეზე იქნება კეთილმოწყობილი და 120 ბავშვზეა გათვლილი.

სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია (AWERD). შემსყიდველია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. სამშენებლო სამუშაოების საპროექტო ღირებულება 330 000 ლარია.

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ მიქა-

# ძლიერი საქართველოსთვის


ზუგდიდი

ვას ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ცენტრალური საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

რეაბილიტაცია მიმდინარეობს 6,1 კმ-ზე. პროექტი ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, რომლის ოდენობა შეადგენს 2 386 378 ლარს. მიმდინარე სამუშაოებზე დასაქმებულია 50-მდე ადგილობრივი მუშახელი.

პროექტი გარდამავალია და 2018 წლის ივნისში დასრულდება.

## ბორჯომი – საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დაბა წაღვერში

სამუშაოები დასრულებულია. შენობაში სრულად შეიცვალა ძველი კარ-ფანჯარა, შეიღება კედლები და ჭერი, მოეწყო ლამინატისა და კერამიკული ფილების იატაკი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, მოწესრიგდა სველი წერტილები, ელგაყვანილობა, შეიღება შენობების ფასადი, კეთილმოეწყო ასევე ეზო.

ამჟამად შენობაში დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. ოთახები ახალი ავეჯით, სათამაშოებით, ყველა საჭირო ინვენტარითა და ტექნიკით აღიჭურვება.

ეს საალმზრდელო დაწესებულება რიგით მეშვიდეა, რომელიც ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა ბოლო 3 წლის განმავლობაში შეაკეთა.

ბაღის გახსნა უახლოეს მომავალში იგეგმება.

## რუსთავი

● რუსთავის ახალი მერი ადმინისტრაციული ერთეულების ოფისებში მოქალაქეთა მიღებას აგრძელებს.

ირაკლი ტაბაღუამ ილია ჭავჭავაძის, ჟიული შარტავასა და 13 ასურელი მამის სახელობის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე მცხოვრები რუსთაველები მიიღო, გაეცნო მათ პრობლემებს და დახმარებას დაჰპირდა.

მოსახლეობასთან შეხვედრებს, საკრებულოში, აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატებიც დაესწრნენ.

რუსთავი 10 ტერიტორიულ ერთეულადაა დაყოფილი. მას შემდეგ, რაც ირაკლი ტაბაღუა მერის უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა, მოქალაქეთა მიღება უკვე 9 ადმინისტრაციული ერთეულის ოფისში გამართა.

ქალაქის მერის ინიციატივით, მსგავსი ფორმატის შეხვედრები მოსახლეობასთან, რეგულარულად, ადმინისტრაციული ერთეულების ოფისებში გაიმართება. მოქალაქეები რუსთავის მერთან მიღებაზე ჩაწერას, როგორც ქალაქის მერიის მოქალაქეთა მიღების განყოფილებაში, ისე ტერიტორიული ერთეულების ოფისებშიც შეძლებენ.

● რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, ცურტაველის ქუჩაზე, №10 საბავშვო ბაღის მშენებლობას ადგილზე გაეცნო.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა აქტიურ ფაზაშია – შენობის ორივე სართულზე უკვე მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს.

ცურტაველის ქუჩაზე მდებარე №10 საბავშვო ბაღის ავარიული შენობის ადგილზე თანამედროვე სტანდარტების ახალი საბავშვო ბაღი აშენდა.

განსხვავებული დიზაინის ორსართულიანი შენობა ექვს საალმზრდელო ჯგუფსა და 180 ბავშვზეა გათვლილი. ბაგა-ბაღი გათბობის, ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემებით აღიჭურვება.

მშენებლობა მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება. პროექტისთვის 1 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება.

2017 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, რუსთავის სხვადასხვა უბანში დაზიანებული გზებისა და შიდა ეზოების საფარის, სანიაღვრე ქსელების, გარე განათების სისტემისა და საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. შენდება ახალი სპორტული მინიმოედნები, უკვე არსებულ სტადიონებს კი აღდგენითი სამუშაოები უტარდება.

## ბოლნისის „აგროდაზღვევის პროგრამა“

ბოლნისის მუნიციპალიტეტში „ერთიან აგროპროექტში“ ჩართულ ბენეფიციარს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი სრულად აუნაზღაურდა. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „აგროდაზღვევის პროგრამის“ მენეჯერი ლევან მაღრაძე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგის“ წარმომადგენელი გიორგი მეგრელიშვილი ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ დავით ხმელიძეს შეხვდნენ და სეტყვის შედეგად განადგურებული ხორბლის ნაკვეთები დაათვალიერეს.

2017 წლის ნოემბრის მონაცემებით საქართველოს მასშტაბით „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში გაცემულია 20 682 პოლისი, პროგრამაში ჩართულია 15 365 ბენეფიციარი, სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 7 252 990 ლარი შეადგინა. დაზღვეულია 20 466 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულება ჯამში 136 480 969 ლარია.

სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აწარმოე საქართველო – ბიზნესის“ ფარგლებში ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

## დმანისი – საჭირბოროტო პრობლემების განხილვა

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის,, ქალთა ოთახისა“ და სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც ეხებოდა ქალთა უფლებების თემას, ოჯახში ძალადობასა და ადრეულ ასაკში ქორწინებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალთა ოთახის თანამშრომელი და მრჩეველი გენდერულ საკითხებში, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლები, ასევე წარმომადგენლები რომელთაც სამსახურებრივად ეხებათ ქალთა, სოციალურად დაუცველთა და ბავშვთა უფლებების დაცვა.

შეხვედრა გაიმართა სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის და რეგიონული დეპარტამენტის ინიციატივით გენდერული თანასწორობის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, რომელიც ქვემო ქართლის ოფისმა შეიმუშავა, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

## თეთრიწყარო – მიწის რეგისტრაცია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ, მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტის მენეჯერმა ელენე გრიგოლიამ და საჯარო რეესტრის შიდა კონტროლის სამსახურის უფროსმა ნოდარ ეფრემიძემ, მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში, დაბა მანგლისში მიმდინარე სისტემური რეგისტრაციების სამუშაოები განიხილეს და იმსჯელეს გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებზე.

## გორი – თაფლის კოოპერაციული საწარმოს პროგრამა შიდა ქართლის მეფუტკრეებისთვის

პროგრამის ფარგლებში გორში აშენდება თაფლის გადამმუშავებელი საწარმო. იგი აღიჭურვება თაფლის წარმოების სრული ციკლისთვის საჭირო თანამედროვე დანადგარებით და შესაძლებელი იქნება საათში 800 კგ-მდე თაფლის როგორც გადამუშავება, ისე ერთგვაროვანი თაფლის მიღება. მოეწყობა სასაწყობო ინფრასტრუქტურა.

პროგრამაში მონაწილეობისთვის კოოპერატივში გაერთიანებული მეპაიე-კოოპერატივების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35-ს, რომელთაც საკუთრებაში უნდა ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ აღრიცხული სულ მცირე 7000 სკა.

წარმოებული თაფლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში მონაწილე კოოპერატივს დაეკისრება ვალდებულება, დაიცვას „თაფლის ტექნიკური რეგლამენტი“, დანერგოს მიკვლევადობა და HACCP-ის სისტემები.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამა 2018 წელს განხორციელდება.

სახელმწიფო პროგრამის მიზანია მეფუტკრეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ეკონომიკურად ეფექტიანი და მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგის განვითარება.


რუსთავი

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

**(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)**

ჰოპის ტომის ინდიელებს (არიზონას შტატი) სხვა წარმოდგენა აქვთ მიღებული და შენახული უხსოვარი დროიდან გადმოცემული ინფორმაციით. ისინი ჰყვებიან, რომ კონტინენტის ძირძველი მოსახლეები არიან და ცხოვრობდნენ იქ, სანამ „უკანა კარიდან“ (იგულისხმება ბერინგის სრუტე) ნავაჰოს ტომის ინდიელები შემოვიდოდნენ.

ჰოპის ლეგენდის მიხედვით, თავდაპირველად იყო მხოლოდ ერთი ღმერთი- შემოქმედი, ტაიოვა, უსასრულო სივრცესა და დროში, ფორმების გარეშე. მან შექმნა თავისივე დამხმარე, სოტუკნანგა, რომელმაც ჰაერით, მიწითა და წყლით შექმნა ცხრა სამყარო. პირველი ორი — თავისთვის, დანარჩენი შვიდი კი მომავალი სიცოცხლეებისთვის.



მომდევნო ეტაპზე სოტუკნანგამ შექმნა პირველი სამყარო, რომლის მოსაწყობად შეიქმნა დამხმარე ქალღმერთი — კოკიანგვუტი. ეს იყო ქალი- ობობა (საინტერესოა, რატომ ფიგურირებს ობობა უძველესი დროიდან მითებსა და ლეგენდებში, ან გამოსახულებებში ცასა თუ ხმელეთზე და რატომ არის აუცილებლად ქალი ჯერ კიდევ არაქნემდე?), რომელმაც თავის მხრივ ორი ღმერთი შეიქმნა დამხმარედ. ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო ბიოსფეროს მმართველი და მასვე უნდა გაეკონტროლებინა ეკოლოგიური წონასწორობა დედამიწაზე და მეორე, რომელიც ბიოსფეროს მიერ გამოყოფილი ხმების ვიბრაციაზე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი, ორივე ერთად კი, გააკონტროლებდნენ დედამიწის მოძრაობას საკუთარი ღერძის ირგვლივ.

მას შემდეგ, რაც დედამიწა მომზადდა სიცოცხლისთვის, ქალღმერთმა შექმნა სულიერი არსებები და დადგა ადამიანის შექმნის დროც. ქალღმერთმა გადაწყვიტა, რომ ადამიანები სოტიკნანგას მსგავსები უნდა ყოფილიყვნენ და შექმნა ოთხი ერთნაირი კაცი სხვა და სხვა კანის ფერით. შემდეგ, შეიქმნა ცოლები ამ კაცებისთვის, მიეცათ მეტყველების უნარი, სიბრძნე და გამრავლების ძალა.

პირველი ადამიანები ჩვენგან განსხვავდებოდნენ. მათ თავზე პატარა ნახვრეტი ჰქონდათ (სხვათაშორის, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, აჭარაში, ქართლში, იმერეთში, პირადად მომისმენია მოხუცების ნათქვამი ყიფლიბანდის შესახებ — ბავშვი იბადება ასეთი თავით იმიტომ, რომ გარკვეულ დრომდე კავშირი აქვს კოსმიურ სამყაროსთან და არ ამეტყველდება მანამ, სანამ არ დაიხურება ყიფლიბანდი; ანუ სანამ არ დაეკარგება კოსმიური ცოდნა, რათა არ გადმოსცეს ამ ცოდნის შესახებ) რომლითაც კოსმოსურ სიბრძნეს ეუფლებოდნენ. მათ არ იცოდნენ რა იყო ავადობა და სიბერე. გავიდა დრო და ადამიანები იმდენად გაამაყდნენ და გაამპარტავნდნენ, რომ შემოქმედ ღმერთს აღარ მოეწონა ნახელავი და მათი განადგურება გადაწყვიტა, ცეცხლის ალში გახვია დედამიწა და ამოწყვიტა ადამიანები, მაგრამ ნაწილი, რომლებმაც გამოქვაბულებს შეაფარეს თავი, გადარჩა, თუმცა, შეიცვალნენ — მათ გაუქრათ „კოსმოსის კარი“ და გაუწყდათ კავშირი კოსმოსთან.

დაიწყო მეორე სამყარო.

გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ ადამიანებმა დაიწყეს ვაჭრობა, ერთმანეთის მოტყუება, გაჩნდა ბოროტებაც. ღმერთს კვლავ არ მოეწონა მათი ქმედებები და კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მათი განადგურება — პოლუსებზე მდგომმა ღმერთებმა ადგილი შეიცვალეს და დედამიწას წარღვნა დაატყდა, ყველა კონტინენტი წყალმა დაფარა, მაგრამ ადამიანების ნაწილმა კვლავ მოახერხა გადარჩენა.

დაიწყო მესამე სამყარო.

მისმა წარმომადგენლებმა მიაღწიეს დიდი ქალაქების შენებას და სამხედრო ტექნიკის შექმნას, თუმცა გამუდმებით მტრობდნენ ერთმანეთს და კიდევ ერთხელ განრისხდა შემოქმედი, დედამიწას მეორე წარღვნა მოუვლინა. გადარჩნენ მხოლოდ მცირენი, რომლებმაც გემზე ასვლა მოასწრეს და უკიდეგანო ოკეანეში აღმოჩდნენ. ბოლოს ღმერთს შეეცოდა ისინი და ამერიკის კონტინენტისკენ აჩვენა გზა. ნაპირზე მათ დახვდათ კონტინენტის მფარველი სული მასაუ, რომელმაც იმ პირობით მისცა კონტინენტზე გადასვლის უფლება გადარჩენილებს, თუ პირობას დადებდნენ და შეასრულებდნენ, რომ ერთმანეთს აღარ უმტრობდნენ, მხოლოდ ძმურად იცხოვრებდნენ. ასე დაიწყო მეოთხე სამყარო. მეორე დღეს მასაუმ მზესავით მრგვალი ქვა გატეხა ოთხ ნაწილად და დაურიგა ადამიანებს თავიანთი ფერების მიხედვით. ამის შემდეგ წითელკანიანები კონტინენტზე დარჩნენ, დანარჩენები კი სხვა და სხვა კონტინენტზე დასახლდნენ. წინასწარმეტყველების მიხედვით, ოდესღაც ისინი ისევ შეხვდებიან ერთმანეთს რომ კვლავ გაერთიანდნენ.

გავიდა დიდი დრო და მიადგა ამერიკის კონტინენტს ევროპელთა გემები. ინდიელებს (წითელკანიანებს) ეგონათ, რომ ხალხი (თეთრკანიანები) საკუთარ სამშობლოში ბრუნდებოდა, მაგრამ თურმე მათ დავიწყებული ჰქონდათ ყველაფერი და შავი დღე აყარეს გულითად დამხვდურებს... თუმცა, ჰოპის ტომის ინდიელები დღემდე დარწმუნებულები არიან, რომ აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ყველა ფერის ძმა დაბრუნდება ისტორიულ სამშობლოში და ისევ გაერთიანდებიან.

ცენტრალურ ამერიკაში, იუკატამის ნახევარკუნძულზე, იქ, სადაც მაიას ტომი ცხოვრობდა, ერთ-ერთი სამარხის გახსნის დროს კედელზე აერონავტის გამოსახულება და სცენა აღმოაჩინეს იმისა, როგორ ასწავლიდა მფრინავი ადგილობრივი ტომის ბელადს ხომალდის მართვას.

მაგრამ ვინც ნახა თეთრკანიანები ინდიელების გვერდით, კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ?

ამერიკელი მეცნიერი და მწერალი იგნატიოს დონელი წიგნში „ლათინური ენის წარმოშობა“ აღნიშნავს, რომ მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდიდან მოსული ტომის, კოლხუას კულტურული მემკვიდრე, კოლხუას ერა კი დამთავრდა ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათასი წლით ადრე, ანუ ატლანტიდასა და კოლუმბამდელ ამერიკას შორის არსებობდა საზღვაო მიმოსვლა.

დონელის საბაზო წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნის ქრისტიანი ესპანელი მისიონერის დიეგო დე ლანდას ხელნაწერი წიგნი „მაიას ტომის ისტორია“, რომელიც ესპანეთის სამეფოს ისტორიის აკადემიის წიგნთსაცავში ინახება. იგი პირველი ქრისტიანი ეპისკოპოსი იყო იუკატანის ნახევარკუნძულზე რომელმაც აღწერა წარღვნამდელი მაიას ტომის ისტორია, მაიას ანბანი და ამ ანბანის წინასახე — კოლხუას ანბანი. შემდგომში მისი ხელნაწერები შეისწავლა ფრანგმა კათოლიკე მისიონერმა ბურბომ და მაიას ანბანზე დაყრდნობით ძველი ამერიკული წარწერებიც გაშიფრა.

დონელის ცნობებს თუ გავიზიარებთ, მაშასადამე, ქართულმა ტომმა კოლხუამ კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე აღმოაჩინა ამერიკის კონტინენტი და იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა, მაიას ტომს შეუდგინა ანბანი და კოლხუათა ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში.



მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს ჰქვია „მოლი“. ხომ არ არის ეს „მოლი“ იგივე „მოლი“, რომელიც „არგონავტიკაში“ გვხვდება და ის „მოლი“, რომლითაც მედეა ავადმყოფებს კურნავდა? — „მოლი“ წარღვნამდელი კოლხური სიტყვაა. („მოლი“ ფინიკიურად ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ კედელს ჰქვია)

აცტეკურ მითებში საუბარია ორ ადამიანზე რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას „ტატა“ და „ნენა“. ეს უძველესი მეგრული (კოლხური) სიტყვებია, ნენა-ს დღესაც უწოდებენ დედას, ხოლო ტატა-ლი ამჟამადაც ლამაზს, მშვენიერს, საუცხოოს ჰქვია სამეგრელოში...

აშშ-ის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი ბრაიან საიქსი) ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან (კავკასიაში იმ დროს კოლხები ცხოვრობდნენ) არიან წამოსულები და ეს გენი მართავს ადამიანის გენეტიკას.

ევროპის „დი-ს“ კლანებიდან უძველესი და უმდიდრესი ქსენი-ზანას, ანუ ქართული მითოლოგიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში (კოლხეთში) 25 000 წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელ ევროპაში. მომდევნო, „ვალადა-ს“ („ვალდას“) კლანის ასაკი 17 000 წელია. ქსენი-დალის გენები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ინდიელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენლებშიც, რასთან გვაქვს საქმე?

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა კატალონიაში მოღვაწე ქართველი ენათმეცნიერის, კახი სახლთუხუცესის მიერ 2005 წელს გამოკვლეული ამბავი, როდესაც ჯერ კიდევ სწავლობდა (ჰოლანდიაში). Hბატონმა კახიმ ჰოლანდიის ტელევიიზით, ერთ-ერთი გადაცემიდან შეიტყო, რომ დნმ-ის შემსწავლელი ამერიკული ლაბორატორიის მეცნიერები უძველესი ხალხების გენეტიკის მემკვიდრეებს ეძებდნენ და ამ ხალხს დაუკავშირდა. 6 კვირაში მიიღო გამაოგნებელი პასუხი, რომ მამისეული ხაზით ფრიგიელების შთამომავალი ყოფილა. გამოკვლევის პასუხი სხვა ლაბორატორიაშიც გადაამოწმა და პასუხი იგივე მიიღო, მისი დნმ აბსოლუტურად იდენტური აღმოჩნდა ანატოლიურ სამარხში ნაპოვნი ფრიგიელების დნმ-ისა! ბატონი კახის თქმით, საქართველოში ფრიგიელების გენეტიკური მემკვიდრეები 5%-ს შეადგენს და ის შემონახულია გვარებში: ციციშვილი, არაბული, ვაჩნაძე, ჯაბუშანური, გვათუა, გუჯეჯიანი და სხვა.

კახი სახლთუხუცესი: — „საკუთარი დნმ-ის კვლევის შემდეგ ამერიკულ ლაბორატორიას კავკასიური დნმ-ის კვლევებში თანამშრომლობა ვთხოვეთ. კავკასიის კვლევებმა ჩვენი გენეტიკისთვის დიდად საინტერესო მასალა წარმოაჩინა. მაგალითისვის ვიტყვი, რომ მთელ კავკასიაში ქართველების დნმ-თან ყველაზე ახლოს და თითქმის იდენტური აფხაზების დნმ-ია.

2011 წლიდან უკვე ქართველთა დნმ-ის კვლევა დავიწყეთ. პასუხებს, რა თქმა უნდა, სხვა და სხვა ხალხის დნმ-თანაც ვადარებდით, მაგრამ უპირველესად, საქართველოს უძველეს ნაშთებში მოპოვებულ დნმ-თან — ჭიათურაში, კოტიას მღვიმეში და თერჯოლაში, საწურბლიას მღვიმეში, დაახლოებით 13 000 წლის წინანდელი ადამიანების ნაშთებია მოპოვებული, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება და სწორედ მათი დნმ-ის შედარება იყო ყველაზე საინტერესო. (ამ ნაშთებიდან 150 საუკუნე მაინც გვაშორებს, მაგრამ მათი დნმ ცოცხალია! -ავტ) მართალია, საწურბლიას მღვიმის დნმ წაიშალა, მაგრამ დღეს ქართველების საკმაო ნაწილს სწორედ ის დნმ აქვს მამაკაცის ხაზით, რომელიც 10 000 წლის წინ კოტიას გამოქვაბულში მცხოვრებ ადამიანს ჰქონდა. აქაც შემიძლია გვარები დავასახელო: მხეიძეები, ანდრიაძეები თუ ნაკაიძეები, კოტიას გამოქვაბულის მკვიდრის დნმ-ს შეუცვლელად აგრძელებენ. ლოგიკით, ამ დროს ჩვენს ტერიტორიაზე შემოსული ეს ხალხი აქვე უწყვეტად დარჩა და დღემდე აქ არის. თუმცა, ერთიანი ეთნოსის ჩამოყალიბებაში მათთან ერთად კიდევ რამდენიმე, სხვა და სხვა მხრიდან შემოსულმა ხალხმაც მიიღო მონაწილეობა.




გენეტიკური გენეალოგია

**(გაგრძელება იქნება)**

# სამსონ სამჭკუაშვილის ბლოგი



## ლელა კაკულია – წინასწარმეტყველი თუ პოლიტიკური მიმომხილველი?

თუ ქალბატონი ლელა კაკულია წინასწარმეტყველია, მაშინ წინასწარმეტყველები ყოფილან სოსო ცინცაძე, მამუკა არეშიძე, ვაჟა ბერიძე, ნანა დევდარიანი, ნიკა მჟავანაძე, სოსო ცისკარიშვილი, ზაალ კასრელიშვილი და სხვა მრავალნი...

●

ამასწინათ „პრაიმშოუს" ერთ-ერთმა წამყვანმა ანრი ჯოხაძემ დიდი გნიასი და ქოთქოთი ატეხა – წინასწარმეტყველ ლელა კაკულიასთან ვიყავი და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერე. ახლა ისეთ ამბებს გაიგებთ, ისეთ ამბებს გაიგებთ, „პრაიმშოუს" მსმენელებს ჯერ რომ არ გაუგონიათო.

მერე იყო ინტერვიუ – აქეთ მხარეს ზედმეტად აჟიტირებულ-ეგზალტირებული მომღერალი, იქით მხარეს კოსმოსის უდუმალი სამყაროდან მოსაუბრე წინასწარმეტყველი, რომელიც მსოფლიოში მომხდარ თუ მოსახდენ ამბებზე ისე ჰყვებოდა, თითქოს წინა დღეს რაღაც დოკუმენტური ფილმი ჰქონდა ნანახი და ახლა ამ ფილმის შინაარსს იხსენებდა.

ჟურნალისტად გარდასახული მომღერალი ანრი შიგადაშიგ აღტაცების გამომხატველ ფრაზებს ჩაურთავდა ხილმე ქალბატონი ლელას „გამაოგნებელი" წინასწარმეტყველებების მოსმენის პროცესში, თუმცა თუ კარგად ჩაუკვირდებოდი იმას, რასაც ქალბატონი ლელა ჰყვებოდა, სულაც არ იყო წუნასწარმეტყველება – ეს იყო მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ჩვეულებრივი მიმოხილვა, რომლის მსგავსი უამრავი წაგვიკითხავს, უამრავი მოგვისმენია.

პოლიტიკური მიმოხილვაო, კი ვთქვით, მაგრამ ეს იყო, დაახლოებით, იმ დონის „მიმოხილვა", ილიკო, ილარიონი, ოლღა ბებია და ზურიკელა რომ მიმოიხილავდნენ მსოფლიოს პოლიტიკურ ამბებს ნოდარ დუმბაძის ცნობილ რომანში.

„...ილარიონი საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას კითხულობს.

– გათავებულია ჰიტლერის საქმე! – თქვა ილარიონმა.

– იაგანი, – თქვა ილიკომ, ქვა მომიკლა და კარები ჩაკეტა. – შენი საქმეც გათავებულია, ზურიკელა. ადექი, ახლა. რაო, რა წერია გაზეთში, ილარიონ?

– დადგნენ მოსკოვთან და ფეხს ვეღარ იცვლიან ადგილიდან.

– მეორე ფრონტისა რა ისმის?

– რა ეჩქარებათ? ისე, დიდი ეშმაკია ინგლისი. ამერიკას ეუბნება, მე დამეხმარე და საბჭოთა კავშირს თავი დაანებეო!

– მერე, რას ეუბნება ამერიკა?

– მაგი არაა შენი საქმეო!

– ახლა გერმანია ეუბნება თურქეთს და იაპონიას – მე რომ სტალინგრადში შევალ, თქვენ მაქედან დაარტყითო!

– სტალინგრადში შესვლა მაგას წითელ ჯვარში შესვლა ხომ არ ჰგონია, ვერიჩკა ბურჭულაძეს რომ განცხადებას დაუწერ და ტაშისკვრით მიგიღებს!

– თურქეთის პოლიტიკა რაღაც არ მომწონს ამ ბოლო დროს, ჩემო ილარიონ!

– მაგი ისეთი ჟულიკია, თუ შეატყო, გაუჭირდაო, ისევ გერმანიას გამოუცხადებს ომს.

– გაჩერდი, კაცო! – აგერ ვარ მე და აგერაა გერმანია. აგი ულვაში გამპარსე, ასე თუ არ ქნას!

– იაპონია?

– იაპონია რა. გერმანია ეუბნება, დაიწყე, რაღაც უყურებო და იაპონია ეუბნება, რომ დაგდებულხარ მოსკოვთან და ფეხს ვერ იცვლი, რომ დავიწყო, მერე სად წავიდეო!

– გერმანია რას უჩივა?

– ორჯერ გადასცა რადიოთი, ავიღე სტალინგრადიო. მარა იაპონიას მოატყუებს მაგი? ზევით რომაა, ერთი იმხელა მიწაშია...

– გათავებულია მაგათი საქმე. დაასხი, ბიჭო, ზურიკელა! – ღვინოს ვასხამ, ჭიქებს ვიღებთ და სამთავე ვსვამთ გამარჯვების, ჯარში წასულების და მშვიდობის სადღეგრძელოს..."

ქალბატონი ლელაც ასე შინაურულად და შილიფად მსჯელობს დედამიწაზე მიდინარე ურთულეს გეოპოლიტიკურ საკითხებზე და ისე იოლად და მარტივად ჭრის და კერავს ხალხებისა და სახელმწიფოების ბედს, ნათელმხილველისა და წინასწარმეტყველის იმიჯს რომ არ ეკადრება.

ეს არ არის წინასწარმეტყველება, ეს უფრო ჭორაობას ჰგავს, თუმცა ქ-ნი ლელა ჯიუტად გვარწმუნებს, რომ ზედმიწევნით ზუსტად იცის, რა მოხდება არა მარტო ხვალ და ზეგ, არამედ ასი წლის შემდეგ, ორასი წლის და სამასი წლის შემდეგაც.

კარგი პროფესიაა წინასწარმეტყველება – თქვი ყველაფერი, რაც ენაზე მოგადგება, იწინასწარმეტყველე, რაც მოგესურვება და თუ ვერ ახდება, აი, დარდი – ასი წლის, ორასი თუ სამასი წლის შემდეგ, ვისთვის რა პასუხი მოუთხოვიათ ცრუ „წინასწარმეტყველებისთვის", რომ შენ მოგთხოვონ?

ქალბატონი ლელა მთლად ჩვეულებრივი წინასწარმეტყველი არ გეგონოთ – პატრიოტი წინასწარმეტყველია! აქეთ თურქეთს რომ დაშლის პაჩიკოს გარმონივით, იქით რუსეთს ბდღვირს აადენს – სამაგიეროდ, საქართველო გაბრწყინდება, გიორგი ბრწყინვალე მოდის, გიორგი ბრწყინვალე მოდის, ქართული ჯარი ამარცხებს რუსეთის ჯარს! – ისეთი დამაჯერებელი ტონით ამბობს ქალბატონი ლელა, რომ ერთბაშად გავიწყდება, ნახევრადმშიერი რომ ხარ, სამუშაოს რომ ვერ შოულობ, ქუჩაში ქართველებზე მეტი უცხოტომელები რომ დაეხეტებიან და ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ რომ არის გაქცეული ლუკმაპურის საშოვნელად.

შენს პირს შაქარი, ქალბატონო ლელა, შენ გაიხარე ჩვენი გულის გამხარებელი წინასწარმეტყველებისთვის.

– გიორგი ბრწყინვალე მოდისო, რომ ბრძანებთ, ხომ გვყავს, აგერ, გიორგიო, – შეაპარა მომღერალმა ანრიმ რესპონდენტს (ანრი, როგორც ჩანს, გიორგი კვირიკაშვილს გულისხმობდა).

– არა, არა, ამ გიორგიზე კი არა, სხვა გიორგიზეა საუბარი – ის ისეთი განათლებულია, ისეთი ჭკვიანი და გონიერია, რომ ქვეყანას ააყვავებსო, – ბრძანა ქალბატონმა ლელამ.

ასე რომ, გიორგი ბრწყინვალე მოდის!

კი, მაგრამ, თუ მოდის, როდის მოდის?

რა ვიცით, როდის მოდის – წინასწარმეტყველება ამინდის პროგნოზი ხომ არ გგონიათ, თქვენ?

მთავარია, რომ მოდის!

(საქართველოში უამრავი გიორგია და მათ შორის იმდენია ჭკვიანი და განათლებული, მოდი და არკვიე, რომელია მათ შორის „ბრწყინვალე").

ხანდახან, ეჭვი მეპარება, ქალბატონი ლელა შეთავსებით, იმედის მკეთებლადაც ხომ არ მუშაობს?

აი, ისეთი იმედის, ზებო რომ აკეთებდა – ჭაში რომ იჯდა და ზარს რომ შემოჰკრავდა ხოლმე – ნუ გეშინიათ, სულ მალე გვირაბის ბოლო გამოჩნდებაო.

შევარდნაძის დროსაც იმედს აკეთებდა ქ-ნი ლელა, სააკაშვილის შავბნელ დროშიც და, ეტყობა, ინერციით, ახლაც იგივე იმედს აკეთებს, ამჯერად უკვე ტელეკომპანია „იმედის" ეკრანიდან.



ერთი რამ კი ასპროცენტიანი სიმართლე უწინასწარმეტყველა ლელა კაკულიამ მომღერალ ანრის: თქვენი „პრაიმშოუს" წამყვანთა გუნდი დაიშლებაო.

რა წინასწარმეტყველება და ნათელმხილველობა სჭირდება ამის მიხვედრას – ერთ შოუს ერთდროულად ექვსი წამყვანი რომ ეყოლება, დაიშლება და დაიხურება ის ტელეშოუ, აბა, რა იქნება?

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, ქალბატონი ლელა კაკულია თუ წინასწარმეტყველია, მაშინ წინასწარმეტყველები ყოფილან ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველები, ექსპერტები, ანალიტიკოსები, პუბლიცისტები, რომლებიც გაცილებით სერიოზულ პროგნოზებს აკეთებენ, ვიდრე ქალბატონი ლელა, თუმცა ამის გამო თავი არც წინასწარმეტყველებად გამოუცხადებიათ და არც მისნებად და ჯადოქრებად.



როგორც გაირკვა, ქალბატონ ლელას დონალდ ტრამპი დიდად არ ეპიტნავება და მის პოლიტიკურ კარიერასაც სკეპტიკურად უყურებს.

– ამერიკაში მალე ქალი იქნება პრეზიდენტიო! – დაასკვნა წინასწარმეტყველმა და დასკვნას ძახილის ნიშანიც მოაყოლა.

შემთხვევით ჰილარი ხომ არ ჰქვია იმ მანდილოსანს, თქვენ რომ აშშ-ის მომავალ პრეზიდენტად გესახებათ, ქალბატონო ლელა?

ბოროტი ხმები ჭორებს ავრცელებენ, თითქოს ქალბატონი ლელა ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიაში „მუშაობდა" „წინასწარმეტყველის შტატზე" და სწორედ ამიტომ გაუხსნეს მას გზა ერთ-ერთი ამერიკული რადიოს ეთერში და წიგნის გამოცემაშიც დიდად შეუწყვეს ხელიო.

– ტყუილი იქნება ეგ ამბავი! საქართველოში კიდევ ჰო, მაგრამ ამერიკაში ისეთი რა გაუჭირდათ, რომ ლელას კაკულიას უხმეს საშველად? – ხელებს ასავსავებენ სკეპტიკოსები.

ყველას თავისებურად უჭირს, ჩემო ძვირფასებო – ღარიბსაც და მდიდარსაც, ქართველსაც და ამერიკელსაც, ყველას თავისებურად უჭირს, ჰოდა, იქ, სადაც გასაჭირია, წინასწარმეტყველებასა და ნათელმხილველობაზე ყოველთვის იქნება დიდი მოთხოვნილება.



# როდის შეიძლება წამალი საწამლავად იქცეს?

ვაგრძელებთ საუბრებს ბატონ რამაზთან. იგი ამჯერად გაგვაცნობს რა საკვების მიღება არ შეიძლება ამა თუ იმ სამკურნალო პრეპარატებთან:

**— ბატონო რამაზ, ზოგადად, რა როლს ასრულებს კვება, მთელი ორგანიზმის ფუნქციონირებისთვის.**

— საკვები ორგანიზმისთვის აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს, განსაკუთრებით, ვიტამინებსა და მინერალებს უნდა შეიცავდეს. მცირე რაოდენობით მიიღეთ ცხიმიანი საკვები და შაშხი. სასარგებლოა სიარული ბუნების წიაღში — დღეში 10კმ. ტერფის მიდამოებში განლაგებულია სპეციალური წერტილები და მათზე ზემოქმედება ხელს უწყობს ლიბიდოს ამაღლებას. ამიტომ, სასარგებლოა ფეხშიშველა სიარული. ეფექტს იძლევა არა რბილ ნოხზე, არამედ ზღვის მსხვილქვიშიან ნაპირზე სიარული. სიყვარულს და სექსსაც ასაკი არ გააჩნია. იმპოტენცია არ არის განაჩენი. სექსუალური დღეგრძელობა ასაკზე დამოკიდებული არ არის. მაგალითად, 99 წელს მიღწეულ ამერიკელ მამაკაცთა უმრავლესობამ კითხვას, თუ როდის დაკარგეს სექსისადმი ინტერესი, უპასუხეს, რომ მათ ამ ასაკისთვის ჯერ არ მიუღწევიათ.



**— ბატონო რამაზ, როგორც ჩემთან საუბარში აღნიშნეთ ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას წამლებთან საკვების შეუთავსებლობამ.**

— დიახ, ასეა. სამედიცინო სამყაროში დიდი შეშფოთება გამოიწვია მამაკაცის ტრაგიკულმა ისტორიამ, რომელიც ქოლესტერინის დამწევი პოპულარული საშუალების — ლიპრიმარის დოზის გადაჭარბების გამო დაიღუპა. როგორც გაირკვა წამალი დამნაშავე არ იყო. პაციენტი მრავალი წელი ჩვეულებრივ მკურნალობდა ამ წამლით. პრობლემა მას მერე წარმოიშვა, რაც მან დღეში 2–3 ჭიქა ახალგამოწურული გრეიფრუტის დალევა დაიწყო. ამის მერე იგი თირკმლის უმძიმესი უკმარისობით გარდაიცვალა. მისი თირკმლები გამოტენილი იყო კუნთოვანი ქსოვილის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ცილებით. გრეიფრუტის წვენი C ვიტამინის, კალიუმის და უჯრედისის საუკეთესო წყაროა, მაგრამ ერთ ჭიქა წვენს შეუძლია არსებითად შეაფერხოს ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწლავური ფერმენტების მოქმედება, რომლებიც ხელს უწყობს მრავალი მედიკამენტის შეთვისებას. განსაკუთრებით საშიშია გრეიფრუტის კომბინირება ჰიპერტონიის საწინააღმდეგო პრეპარატებთან, იმუნოდეპრესანტებთან, ერითრომიცინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან, სიმსივნის საწინააღმდეგო ზოგიერთ პრეპარატთან და ვიაგრასთან. გრეიფრუტის წვენთან, განსაკუთრებით ახალგამოწურულთან დაუშვებელია შემდეგი მედიკამენტების მიღება: ანტიარითმიულის, ანტიბიოტიკების, ანტიკოაგულანტების, ანტიალერგიულის, ანტიეპილეფსიურის, ბეტა-ბლოკატორების, კალციუმის არხების ბლოკატორების, ჰორმონული, იმუნოსუპრესორების, ანალგეტიკების, ვირუსსაწინააღმდეგო, ჰელმინტოლოგიური, სოკოს საწინააღმდეგო, ხველების საწინააღმდეგო (დექსტრომეტორფანი) და სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების. გრეიფრუტის წვენის მიღება საშიშია ჰიპოტენზურ ან სხვა საგულე პრეპარატებთან ერთად, რადგან ამ დროს მკვეთრად იზრდება ამ ჯგუფის პრეპარატთა რაოდენობა სისხლში, რამაც შეიძლება სასიკვდილო შედეგი გამოიწვიოს. ამერიკელები სავალდებულო წესით ახდენენ გრეიფრუტის წვენთან ყველა ახალი წამლის ტესტირებას. იგი უარყოფით გავლენას ახდენს 200-ზე მეტ პრეპარატზე.

### ნაბახუსევზე პარაცეტამოლის მიღება შესაძლოა სასიკვდილო აღმოჩნდეს!

ასევე, შეუთავსებელია სამკურნალო პრეპარატები და ალკოჰოლი. მაგალითად, ანტიდეპრესანტებით მკურნალობისას თუ ალკოჰოლს, განსაკუთრებით, წითელ ღვინოს მიიღებთ, თქვენ სერიოზული ჰიპერტონული კრიზის რისკის ქვეშ დგებით. დაუშვებელია ნაბახუსევს თავის ტკივილის დროს ჩვეულებრივი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის — პარაცეტამოლის მიღება. ალკოჰოლისა და პარაცეტამოლის ურთიერთმოქმედებით წარმოქმნილი ნივთიერებები იწვევს ღვიძლის ნეკროზს და უკმარისობას. ამის გამო ბევრი სიცოცხლეს გამოესალმა. აქვე, ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ჯორჯ ბუში უფროსის თანაშემწეს შეემთხვა. იგი ალკოჰოლიკი არ იყო, მაგრამ ჩვევად ჰქონდა ყოველდღიურად დაელია 3–4 ჭიქა თეთრი ღვინო. ოთხი დღის განმავლობაში მან გაციების სამკურნალოდ მიიღო ათი აბი პარაცეტამოლი. ეს დოზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ღვიძლი დაშლოდა. მისი გადარჩენა მოასწრეს და ღვიძლი სასწრაფოდ გადაუნერგეს. განსაკუთრებით საშიშია ალკოჰოლის მიღება დიმედროლთან, ძილის მომგვრელ საშუალებებთან, ნეიროლეპტიკებთან, სუპრასტინთან და მის ანალოგებთან ერთად. ალკოჰოლთან ერთად კლოფელინის (წნევის დამწევი საშუალება) მიღებამ, შესაძლოა გონების დაკარგვა გამოიწვიოს, პარალელურად, არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა, რაც ხშირად ლეტალურად მთავრდება. ალკოჰოლური სასმელები ანტიკოაგულანტებთან ერთად მიღებისას კიდევ უფრო აქვეითებს სისხლის შედედებას. შედეგი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს — სისხლდენა და სისხლჩაქცევები. ალკოჰოლი ასევე, აბსოლუტურად, შეუთავსებელია ინსულინთან და დიაბეტის საწინააღმდეგო ნებისმიერ პრეპარატთან, რადგან ასეთი შეხამება იწვევს დიაბეტურ კომას. ალკოჰოლის გავლენით ანტიბიოტიკები და ვიტამინები (ჩ, B ჯგუფის, ფოლის მჟავა) არ შეიწოვება და მკურნალობა სრულიად არაეფექტურია. სპირტიან ნაყენზე დამზადებული მრავალი პრეპარატი უკუჩვენებითია მათთვის, ვისაც ღვიძლი აწუხებს. ამ შემთხვევაში ისინი ანალოგიური აბებით უნდა შეიცვალოს.




### რა საფრთხე ემუქრებათ თამბაქოს მომხმარებლებს?!

სიგარეტიც მოქმედებს წამალთა შეთვისებაზე, რის გამოც მწეველებს დიდი სიფრთხილე მართებთ. წამლების მოქმედებაზე გავლენას ახდენს თამბაქოს ბოლში შემავალი ტოქსიკური კომპონენტები. პირველ რიგში, მას მიეკუთვნება ბენზპირენი. ადამიანი რომელიც დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევა, ჩაისუნთქავს ამ შხამის, დაახლოებით, 1 მილიგრამს. ეს ძალიან ბევრია. ამის გამო მწეველთა ღვიძლი მუდმივ სტრესულ მდგომარეობაშია. ეს იწვევს ზოგიერთი წამლის დაჩქარებულ გადამუშავებას და მათი სამკურნალო მოქმედების შემცირებას. მწეველებს, როგორც წესი, სჭირდებათ წამლების გადიდებული დოზა,



რაც თავის მხრივ, მავნე გავლენას ახდენს ღვიძლზე. ტკივილგამაყუჩებელი ეფექტის მისაღწევად მათ უნდა მიიღონ დიდი დოზით პარაცეტამოლი. ბრონქული ასთმით დაავადებულ მწეველებზე სუსტად მოქმედებს ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატები, მაგალითად, თეოფილინი. განსაკუთრებით დამანგრევლად მოქმედებს თამბაქოს კვამლი მრავალ საგულე საშუალებაზე, მაგალითად ანაპრილინზე და ოქსპრენოლოლზე.

### რძის პროდუქტები ანტიბიოტიკების შეწოვას აფერხებს?

ანტიბიოტიკებით მკურნალობის პერიოდში მენიუდან, ალკოჰოლთან ერთად, უნდა გამოირიცხოს რძე და რძის პროდუქტები, რადგან მათში შემავალი კალციუმი ბოჭავს ანტიბიოტიკების დიდ ნაწილს და თითქმის



მთლიანად აფერხებს მათ შეწოვას. ანტიბიოტიკების მიღების შემდეგ უჯრედისის მაღალი შემცველობის პროდუქტები (ბოსტნეული, ხილი) არღვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და ხელს უშლის მათ შეწოვას. აქედან გამომდინარე, ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება. ანტიბიოტიკებით მკურნალობისას, პირველ რიგში, თავი შეიკავეთ ბარდისგან, ბროკოლისგან და კომბოსტოს სხვა სახეობებისგან. ნაკლებად მიირთვით ხორცეული. დროებით უნდა შეიკავოთ თავი მჟავე საჭმელებისგან, ყავისგან, კოლასგან, გაზიანი სასმელებისგან, ძმრიანი კერძებისგან.

**— ბატონო რამაზ, იქნებ მკითხველს კონკრეტულად ურჩიოთ ამა თუ იმ პრეპარატის მიღებისას, რა საკვებისგან შეიკავონ თავი?**

— მაგალითად, ანტიდეპრესანტებთან შეუთავსებელია ალკოჰოლური სასმელები, განსაკუთრებით წითელი ღვინო, რძის პროდუქტები, პარკოსნები, ყავა, კომბოსტოს მწნილი, ძროხის და ქათმის ღვიძლი, გამოყვანილი თევზი და ხორცი, ლეღვი, ბანანი, ქიშმიში. ყველა ჩამოთვლილი პროდუქტი შეიცავს თირამინს, რომელმაც ანტიდეპრესანტებთან ურთიერთმოქმედებით შეიძლება არტერიული წნევის მკვეთრი მომატება გამოიწვიოს. არ იკრძალება ხილისა და ბოსტნეულის წვენი.

შეუთავსებელია C ვიტამინის მაღალი შემცველობის პროდუქტები (ციტრუსები, ბოსტნეული) ნოვოკაინთან, ფოლის მჟავას შემცველი პროდუქტები (პარკოსნები, ღვიძლი, პომიდორი) ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატებთან.

გულსისხლძარღვთა სისტემის სამკურნალო პრეპარატებით მკურნალობის პერიოდში უნდა მოერიდოთ მაღალკალორიულ და ცხიმიან საკვებს. უარი თქვით ყავაზე, კაკაოზე, შოკოლადზე, ცხარე და მარილიან საუზმეზე. არ იკრძალება თევზი და ზღვის პროდუქტები, მცენარეული ზეთები. მიიღეთ ბოსტნეული, ახალი ხილი, ჩირი, რძე და რძის პროდუქტები.

ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებისას ერიდეთ ჰისტამინის შემცველ პროდუქტებს, კონსერვებს, ღვინოს, მჟავე კომბოსტოს, ასევე, ციტრუსებს, პომიდორს, ბანანს, ხენდროს, კვერცხს, ბულიონებს, ნიგოზს, შოკოლადს. არ იკრძალება პროდუქტები, რომლებიც იცავს კუჭის ლორწოვან გარსს — სტაფილო, ჭარხალი, ყვავილოვანი კომბოსტო, პარკოსნები, ყაბაყი, ვაშლი, მსხალი, ატამი.

(გაგრძელება იქნება)

თამარ შველიძე
555 23 28 24

# იქ, სადაც ქიაჩის ხატი ესვენა



ჩვენი სოფელი ობუჯი გამორჩეული სოფელია არა მარტო წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, არამედ მთელ საქართველოში. ამ სოფელში ბევრი გამოჩენილი, როგორც სასულიერო, ისე საერო პირი აღიზარდა.

გადმოცემის მიხედვით, ძველად სოფელში ყოფილა 12 ეკლესია-მონასტერი, რომელთაგან მხოლოდ ერთის, საეკლესიო კათედრალის ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. ამბობენ, რომ აქ სასწაულთმოქმედი წმიდა გიორგის ხატი ესვენა(ნოჯიხური),

2002 წელს, სოფლის ცამეტკაციანმა საძმომ წამოაყენა ინიციატივა, სოფლის ცენტრში, სადაც ნაეკლესიარი იყო და სახელგანთქმული ქიაჩის ხატი ესვენა, აშენებულიყო ეკლესია. ამ ინიციატივას აჰყვა სოფლის მოსახლეობაც. გაიწმინდა ის ადგილი, გაიჭრა საძირკველი, რომელიც აკურთხა ზუგდიდის ვლაქერნის ღრმთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა მალხაზ ჭანტურიამ.

ამ სასიკეთო საქმის გამგრძელებელი ობუჯელი **გაიოზ ქარდავა** აღმოჩნდა, რომელმაც მშენებლობისთვის 10 000 დოლარი გაიღო. ჩაიყარა საძირკველი, მაგრამ უსახსრობის გამო სამწუხაროდ, მშენებლობა შეჩერდა.

2008 წელს მშენებლობის განახლება ითავა დედით ობუჯელმა, ობუჯის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, ცნობილმა ქველმოქმედმა **ბადრი (აბესალომ) გულორდავამ**. მისი ფინანსური და მორალური მხარდაჭერით ტაძარი აშენდა და მოპირკეთდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის მოჩუქურთმება დიდი რუდუნებით შეასრულა ობუჯელმა, თვითნასწავლმა მხატვარმა **მამუკა კაკაჩიამ**. ტაძარი უსასყიდლოდ გადახურა ფოთის მკვიდრმა, წარმოშობით ობუჯელმა, **გიორგი კაკაჩიამ**.

ამ საშვილიშვილო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს: აფხაზეთიდან დევნილმა **ვიტალი გინდიამ** — 1000 ლარი, ობუჯის სკოლის კურსდამთავრებულმა, ფახულანელმა **ჯაბა შონიამ** — 500 ლარი, რაიონის, სოფლის ხელმძღვანელობამ — გადახურვისთვის 4000 და მობათქაშებისთვის 2000 ლარი.

ღვთის წყალობით, კეთილი ნების ადამიანები გამოჩდნენ და ეკლესიას შემოსწირეს: ჯვრები — ეკლესიისა და სამრეკლოსათვის ბოლო ობუჯელი მღვდლის, დეკანოზ ევგენი შენგელაიას შთამომავალმა, მღვდელმა გიორგი შენგელაიამ; ბარძიმ-ფეშხუმი — **ზურაბ შენგელაიამ**, ტრაპეზი და სამკვეთლო — იღუმენმა **იოანე კალანდიამ**; საბერძნეთიდან საჩუქრად შემოწირეს წმინდანთა ნაწილები და ხატი, რომელიც ჩამოაბრძანა ემიგრანტმა, ობუჯში დაბადებულმა **სოსო მესხიამ**. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მღვდელი **ბასილ კაციას**, რომელიც 2014 წელს აკურთხა ამ ტაძრის წინამძღვრად ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ და ობუჯელი **ლევან კაკაჩიას** დაუღალავი შრომა და თავდადება. ამ ტაძრის ერთ-ერთ, მთავარ აღმდგენს, ბატონ ბადრი გულორდავას 2008 წლიდან დღემდე წუთითაც არ დაუტოვებია მშენებლობა უყურადღებოდ. ის გვერდით უდგას წინამძღვარს ფინანსურად და მორალურადაც.

სოფლის მოსახლეობის ნატვრა იყო კვლავ აღდგენილიყო წირვა-ლოცა, რომელც თითქმის 100 წელია აღარ ისმოდა და მადლით აღარ ავსებდა სოფელს.

ეს დღეც დადგა. რადგან ჩვენი სოფლის ეკლესია მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობისაა, მთავარანგელოზობას, 21 ნოემბერს აღევლინა წირვა ტაძრის წინამძღვრის მღვდელი ბასილ კაციას, დეკანოზ მალხაზ ჭანტურიას, დეკანოზ ანდრია კემულარიას, დეკანოზ ფრიდონ ასათიანის, დეკანოზ ილია ლუკავას, მღვდელი თეიმურაზის, მღვდელი თომასა და მღვდელი სერაფიმეს მიერ. მადლობა უფალო, ამ დღისათვის. ღმერთო, გააძლიერე და ქრისტიანული გზით ატარე ჩვენი სოფლის მოსახლეობა.

სიხარულით მინდა გაუწყოთ, რომ **მეუფე გერასიმეს** კურთხევით, ყოველ შაბათს და საეკლესიო დღესასწაულებზე ტაძარში წირვა აღევლინება.

აქვე მინდა დავძინო, ტაძარი ისევ მშენებარეა. საჭიროა შიგა მობათქაშება, ჩასასმელია სარკმელები, შესალესია სამრეკლო, მოსახატია ტაძარი. ვიმედოვნებთ, უფლის წყალობით, გამოჩნდებიან კეთილი ნების ადამიანები და მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ობუჯის ეკლესია ძველი დიდებით და ბრწყინვალებით ბოლომდე აღდგება.

**მანანა კაკაჩია**



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**— როგორ ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის?**

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე- 6 მუხლის მიხედვით, 1-ლი ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

მე-2 ნაწილი:. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

მე-3 ნაწილი: პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი,

რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება

შრომითი ხელშეკრულების დადებას.

მე-4 ნაწილი: დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა

დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების,

შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

მე-5 ნაწილი: შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი

ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი

ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო

შემდგომ – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

მე-6 ნაწილი: თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც

მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და

განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

მე-7 ნაწილი: წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

მე-8 ნაწილი: დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი

ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

**— ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?**

— დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი

ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც

კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.

---

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფეხბურთელის გურამ პეტრიაშვილის და

**აზა პეტრიაშვილი**

გამოსვენება ხუთშაბათს; თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. N74.

**მეზობლები**

# ოქროს კერპი

რომ აღწერო, რას სჩადიან ადამიანები ფულის გამო, უფრო მეტი ქაღალდი დაგვჭირდება, ვიდრე ფულის წარმოებას სჭირდება. ასე რომ, სულაც არ არის საჭირო, ამ ასპარეზზე სამოქმედოდ ადამიანები წავაქეზოთ. მეორე მხრივ კი, რუტინა შთანგთქავს. როდესაც მუდმივად ერთი და იმავე ხერხით გატყუებენ, ეს მოსაწყენია და გსურს ფინანსური თაღლითებისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გახსნა და უჩვენო, როგორ სიმაღლეებს აღწევდნენ ამ საქმის ნამდვილი ოსტატები.

ამჟამად, მოგითხრობთ ყველაზე გამორჩეული შემთხვევების შესახებ, თუმცა ისინი საფინანსო მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება.




## ფულის კუპიურების უდიდესი გაყალბება

ფულის გაყალბება უძველესი და საპატიო საქმიანობაა. ყალბისმქნელთა ნიჭიერებაზე ლეგენდები დადის, მათ შესახებ წერენ წიგნებს, იღებენ ფილმებს, ზოგჯერ კი ისინი სახელმწიფო სამსახურშიც კი აჰყავთ, სადაც ისინი წარმატებასაც აღწევენ.

თუმცა რა საჭიროა ეს სირთულეები, მხატვრული შესაძლებლობები, იატაკქვეშა ტიპოგრაფიები და ყალბი ფულის განაღდების თავბრუდამხვევი სქემები? ყველაფერი ხომ ასე იოლია! ბოლოს და ბოლოს, ფული მუდმივად იბეჭდება და მთავრობაც სრულიად ლეგალურად ავრცელებს მათ. მარტო ისღა გრჩება, რომ სისტემაში ჩაერთო. ეს გენიალური იდეა მოუვიდა თავში პორტუგალიელ ალვეს დოს რიოსს 1924 წელს. მან გადაწყვიტა, რომ იმ ხელისუფლებას, რომელიც იმხანად პორტუგალიას მართავდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა. იმ დროისთვის მას მოხდილი ჰქონდა ხანმოკლევადიანი სასჯელი ყალბი ფულის მოჭრისთვის, რადგან ეკონომიკური დანაშაულისთვის სასჯელი შეარბილეს. მოგვიანებით რიოსის ბიოგრაფიის მკვლევარებმა აღმოაჩინეს ის, რაც გამომძიებლებს გამორჩათ — ყალბი დიპლომი უმაღლესი განათლების შესახებ, გაუნაღდებელი ჩეკები და სხვა ამგვარი „წვრილმანი“.




ციხიდან გამოსვლის შემდეგ რიოსმა კიდევ ერთი დოკუმენტი „შექმნა“ — პორტუგალიის ცენტრალურ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება ბანკნოტების სერიის დაბეჭდვის შესახებ. მან ეს დოკუმენტი ნოტარიალურად დაამოწმა (რაც სრულიად ლეგალურია და ძალიან იაფი ჯდება). ნოტარიუსის ხელმოწერას დაამატა საზღვარგარეთ მოღვაწე პორტუგალიის სამი კონსულის ხელმოწერა და ბეჭედი, რომლებსაც ფინანსებთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ. ამ დოკუმენტით იგი ტიპოგრაფიაში გაემართა, რომელიც პორტუგალიისთვის ბეჭდავდა ბანკნოტებს. შესაძლოა, სწორედ იმაში იყო გეგმის უნიკალურობა, რომ ფული პორტუგალიისთვის იბეჭდებოდა. ბანკნოტებს ერთი ძალიან პატივსაცემი ინგლისური ფირმა ბეჭდავდა (სხვათა შორის, დღემდე ბევრი ქვეყნის მთავრობა ფულს საზღვარგარეთ ბეჭდავს). საბეჭდი მანქანა, ოფიციალური მატრიცით და ოფიციალური ქაღალდით უზრუნველყოფილი, ამოქმედდა. დე რიოსმა უბრალოდ ის გააკეთა, რასაც ქვეყნის ხელისუფლები აკეთებენ. საქმის გახსნამდე, დაბეჭდილი იყო თანხა, რომელიც პორტუგალიის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ პროცენტს შეადგენდა. სწორედ ამიტომ ეს აფერა პირველ ადგილს იკავებს იმ თაღლითობებს შორის, რომელიც ფულის გაყალბებასთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ეს სიყალბე არა ფინანსისტებმა ან გამომძIებლებმა აღმოაჩინეს, არამედ პროვინციელმა ჟურნალისტებმა.

უდიდესი ფულადი მასის მიმოქცევაში გასვლამ დიდი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი და ამასთან დაკავშირებული სოციალური არეულობები გამოიწვია.

## ყველაზე დიდი ინფლაცია

ფულის გაყალბებიდან ინფლაციამდე ერთი ნაბიჯია. სხვაობა მხოლოდ ის გახლავთ, რომ საბეჭდ მანქანას განკარგავს ყველა უფლებამოსილებით აღჭურვილი მთავრობა. ინფლაციის რეკორდი 1945–46 წლების უნგრეთს ეკუთვნის. 1946 წლის იანვარში გამოუშვეს მიმოქცევაში პიონგეს პარალელური ახალი ვალუტა, რომელიც თავიდან ძველი ვალუტის ეკვივალენტი იყო, იმავე წლის ივლისში დაიბეჭდა კუპიურა, რომლის ღირებულებაც 1 მლრდს შეადგენდა — ეს დედამიწაზე ყველაზე დიდი ნომინალის ბანკნოტია. იმავე წლის მაის-ივნისში ინფლაციის ტემპმა დღე-ღამეში 200 პროცენტს მიაღწია. ჰიპერინფლაციამ უნგრეთში სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია — ფასები ყოველ 15 საათში იმატებდა.

უნგრეთის ინფლაციის შეჩერება მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1946 წლის 1 აგვისტოს შემოიღეს ახალი ფულადი ერთეული ფორინტი. ერთი ფორინტი 4,1029 პიონგეს უდრიდა, რაც მსოფლიოს ყველა ფულადი სისტემის რეკორდი იყო.

## ყველაზე ცნობილი ფინანსური პირამიდა

მაგრამ, ყველას როდი აქვს წვდომა ფულის საბეჭდ მანქანაზე. ასეთი ადამიანები იძულებულნი არიან, ფული „სხვა ხერხებით აკეთონ“. მაგალითად, ერთი ჯიბიდან მეორეში გადატანით.

იმას, რაც ჩვენთან „ფინანსური პირამიდის“ სახელით არის ცნობილი, დასავლეთში „პონცის სქემა“ ეწოდება. კარლო პონცი 1882 წელს დაიბადა რავენის მახლობლად. 1903 წელს იგი აშშ-ში გაემგზავრა, 1919 წელს კი ბევრი ხეტიალის შემდეგ ჩარლზ პონციმ ნათესავებისგან 500 დოლარი ისესხა, დააარსა საკრედიტო კანტორა და ვალდებულებას იღებდა, რომ ყოველ შეტანილ 1000 დოლარზე 90 დღის განმავლობაში 1500 დოლარს გადაიხდიდა. „პირამიდამ“ ერთი წელი გაძლო და პონცის 7 მილიონი დოლარი ვალი და 4,5 მილიონი აქტივები დაუტოვა. უმსხვილესად ითვლება მეიდორფის პირამიდა 69-მილიარდიანი დანაკარგით.




ბევრი სადაზღვევო ფირმა და ეგრეთ წოდებული მრავალდონიანი მარკეტინგის ფირმები პონცის სქემაზეა დაფუძნებული.

## საკუთარი ფული

ფასეულობათა ფერად ქაღალდებზე გადაცვლა იმდენად მიმზიდველია, რომ ყველა ცდილობს, თუკი ოდნავი საშუალება მაინც გაუჩნდა, საკუთარი „ქაღალდები“ გამოუშვას.

რა თქმა უნდა, ყველაზე ხშირად ამას სახელმწიფოები აკეთებენ. საკუთარი ფულადი ერთეულები ეფემერულ სახელმწიფოებსაც კი ჰქონდათ, რომლებიც სხვადასხვა ადამიანების წარმოსახვაში არსებობდნენ თუნდაც რამდენიმე კვირის განმავლობაში.

საინტერესოა, როცა საკუთარ ფულს უშვებს არა რეალური ან წ-არმოსახვითი სახელმწიფო, არამედ კერძო პირები, კომპანიები ან ორგანიზაციები. უპირატესობა აქ ნათელია, ასეთი ფულით რაიმეს შეძენა მხოლოდ იმ დაწესებულებებში შეიძლება, რომლებიც ამ ადამიანს, კომპანიებს ან ორგანიზაციებს ეკუთვნით.

ამგვარ საგადასახადო სისტემას მრავალგვარი ფორმა შეიძლება ჰქონდეს. სხვადასხვა სახის კუპონები, ტალონები და ვაუჩერები რეგულარულად ვრცელდება პრესასთან ერთად. სავაჭრო ქსელები ბეჭდავენ საკუთარ ბარათებს, რომლებიც კლიენტებისთვისაა განკუთვნილი და იმუშავებენ საპრიზო ქულების სისტემას, რომელთა ნაცვლად შესაძლებელია რაიმეს მიღება. სწორედ ამგვარადვე გამოიყენება საკრედიტო ბარათები, რომლებიც ასევე გადახდის საშუალებაა და კერძო პირი უშვებს.

ყველაზე ცნობილია კოკა კოლას განვითარების ისტორია, რომელიც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული კერძო გადახდის საშუალებასთან. თავის დროზე ფირმა მასობრივად ავრცელებდა საკუთარი პროდუქციის უფასო ტალონებს, რითიც ბაზრის დაპყრობა შეძლო.

გარდა ამისა, არსებობს ვირტუალური ვალუტა — Tera. ტერას სამყარო მარტო უზარმაზარი ზღაპრული სივრცე კი არა, სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის ადგილიც არის, სადაც ყველაზე ერთგულ მეგობრებს შეიძლება შეხვდე. Tera-ს ოქრო ამ სამყაროს უნივერსალური ვალუტაა, რომლის წყალობითაც თამაშით სიამოვნება კიდევ უფრო მატულობს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com